



ქუთაისის უნივერსიტეტი

ხარისხის განვითარების წლიური ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის,

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის და სწავლების  
ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის

შედეგების ანალიზი

2023-2024 აკადემიური წელი



## სარჩევი

თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები .....	4
თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები.....	6
თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება.....	7
3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება.....	7
3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ.....	7
3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ.....	8
3.1.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.....	11
3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით .....	12
3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით .....	17
3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება .....	17
3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით .....	17
3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით .....	32
3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ .....	36
3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. ....	37
3.3. სასწავლო პროცესის შეფასება.....	48
3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდლოგია .....	48
3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა.....	51
3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით .....	57
3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ.....	58
3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ.....	63



3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ .....	65
3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა .....	67
<b>თავი 4. კვლევა .....</b>	<b>74</b>
4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება .....	74
4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით .....	75
4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ .....	76
4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება.....	78
<b>თავი 5. მართვის პროცესები.....</b>	<b>80</b>
<b>თავი 6. შეფასების შედეგების გამოყენება.....</b>	<b>83</b>
<b>თანდართული ანგარიშები/მტკიცებულებები.....</b>	<b>124</b>



## თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად ღირებულებებს, მიდგომებსა და პრინციპებს ქუთაისში უნივერსიტეტში განსაზღვრავს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №2 დაგენილებით). პოლიტიკის თანახმად, ხარისხის მართვა ქუთაისის უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა. საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგებლობისგან და ეთიკური ქცევისგან.

ქუთაისის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულებები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს პრინციპით: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე. აღნიშნული პრინციპის დაცვით სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ქუთაისის უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით.

უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 24 მარტის №მ36 ბრძანებით), რომელიც აჯამებს ხარისხის შიდა და გარე შეფასების პროცესებს, აღწერს თუ რა დამატებით დოკუმენტაციას ეყრდნობა იგი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, ასევე, აღწერს თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება შეფასების პროცესი და თუ როგორ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება, პროცესებისა და მიღებული შედეგების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.



ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის პროცესში დამატებით ეყრდნობა უნივერსიტეტში მოქმედ შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №14 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №15 ბრძანებით);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №16 ბრძანებით);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №51 ბრძანებით);
- პერსონალის შერჩვის წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის №261 ბრძანებით);
- სააუდიტორო მუშაობის შეფასების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №17 ბრძანებით);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს №382 ბრძანებით);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №18 ბრძანებით);
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №52 ბრძანებით);
- სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №19 ბრძანებით);
- კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №20 ბრძანებით);
- საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №362 ბრძანებით);
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №36 ბრძანებით);



- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №54 ბრძანებით);
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №21 ბრძანებით);
- კვლევის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №22 ბრძანებით);
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №23 ბრძანებით);
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №24 ბრძანებით);
- ქუთაისის უნივერსიტეტის დებულება (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის №260 ბრძანებით).

## თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები ითვალისწინებს:

- ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის შედეგად მიღებულ შეფასებას;
- ბ) საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგად განხორციელებულ შეფასებას;
- გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ განხორციელებულ შეფასებას.


უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს მოიცავს და სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

- ა) სწავლა-სწავლება და მომსახურება - საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება, ანალიზი და რეაგირება;



ბ) კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება, ანალიზი და რეაგირება;

გ) მართვის პროცესები - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება, ანალიზი და რეაგირება.



### თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ერთ-ერთი მიმართულება, სწავლა-სწავლება და მომსახურება სამ ძირითად ასპექტს გულისხმობს:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება
- გ) სასწავლო პროცესის შეფასება

#### 3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

**3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ.** 2023-2024 აკადემიურ წელს საგანმანათლებლო პროგრამები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესაბამისად შეფასდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი და




არაპირდაპირი მეთოდით შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, შეფასება პროგრამის მე-4 დანართის მიხედვით, გამოკითხვის შედეგები), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა და შეფასება, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, ექსრტაკურსულურ აქტივობებში მონაწილეობის შეფასება, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის შეფასება. მიღებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინა მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული ანგარიშის სახით. ამავე ანგარიშში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ აღწერილია მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განვითარებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით განხორციელებული აქტივობები, როგორცაა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ა.შ. 2023-2024 აკადემიურ წელს აღნიშნული შეფასება ქუთაისის უნივერსიტეტში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. შეფასების მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამების განახლებისა და განვითარების მიზნით. შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია აღწერილია პროგრამის წლიური შეფასების ანგარიშებში, რომელიც ანგარიშებისა და შეფასებისთვის გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (დეტალებისთვის იხ. დანართი 1 - საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასების ანგარიშები).

**3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ. 2023-2024** აკადემიურ წელს საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის პროცესი (ისევე როგორც ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში ჩატარებული ყველა გამოკითხვის პროცესი) რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №20 ბრძანებით) შესაბამისად. დაინტერესებული მხარეები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, პროგრამის სასწავლო გეგმას, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსებს, ასევე, სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების მოცულობას. ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: <https://www.surveymonkey.com/>. დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის, მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გამოყენებისთვის.




პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის კომიტეტებთან ერთად განიხილავენ გამოკითხვის შედეგებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს, მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ცვლილებების საჭიროების შესახებ. შეფასების მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგად გამოყოფილი საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმაცია, ასევე, ანალიზის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ანგარიშის სახით ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. 2023-2024 აკადემიურ წელს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ მათი გამოკითხვის გზით, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის შედეგები დადებითია, ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საგანმანათლებლო პროგრამები მაღალი ქულით იქნა შეფასებული: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულაზე მეტი:

### სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი






დაინტერესებული მხარეების მიერ საბაკალავრო პროგრამების შეფასება  
(მაქსიმალური შეფასება: 5 ქულა)




დაინტერესებული მხარეების მიერ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების  
შეფასება (მაქსიმალური შეფასება: 5 ქულა)





## მედიცინის ფაკულტეტი



გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და გამოყენებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განვითარების მიზნით. მიღებულ შედეგებზე რეაგირებისა და შედეგების გამოყენების შესახებ ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასებისთვის. რეაგირების ანგარიშები ცხადყოფს, რომ დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების საფუძველზე ლოგიკური ცვლილებები განხორციელდა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში (დეტალებისთვის იხ. დანართი 2 - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

**შენიშვნა:** დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგებში არ არის წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგები, რადგან 2023-2024 აკადემიურ წელს აღნიშნულ პროგრამებს არ ჰყავდა არცერთი კურსდამთავრებული, ამასთანავე, შეფასების შედეგებში არ არის წარმოდგენილი აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რადგან 2023-2024 აკადემიურ წელს, შეფასების პროცესის მიმდინარეობისას აღნიშნულ პროგრამაზე არ ირიცხებოდა აქტიური სტატუსის მქონე არცერთი სტუდენტი.

**3.1.3. ახალდმემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების/მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.** საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სტანდარტებთან, სხვა გარე და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროცესი რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №მ14



ბრძანებით) შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამების შეფასების, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შეფასების თუ ხრისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებული პროგრამის შეფასების სხვა საშუალებების გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე, პროგრამების ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განახლებული ან ახლადშემუშავებული ვერსიები ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოქმედ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის შესწავლისა და შეფასების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მზადდება დასკვნა თითოეული განახლებული პროგრამის ან ახლადშემუშავებული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დასკვნა წარედგინება მმართველ საბჭოს მოქმედ პროგრამაში ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის დამტკიცების მიზნით. 2023-2024 აკადემიურ წელს პროგრამების განვითარების მიზნით ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში. ზემოაღნიშნული დასკვნა 2023-2024 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ნებისმიერი ცვლილების ინიცირებისა და დამტკიცების შემთხვევაში.

**3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით.** საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით. აღნიშნულ პროცესში გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

**ა) სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების** მიზნით კეთდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №15 ბრძანებით) მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად, ანალიზის შედეგად იკვეთება საყურადღებო საკითხები. აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება ხორციელდება დინამიკაში, კერძოდ, ხორციელდება ბოლო სამი წლის მონაცემების შესწავლა, რაც ხელს უწყობს რეალურად საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირებას და გამორიცხავს ძლიერი ან/და სუსტი ჯგუფის ფაქტორებს ან სხვა ფაქტორებით გამოწვეულ შემთხვევით შედეგებს. აკადემიური მოსწრების მონაცემები შესწავლისა და ანალიზის მიზნით, ასევე ანალიზის შედეგების საფუძველზე საყურადღებო საკითხების გამოვლენის მიზნით ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელებს რეაგირებისთვის, კერძოდ, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების მიზნით. რეაგირება შესაძლებელია გულისხმობდეს, სასწავლო გეგმაში



კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების ანგარიშები. აკადემიური მოსწრების ანალიზი აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად ქუთაისის უნივერსიტეტში განხორციელდა 2023-2024 აკადემიურ წელსაც, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. დაკვირვებისა და მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები და რეაგირებების საჭიროება, რაც განხორციელდა კიდევ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (მეტწილად სტუდენტებთან შეხვედრები, პერსონალთან შეხვედრები, მათ შორის, ცვლილება კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში). რატომღაც დაფიქსირდა დადებითი შედეგებიც (სამიზნე ნიშნულების შესრულება), რომლის მიხედვითაც დაკვირვების საფუძველზე არ იკვეთება რეაგირების საჭიროებები. ასევე აღსანიშნავია სამიზნე ნიშნულებიდან მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევები თუნდაც ერთი წლის მონაცემების შესწავლის საფუძველზე, რაც ასევე პროგრამის ხელმძღვანელების დაკვირვების, ანალიზისა და მიზეზების შესწავლის საფუძველია, თუმცა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია დაკვირვება სამი წლის მონაცემებზე, რადგან კვლავ მაქსიმალურად დასაბუთებული იყოს დასკვნები და რეაგირების საჭიროებები. დაკვირვების შედეგად იკვეთება არავალიდური მონაცემების არსებობის შემთხვევებიც, კერძოდ, ჯგუფში არასაკმარისი რაოდენობის სტუდენტების (10 და ნაკლები სტუდენტის) არსებობა, ანდა მნიშვნელოვნად განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევებში, იგივე შინაარსის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით წინა წლების მონაცემების არარსებობა, ახლადაკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში სამწლიანი მონაცემების არარსებობა, ამ შემთხვევებშიც რატომღაც მნიშვნელოვანია დაკვირვების გაგრძელება და მონაცემების შემდგომი ანალიზი, ვალიდური დასკვნების გაკეთებისა და ცვლილებების საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების შეჯამება და განხორციელებული რეაგირებები შემდეგნაირად გამოიყურება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

საგანმანათლებლო პროგრამა	რეაგირებისთვის დინამიკაში დაკვირვების საჭიროება		არავალიდური შედეგების შემთხვევები		პროგრამის საფუძლიანად განახლება (ბოლო 3 წლის განმავლობაში)		ანალიზის საფ. განხორციელებული რეაგირებები (ცვლილება პრ-ში, შეხვედრები)	
	სემესტრი		სემესტრი		სემესტრი		სემესტრი	
	I	II	I	II	I	II	I	II
ბიზნესის ადმინისტრირების	✓	✓	✓	✓			✓	✓



საბაკალავრო პროგრამა							
ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა	✓	✓	✓	✓			
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
სამართლის საბაკალავრო პროგრამა	✓	✓	✓	✓		✓	✓
ადრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამა	✓	✓	✓	✓	✓		
ფინანსების სამაგისტრო პროგრამა	✓	✓	✓	✓	✓		
ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა	✓		✓				
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა	✓	✓	✓	✓		✓	

დეტალებისთვის იხ. დანართი 4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდად უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე განსაზღვრავს შეფასების უფრო კომპლექსურ მეთოდსაც, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების ჩაშლას შეფასების ინდიკატორებად და ინდიკატორების შეფასებას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების უფრო სიღრმისეულ შესწავლას და მიზეზების კვლევას. ინდიკატორების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (პროგრამის დანართი 4 - სწავლის შედეგების შეფასება) და შედეგების ვალიდურობის მიზნით (ვალიდური შედეგები შესაძლებელია მივიღოთ პროგრამების განახლებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ) დაგეგმილია მათი განხორციელება რიგ შემთხვევებში 2022-2023 ან შემდგომი აკადემიური წლებიდან. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი დანართების მიხედვით 2023-2024 აკადემიურ წელს აღნიშნული პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილი იყო და განხორციელდა ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმისა და ეკონომიკის



საბაკალავრო, აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო და ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. ზემოაღნიშნული ანალიზისა და შეფასებების საფუძველზე განხორციელდა გარკვეული რეაგირებები შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიზნით, დაიგემა დაკვირვებისა და ანალიზის დინამიკაში გაგრძელება (დეტალებისთვის იხ. დანართი 4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მე-4 დანართის შესაბამისად, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ).


**ბ) სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების** ფარგლებში გამოიყენება პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. აღნიშნულ პროცესში დამსაქმებლები, იმ შემთხვევაში თუ მათთან დასაქმებულია ქუთაისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან სტუდენტი, აფასებენ დასაქმებულთა ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის დასრულების შედეგად მიღებულ საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების დონე და ხარისხი. გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა: <https://www.surveymonkey.com/>. მიღებული შედეგები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხდება მიღებული შედეგების პროგრამის კომიტეტის წევრებთან განხილვა, რეაგირების საჭიროების იდენტიფიცირება და დადგენა, საჭიროების დადგენის შემთხვევაში კი პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ შედეგების ანალიზის გამოყენებისა და რეაგირების შესახებ ანგარიში წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშებისა და შეფასებისთვის. აღსანიშნავია, რომ არაპირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე საყურადღებოდ ითვლება შედეგი, თუ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი (30% და მეტი) თვლის, რომ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ მიიღო სფეროსთვის მნიშვნელოვანი სათანადო ცოდნა და უნარები და მათი დაუფლება მას მოუწია პროგრამის დასრულების შემდეგ, პროგრამის მიღმა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2023-2024 აკადემიურ წელს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების არაპირდაპირი შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სადაც არსებობს და ხელმისაწვდომია პროგრამის კურსდამთავრებულები და შესაბამისად მათი დამსაქმებლები.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და



უნარები: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დაასრულეთ და ის ცოდნა და უნარები რაც პროგრამის დასრულების შედეგად შეიძინეთ“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულაზე მეტი. შეფასების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ დამსაქმებელთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებმა გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე “როგორ შეაფასებდით ქუთაისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის / სტუდენტის ცოდნასა და უნარებს”, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი:

### სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი



**შენიშვნა:** შეფასება არ განხორციელებულა მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე, ვინაიდან პროგრამების განხორციელება უნივერსიტეტმა დაიწყო 2020-2021 და 2022-2023 აკადემიურ წელს და ამდენად, პროგრამებს მოცემულ მომენტში არ ჰყავს კურსდამთავრებული და არ არსებობს მათი დამსაქმებელი. კურსდამთავრებულთა ცოდნისა და უნარების შეფასება ასევე არ განხორციელებულა კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მიერ ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც პროგრამის შეფასების მიზნით გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო უმეტესწილად სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებმა და ისეთმა პოტენციურმა დამსაქმებლებმა, ვისთანაც არ მუშაობს ქუთაისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და შესაბამისად, შეუძლებელი იყო შეფასების განხორციელება.



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დასტურდება, გამოკითხვის შედეგებით, შედეგების ანალიზისა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების ანგარიშებით (დეტალებისთვის იხ. დანართი 3 - სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

**3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით.** საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისითაც, უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №16 ბრძანებით) თანახმად დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით განისაზღვრება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა და შესაბამისად, ფასდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის სათანადოობა. აღნიშნული მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემების გამოთხოვა პროგრამის ხელმძღვანელებისგან და შეფასება, თუ რამდენად არის დაცული მეთოდოლოგიით დადგენილი სამიზნე ნიშნულები. საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რაოდენობით აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხი აღნიშნული პროცედურის მიხედვით შეფასდა 2023-2024 აკადემიურ წელსაც. შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მეთოდოლოგიით დადგენილი, სათანადო რაოდენობის აკადემიური პერსონალის ჩართულობა (იხ. დანართი 19 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი).

### **3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება**

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხდება სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით, რამდენიმე მიმართულებით და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

**3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით.** უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №51 ბრძანებით). დოკუმენტი არეგულირებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების საკითხს, მათ შორის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას. დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის ფორმა.



ფორმა განსაზღვრავს ყველა იმ აქტივობას, რაც აკადემიურ პერსონალს შესაძლოა ჩაეთვალოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობად. ფორმა ამასთანავე განსაზღვრავს თითოეული აქტივობის ქულას. ფორმით განსაზღვრულ თითოეულ აქტივობას ზემოაღნიშნული წესის მიხედვით ენიჭება განსხვავებული ქულა. ქულის მოცულობა თავისთავად გამომდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის მნიშვნელობისა და ღირებულებისგან. აკადემიური პერსონალი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, აღნიშნულ წლიურ ანგარიშს წარუდგენს ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. დოკუმენტი ადგენს მინიმალურ შესასრულებელ მოთხოვნებს (მინიმალურ ქულას) აფილირებული აკადემიური პერსონალისა (აფილირებული პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და აფილირებული ასისტენტი) და აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი). აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს წესით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულათა რაოდენობა და მტკიცებულებებთან ერთად წარუდგინოს აქტივობების შესახებ ინფორმაცია ზემოაღნიშნული ანგარიშის სახით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილ ანგარიშს აფასებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი და ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო აქტივობებს, ამასთანავე ადასტურებს ქულათა მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი შეფასების შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

აკადემიური პერსონალის ზემოაღნიშნული ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ერთი წლის გასვლის შემდეგ სამეცნიერო აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა გაფრთხილება.
2. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება: აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500




ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარის ოდენობით. აქვე აღსანიშნავია, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ ქუთაისის უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული სამეცნიერო აქტივობით დაგროვებული ქულების მიხედვით.

3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების (სადაც გარკვეული პროცენტული წილი ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს), რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი).
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. შეფასების შედეგების გამოყენება და შედეგებზე ზემოაღნიშნული რეაგირება უნივერსიტეტის მხრიდან განიხილება, როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მექანიზმი და ფინანსური მხარდაჭერის საშუალება.

აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ქუთაისის უნივერსიტეტში განხორციელდა 2023-2024 აკადემიური წლის ბოლოს (იხ. დანართი 5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები).


2023-2024 აკადემიური წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი შემდეგნაირად გამოიყურება:

2024 წლის აგვისტოს მონაცემებით, ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური რიცხვი 395-ს შეადგენდა: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი - 71 აკადემიური და 75 მოწვეული პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტი - 63 აკადემიური და 186 მოწვეული პერსონალი.



2024 წლის აგვისტოს მონაცემებით, ქუთაისის უნივერსიტეტთან აფილირებული იყო 47 აკადემიური პერსონალი: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი - 30 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტი - 17 აფილირებული აკადემიური პერსონალი.

2023-2024 აკადემიურ წელს, 134 აკადემიური პერსონალიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში 45-მა (34%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე ჯამში 25-მა (35%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 16-მა აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის 53%), საიდანაც 15-მა (94%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა, და 9 არააფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 22%), საიდანაც მინიმალური მოთხოვნა დააკმაყოფილა 8 (89%) აკადემიურმა პერსონალმა. მედიცინის ფაკულტეტზე ჯამში 20-მა (32%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 8 აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის 41%), საიდანაც 6-მა (75%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა და 13-მა არააფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 28%), საიდანაც 7-მა (54%) აკადემიურმა პერსონალმა დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა.




2023-2024 აკადემიური წლის განმავლობაში ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული იყო შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები:

სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები	სოც. მეცნ. ბიზნ. და სამართლის ფაკულტეტი	მედიცინის ფაკულტეტი	სულ
სტატიები იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში	1	8	9
სტატიების გამოქვეყნება Google Scholar-ის ჟურნალებში	35	10	45
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა)	45	31	76
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე)	1	0	1
ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა)	5	3	8
ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე)	0	0	0
დაფინანსებული საგრანტო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა	1	2	3
დაფინანსებულ საგრანტო კვლევით პროექტში მონაწილეობა (მირითადი პერსონალი)	0	1	1
გამოგონება/პატენტი	0	0	0



მონოგრაფიის/სახელმძღვანელოს საზღვარგარეთ გამოშვება	0	0	0
მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს გამოშვება	5	1	6
პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა	0	0	0
პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა	0	1	1
Google Scholar-ის ჟურნალის რედაქტორობა	1	0	1
Google Scholar-ის ჟურნალის რეცენზენტობა	1	0	1
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა	48	28	76
ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა	0	1	1
სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება	3	0	3
ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება	6	0	6
ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება	0	0	0
საზღვარგარეთ ჩატარებული სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა	0	0	0
ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა	9	6	15

2023-2024 აკადემიურ წელს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ფაკულტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი რაოდენობის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა:



ზემოაღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საფუძველზე გაცემულმა ანაზღაურებამ ქუთაისის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის 2023-2024 აკადემიურ წელს შეადგინა 51 500 ლარი.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ თავისმხრივ ჩატარდა გამოკითხვა აკადემიური პერსონალის საჭიროებების დადგენის მიზნით. გამოკითხვა ჩატარდა 2023 წლის 22 ნოემბერი - 8 დეკემბრის პერიოდში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის უნივერსიტეტის 46-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. შეკითხვები მიზნად ისახავდა იმ თემების გამოვლენას, რომლებზეც პერსონალი ისურვებდა მეტი ინფორმაციის მიღებას ვორქშოპების/ტრენინგების/საინფორმაციო შეხვედრების სახით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის რა მიმართულებით საჭიროებდნენ გადამზადებას/ მომზადებას და რა სახის ხელშეწყობის მიღებას ისურვებდნენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისგან. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაბამისი ვორქშოპების / ტრენინგების / საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება დაიგეგმა, კერძოდ, გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მიმართულება (სამეცნიერო ეთიკა სასწავლო და კვლევით საქმიანობაში, სტუდენტთა მხარდაჭერა, ხელმძღვანელობა და მენტორობა სწავლებასა და კვლევაში, რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ში, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენება სასწავლო პროცესში და ა. შ.) და 2023-2024 აკადემიური წლისთვის დაიგეგმა შესაბამისი ტრენინგები/ვორქშოფები.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ 2023-2024 აკადემიურ წელს შესაბამისად განხორციელდა შემდეგი სხვადასხვა ტიპის აქტივობა უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით:



1. 2023 წლის 15 დეკემბერს ევროპის უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა მეორე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია“. კონფერენციაზე მთავარ მომხსენებლად მოწვეულნი იყვნენ საერთაშორისო დონის ექსპერტები განათლების დარგში: საიმონ რაილი (ედინბურგის უნივერსიტეტი), გევინ მაქქეიბი (ედინბურგის უნივერსიტეტი), ფაბიო ნაშიმბენი (ევროპის განათლების ფონდი (ETF)). კონფერენციის მონაწილეები წარმოადგენდნენ 7 ქვეყანას: საქართველო, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ლიეტუვა, ბულგარეთი, უკრაინა, რუმინეთი. დეტალური ინფორმაცია (კონფერენციის პროგრამა, ფოტო გალერეა, აბსტრაქტების კრებული, ა.შ.) იხილეთ კონფერენციის ოფიციალურ ვებგვერდზე: <http://iceti.eu.edu.ge/>.
2. 2023 წლის აგვისტო - 2024 წლის ივლისის პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან შემდეგი ინფორმაცია გაზიარდა:
  - Writing Across Boundaries Program 2023 <https://sites.utexas.edu/creees/2023/08/18/writing-across-boundaries-program/:~:text=Deadline%3A%20October%206%2C%202023&text=The%20Writing%20Across%20Boundaries%20Program,%2C%20peer%2Dreviewed%20professional%20journal>
  - Constructive Advanced Thinking (CAT) Programme 2024 – 2026 <https://www.paris-iaea.fr/en/apply/calls-for-applications/appel-a-candidature-programme-constructive-advanced-thinking-cat-2024-2026>
  - მონაწილეობა ყოველწლიურ ღონისძიებაში „საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“
  - SRSNFG 2023 საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი <https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/230714022321fondi-atshkadebs-sagamomtsemlo-sakhelmtsifo-sametsniero-grantebis-shesakheb-sagranto-konkurss>
  - Mieroszewski Center-ის სასტიპენდიო პროგრამა მკვლევრებისთვის
  - ელსევიერის მიერ შემოთავაზებული ვებინარები მკვლევრებისთვის [https://www.elsevier.com/hubs/central-and-eastern-europe-customer-hub/georgia?dgcid=RN\\_RSS\\_Sourced\\_400005497&utm\\_campaign=RN\\_RSS\\_Sourced\\_400005497&utm\\_medium=email&utm\\_dgroup=ML\\_RIS\\_EG\\_20230919\\_DL\\_100004404&utm\\_acid=275824262&utm\\_source=AC&utm\\_in=DM410455](https://www.elsevier.com/hubs/central-and-eastern-europe-customer-hub/georgia?dgcid=RN_RSS_Sourced_400005497&utm_campaign=RN_RSS_Sourced_400005497&utm_medium=email&utm_dgroup=ML_RIS_EG_20230919_DL_100004404&utm_acid=275824262&utm_source=AC&utm_in=DM410455)
  - 8th International Scientific-Practical Conference "Aspects of Sustainable Development: Theory and Practice" <https://sites.google.com/view/conference-utena2024/en>



- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო - „ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამა“ <https://gita.gov.ge/programs/teknologiebis-gadatsemis-programa-omkcy8B9p>
- პოლონეთის რესპუბლიკის ლეინ კირკლენდის სასტიპენდიო და კვლევითი პროგრამები - 2024-2025 <https://leadersofchange.pl/>
- The International Fellowships 2024 <https://www.thebritishacademy.ac.uk/funding/international-fellowships/>
- TWA Research Grants Programme in Basic Sciences: Individuals <https://twas.org/opportunity/twas-research-grants-programme-basic-sciences-individuals>
- The Postdoctoral Program “Social Sciences and Humanities in a Post-Crisis Period” <https://euinstitute.net/postdoc/>
- 1st RethinkBlue Conference - Zadar, Croatia <https://conference.unizd.hr/rethinkblue/>
- სტატიებისა და თარგმანების მიღება ინტერდისციპლინარული სამეცნიერო ჟურნალისთვის - "ორბელიანი"
- კავკასიის უნივერსიტეტის IX წლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - "მეცნიერება - მდგრადი განვითარებისთვის 2024" <https://www.cu.edu.ge/ka/survey/international-scientific-conference-science-for-sustainable-development-2024>
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლებისა და კვლევების სამინისტროს კონკურსი - "European Research Framework Programs and other European research initiatives (Bridge2ERA-EaP)" <https://bsu.edu.ge/sub-45/page/20156/index.html>
- MSCA COFUND Programme "Connect with Wallonia-Come 2 Wallonia" (C2W) <https://euraxess.ec.europa.eu/worldwide/australia-nz/news/30-postdoctoral-positions-available-various-domains-within-msca-cofund>
- 23rd Annual International Scientific Conference on "Information Technologies and Management" <https://ismaitm.lv/registration/>
- International Conference on "Modern Pharmacy: Issues, Challenges and Expectations 2024" <https://lsmu.lt/en/events/international-conference-contemporary-pharmacy-issues-challenges-and-expectations-2024/>
- მე-7 საერთაშორისო საზაფხულო სკოლა "ქართული ხელნაწერები"
- XXV International Scientific Conference of Turība University “THE AGE OF INSECURITY: FROM RISKS TO GROWTH” <https://www.turiba.lv/en/research/scientific->



[conference/history-of-scientific-conferences/xxv-international-scientific-conference-of-turiba-university-the-age-of-insecurity-from-risks-to-growth](#)

- CALPER Webinars- Advances in World Language Pedagogy <https://calper.la.psu.edu/professional-development/advances-in-world-language-pedagogy/2024-2/>
- მარი სკლოდოვსკას პოსტდოქტორული სასტიპენდიო პროგრამა (Maria Sklodowska-Curie Actions (MSCA) Postdoctoral Fellowships 2024) <https://marie-sklodowska-curie-actions.ec.europa.eu/calls/msca-postdoctoral-fellowships-2024>
- მე-3 საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლის "აფხაზეთი: უძველესი დროიდან დღემდე (ისტორიულკულტუროლოგიური ასპექტები)" [https://docs.google.com/document/d/1SUDudG\\_Y1nLRSXeIEM0OesHNWwUTnVWA/edit?pli=1&urp=gmail\\_link](https://docs.google.com/document/d/1SUDudG_Y1nLRSXeIEM0OesHNWwUTnVWA/edit?pli=1&urp=gmail_link)
- International Scientific-Practical Conference "Eurointegration in Art, Science and Education: Experience, Development Perspectives" <https://www.ku.lt/en/events/international-scientific-practical-conference-eurointegration-in-art-science-and-education-experience-development-perspectives>
- 4th international scientific conference EVIDENCE-BASED PRACTICE: FROM HEALTH TO SOCIAL WELL-BEING <https://sites.google.com/view/ebpfhswb/home>
- Egyptology for not Egyptologists: base training in Archaeology, History and Language of Ancient Egypt <https://www.unipi.it/index.php/humanities/item/24464-egyptology-for-not-egyptologists>
- Gerda Henkel Foundation - General Research Grant: Scholarship <https://www.gerda-henkel-stiftung.de/en/researchscholarships>
- ჩეხეთის სასტიპენდიო პროგრამა 2024-2025 სასწავლო წლისთვის [https://iec.gov.ge/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/2024-2025-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/Czechia\\_2024-2025](https://iec.gov.ge/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/2024-2025-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/Czechia_2024-2025)
- SNU President Fellowship Program Fall 2024 <https://en.snu.ac.kr/admission/overview/notice?md=v&bbsidx=145793>
- KiTE - Kiel Training for Excellence: A postdoc career development programme <https://www.uni-kiel.de/en/research/early-career-researchers/kite>



- Ikerbasque Research Fellows 2024 <https://euraxess.ec.europa.eu/worldwide/australia-nz/news/20-long-term-postdoctoral-fellowships-available-all-research-fields>
- ჩინეთის მთავრობის სტიპენდია "Youth of Excellence Scheme 2023-2024" [https://www.campuschina.org/content/details3\\_790440.html?fbclid=IwAR1mnGMt99aAOIQM5R-XPIX6qKtAM6R6imZ8hGM-NQNTGa3baLXoa3xEa4o](https://www.campuschina.org/content/details3_790440.html?fbclid=IwAR1mnGMt99aAOIQM5R-XPIX6qKtAM6R6imZ8hGM-NQNTGa3baLXoa3xEa4o)
- 4th international scientific conference EVIDENCE-BASED PRACTICE: FROM HEALTH TO SOCIAL WELL-BEING <https://sites.google.com/view/ebpfhswb/home>
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი "Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის 2024 წლის საგრანტო კონკურსი <https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/shota-rustavelis-saqartvelos-erovnuli-sametsniero-fondisa-da-germaniis-akademiuri-gatsvli-samsakhuris-ertoblivi-Rustaveli-DAAD-is-sastipendio-programis-2024-tslis-sagranto-konkursi>
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2024 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი <https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atshadebs-2024-tslis-kavkasiologiis-mimartulebit-sametsniero-kvleviti-proeqtebis-khelshetskobisa-da-saertashoriso-sametsniero-ghonisdziebebis-sagranto-konkurss>
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი-საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი 2024 <https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atshadebs-2024-tslis-saqartvelos-okupirebuli-teritoriebis-shemtsavleli-sametsniero-kvleviti-proeqtebis-khelshetskobisa-da-saertashoriso-sametsniero-ghonisdziebebis-sagranto-konkurss>
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი - ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი 2024 <https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atshadebs-fundamenturi-kvlevisatsvis-sakhelmtsifo-sametsniero-grantebis-2024-tslis-konkurss>
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსი <https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/shota-rustavelis-saqartvelos-erovnuli-sametsniero-fondisa-da-saqartvelos-franguli-institutis-ertoblivi-kvleviti-stajirebis-programis-sagranto-konkursi>



- 2024 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი <https://rustaveli.org/ge/siakhleebi/fondi-atshadebs-2024-tslis-akhalgazrda-metsnierta-kvlevis-grantit-dafinansebis-konkurss>
- იაპონიის მიერ გამოცხადებული სასტიპენდიო პროგრამა <https://www.mif-japan.org/en/fellowship/announcement/>
- თურქეთის რესპუბლიკის მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამები <https://www.mes.gov.ge/content.php?id=13701&lang=geo>
- Fernand Braudel Senior Fellowships <https://www.eui.eu/apply?id=fernand-braudel-senior-fellowships>
- ლიტვური ენისა და კულტურის საზაფხულო სკოლის 2024 <https://balticsummeruniversity.com/>
- Advances Research Opportunities Programs-ის სასტიპენდიო პროგრამა <https://www.rwth-aachen.de/cms/root/studium/Im-Studium/Stipendien-Foerderung/~fhgwb/Advanced-Research-Opportunities-Program/?lidx=1>
- 28th Student Conference by the Department of International Economic Relations (Dimitar A. Tsenov Academy of Economics) <https://sites.google.com/view/mioconference>
- “ქალები მეცნიერებაში“ - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებით - 2024 წლის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის კონკურსი <https://rustaveli.org/ge/siakhleebi/fondi-atshadebs-2024-tslis-shota-rustavelis-saqartvelos-erovnuli-sametsniero-fondis-premiis-konkurss-qalebi-metsnierebashi-gansakutrebuli-mightsevebisatvis-bioqimiisa-da-molekuluri-biologiis-mimartulebit>
- 2024 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი <https://rustaveli.org/ge/siakhleebi/fondi-atshadebs-2024-tslis-saqartvelos-sazghvrspira-regionebis-shemstsavleli-sametsniero-kvleviti-proeqtebis-khelshtskobisa-da-saertashoriso-sametsniero-ghonisdziebebis-sagranto-konkurss>
- მაცუმაეს საერთაშორისო ფონდის 2025 წლის სასტიპენდიო პროგრამა <https://www.mif-japan.org/en/fellowship/announcement/>
- სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული სასტიპენდიო პროგრამა - 2024/25 სასწავლო წელი <https://www.scholarships.sk/en/main/programme-terms-and-conditions/foreign-applicants>



- DEMOCRACY COMMISSION SMALL GRANTS—EDUCATION FOR KNOWLEDGE-BASED ECONOMIC GROWTH <https://ge.usembassy.gov/demcomedu/>
- Second International Excellence School [http://iiq.gov.ge/wp-content/uploads/2024/04/Call-for-abstracts\\_2nd-IES.pdf](http://iiq.gov.ge/wp-content/uploads/2024/04/Call-for-abstracts_2nd-IES.pdf)
- მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (ISPC 2024) <https://eeu.edu.ge/portfolio/konferencia-7/>
- International Senior Fellowship Programme 2025/2026 <https://www.college-uaruhr.de/fellowship/application/call-for-applications>
- საგრანტო კონკურსი - საქართველოს მთიანი რეგიონების სკოლებში მეცნიერების პოპულარიზაცია და სამეცნიერო კვლევის სტიმულირება <https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atshadebs-2024-tslis-saqartvelos-mtiani-regionebis-skolebshi-metsnierebis-popularizatsia-da-sametsniro-kvlevis-stimulireba-sagranto-konkurs>
- საერთაშორისო კონფერენცია: "აკაკი ჩხენკელი - 150" <https://www.tsu.ge/ka/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90--%E2%80%9E%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98-%E1%83%A9%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98--150%E2%80%9C->
- 2024 წლის საკონფერენციო გრანტები - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი <https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atshadebs-sakonferentsio-grantebis-2024-tslis-konkurs>
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი კონკურსი <https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/240515103610shota-rustavelis-erovnuli-sametsniro-fondisa-da-italiis-kvlevebis-erovnuli-sabchos-CNR-ertoblivi-konkursi>
- 2024 წლის შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსი „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ <https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atshadebs-2024-tslis-shavi-zghvisa-da-zghvispira-regionis-kvlevebis-sagranto-konkurs-shavi-zghvis-lurdji-ganvitareba>



- საერთაშორისო კონფერენცია ETECH 2024 <https://etech.eka.edu.lv/>
- საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია "ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის" <https://www.tsu.ge/ka/news/XIII-%C2%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%C2%A0%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>
- ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის საინფორმაციო დღე (EIT) <http://horizoneurope.org/ge/ka/news/79>
- JRC-ის საზაფხულო სკოლა: [https://joint-research-centre.ec.europa.eu/jrc-summer-school-sustainable-finance/summer-school-sustainable-finance-2024-06-27\\_en](https://joint-research-centre.ec.europa.eu/jrc-summer-school-sustainable-finance/summer-school-sustainable-finance-2024-06-27_en)
- სულხან-საბა ორბელიანის საერთაშორისო კვირეული 2024 <https://www.sabauni.edu.ge/ka/content/internatsionalizatsia/saertashoriso-kvireuli-2024>
- 2024 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი <https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atshadebs-2024-tslis-doqtoranturis-saganmanatleblo-programebis-dafinansebis-konkurss>
- მეცნიერების და ტექნოლოგიების ევროპული თანამშრომლობის ასოციაცია COST <https://rustaveli.org.ge/geo/anonsebi/metsnierebis-da-teqnologiebis-evropuli-tanamshromlobis-asotsiatsia>
- საქართველოს ეროვნული არქივი - IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2024 <https://archive.gov.ge/ge/ix-saertashoriso-konferentsia-1>
- სეულის ეროვნული უნივერსიტეტი - საპრეზიდენტო სადოქტორო სტიპენდიები 2025 წლის საგაზაფხულო სემესტრისთვის <https://en.snu.ac.kr/admission/overview/notice?md=v&bbsidx=147651>
- საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია "სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის უსაფრთხოების კონფერენცია" <https://eta.edu.ge/ge/news/read/1489/saertashoriso-konferencia>
- ჰეგელის კონგრესი 2024 <https://hegel-kongress.gtu.ge/ge>
- ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) 2025 წლის სამუშაო პროგრამა <https://erc.europa.eu/news-events/news/erc-work-programme-2025-adopted>



- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის 2024 წლის ერთობლივი კვლევითი საგრანტო კონკურსი <https://rustaveli.org/ge/geo/siakhleebi/fondi-atshadebs-shota-rustavelis-saqartvelos-erovnuli-sametsniro-fondisa-da-oqsfordis-universitetis-saqartvelos-shemstsavleli-metsnierebebis-ertoblivi-kvleviti-programis-2024-tslis-sagranto-konkurss>
3. 2024 წლის 19-23 თებერვალს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოპი თემაზე „სამეცნიერო ეთიკა სასწავლო და კვლევით საქმიანობაში“, რომელსაც უძღვებოდა კომპანია Innovative Educational Connections პროექტების მენეჯერი, მაია მეტრეველი. შეხვედრის მიზანი იყო მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში არსებული აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის, აკადემიური გამოცდილებისა და პრევენციის საშუალებების შესახებ. მონაწილეებთან ასევე გაზიარდა ინფორმაცია ელექტრონული სამეცნიერო რესურსების გამოყენებასთან, სამეცნიერო ნაშრომებისა და ჟურნალების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.
  4. 2024 წლის 4 აპრილს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოპი თემაზე „სტუდენტთა მხარდაჭერა, ხელმძღვანელობა და მენტორობა სასწავლო და კვლევით საქმიანობაში“. ვორქშოპს უძღვებოდა ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის, სავეტერინარო მედიცინისა და ცხოველთა მეცნიერებათა ინსტიტუტის, ვეტერინარული ბიომედიცინისა და საკვების ჰიგიენის კათედრის უფროსი, ლექტორი კრისტი პრააკლე. ვორქშოპის მიზანი იყო მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმ აუცილებელი ცოდნისა და უნარების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს მათ გახდნენ წარმატებული მენტორები სტუდენტებისთვის.
  5. 2024 წლის 8 აპრილი-31 მაისის პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ კურსი „რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ში“, რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, სტატისტიკოსი და მონაცემთა ანალიტიკოსი, ცვატა ბერძენიშვილი. კურსის მიზანი იყო მონაწილეები გაცნობოდნენ მონაცემთა დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის განხორციელების ძირითად მეთოდებს SPSS პროგრამის გამოყენებით.
  6. 2024 წლის 28 მაისს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოპი თემაზე „მენტორინგი და სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა“, რომელსაც გაუძღვა იურისტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორი, შპს "წარმატების ჰაბი"-ს დამფუძნებელი, პერსონალური და პროფესიური განვითარების მენტორი, ქეთევან ჩომახაშვილი. ვორქშოპის მიზანი იყო



მონაწილეები გაცნობოდნენ ინფორმაციას მენტორინგისა და ხელმძღვანელობის პრინციპების შესახებ.

7. 2024 წლის 17 ივნისს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ვებინარი თემაზე „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენება სასწავლო პროცესში“, რომელსაც უძღვებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, გიგა ხოსიტაშვილი. ვებინარის მიზანი იყო მონაწილეებისთვის ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ გამოყენების საკითხების გაცნობა, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტების დეტექციის სირთულეების გაცნობა და აღნიშნულ თემაზე უახლესი სამეცნიერო კვლევების შედეგების გაზიარება.
8. ცენტრი კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს პლაგიატის შემოწმების მიზნით ელექტრონული პლატფორმის: <https://strikeplagiarism.com/> გამოყენების საკითხებზე.

გამოკითხვის შედეგების, შედეგების ანალიზისა და რეაგირებების შესახებ დეტალებისთვის იხ. დანართი 17 - პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ ანგარიშები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ჩატარებული პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.


**3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით.** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პერსონალის შეფასების ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად ასევე ხორციელდება მათი აკადემიური საქმიანობის მიხედვით, რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. აღნიშნული ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მათთან თანამშრომლობის, აკადემიური პროცესის სათანადოდ წარმართვის საკითხებს წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, ხოლო სტუდენტები, ასევე წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, აფასებენ სასწავლო კურსის წარმართვის პროცესში ლექტორით კმაყოფილების საკითხს, მათ მიერ გამოყენებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, ლექტორის მიერ ლექციის წარმართვის, ახსნის, ცოდნის გადაცემის უნარებს და ა.შ. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ქუთაისის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: <http://unik.euni.edu.ge/> და ელექტრონულ პლატფორმას: <https://www.surveymonkey.com/>. შეფასების შედეგები ჯამდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დგება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და



წლიური რეიტინგი ფაკულტეტების მიხედვით. აკადემიური პერსონალის საბოლოო შეფასებებში განსაზღვრული პროცენტული წილი ეთმობა პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს (ზემოაღწერილი პროცედურის შესაბამისად) და პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, მხოლოდ პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს. პროფესიული განვითარების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია შესაბამისი ფორმა, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განვითარების შესაძლო აქტივობებს, თითოეულ აქტივობას განესაზღვრება შესაბამისი ქულა, აქტივობის მასშტაბებისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაძლებელია პერსონალის მიერ ისეთი აქტივობის მითითებაც, რომელიც არ არის განსაზღვრული ანგარიშის ფორმით. ასეთი აქტივობის ქულა განისაზღვრება კომისიური წესით. ანგარიშებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან გამოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამსახურის ინიცირებით და რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ კი ხდება პერსონალისგან მიღებული ანგარიშების გაანალიზება და საბოლოო შედეგების განსაზღვრა. ხდება შეფასების შედეგების გათვალისწინება პერსონალის წლიური რეიტინგის დადგენაში.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისების მიზნით, კერძოდ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება და აკადემიური საქმიანობა შეფასდა 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, დაჯამებულია წლიური შეფასების შედეგებიც.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგები დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:






აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებსა და დეკანებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. ფაკულტეტის დეკანი რეაგირების ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეაგირების პროცესების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

დეკანების მიერ წარმოდგენილია 2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები. ანგარიშში აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, უკვე განხორციელებული აქტივობები (მაგ. კომუნიკაცია ლექტორებთან, კომუნიკაცია სტუდენტებთან, დასწრება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების მიზნით, პერსონალის დამატება, ტრენინგ-მოდულის შეთავაზება და ა.შ.), ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი 5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).


2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (აკადემიური პერსონალი: I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი; მოწვეული პერსონალი: I ადგილი - 1000 ლარი, II - ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი). ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ, რითიც დაწესებულება ხაზს უსვამს შეფასების პროცესში სტუდენტის მონაწილეობის მნიშვნელობას. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაჯილდოვდა საუკეთესო შედეგების მქონე 6 აკადემიური პერსონალი და 7 მოწვეული პერსონალი. ფაკულტეტების მიხედვით დაჯილდოვებული პერსონალის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 4 აკადემიური და 4 მოწვეული პერსონალი; მედიცინის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგის მქონე 2 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი. სულ დაჯილდოვდა ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 13 აკადემიური და მოწვეული პერსონალი.



2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგების მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაჯილდოვების თანხამ ჯამში შეადგინა 12 200 ლარი.

ფაკულტეტების მიხედვით დაჯილდოვების თანხები შემდეგნაირად ნაწილდება: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხამ შეადგინდა - 7 600 ლარი: აკადემიური პერსონალი - 4 500 ლარი და მოწვეული პერსონალი - 3 100 ლარი; მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხა კი განისაზღვრა 4 600 ლარით: აკადემიური პერსონალი - 2 500 ლარი და მოწვეული პერსონალი - 2 100 ლარი.



**შენიშვნა:** როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ, რითიც დაწესებულება ხაზს უსვამს შეფასების პროცესში სტუდენტის მონაწილეობის მნიშვნელობას. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია. რეიტინგში მაღალი შეფასების




მქონე პერსონალის რაოდენობასთან შედარებით ნაკლები და ამასთანავე, წესით განსაზღვრულისგან ნაკლები რაოდენობის პერსონალის დაჯილდოვება განაპირობა სწორედ აღნიშნულმა მიზეზებმა, ხოლო წესით განსაზღვრულისგან მეტი რაოდენობის პერსონალის დაჯილდოვება კი განაპირობა იმან, რომ უმაღლესი შეფასება (5 ქულა) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე დაიმსახურა ორმა აკადემიურმა და ორმა მოწვეულმა პერსონალმა.

2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგები ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ განთავდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: <https://www.unik.edu.ge/FacultyOfSocialSciences/188>, მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: <https://unik.edu.ge/FacultyOfMedicine/189>. ინფორმაციის საჯაროობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შეხედულებით ზრდის როგორც სტუდენტთა მოტივაციას მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში, ასევე, ზრდის პერსონალის მოტივაციას გააუმჯობესონ სტუდენტებისა და ადმინისტრაციის კმაყოფილება და შეფასების შედეგები.

**3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ.** 2020-2021 აკადემიური წლიდან ხრისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, კერძოდ კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს დამატა სტუდენტთა გამოკითხვა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასების მიზნით. აღნიშნული გამოკითხვის მიზანია შეფასდეს სტუდენტების მიერ მათი ხელმძღვანელთან მუშაობა რამდენიმე მიმართულებით: ხელმძღვანელის მიერ სილაბუსით განსაზღვრული საკონტაქტო საათების შესრულება, ნაშრომის სილაბუსის, მიზნების, სწავლის შედეგების, ნაშრომის შეფასების სისტემის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, ნაშრომის შესრულების დაგეგმვის, ნაშრომის სტრუქტურის მომზადების პროცესში, ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების განსაზღვრის პროცესში დახმარება, ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი მასალების მოძიების გზების შესახებ მიმართულებების მიცემა, სამეცნიერო ელქტრონული ბაზების ხელმისაწვდომობისა და მათი საშუალებით მასალების მოძიების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, შესრულებული სამუშაოს შესახებ რეგულარული უკუკავშირის მიწოდება, ხელმძღვანელისგან მიღებული კონსულტაციების, განმარტებების, მიმართულებების, დავალებების, შესრულებულ დავალებებზე მიღებული შენიშვნების, განმარტებების, უკუკავშირის მნიშვნელობა ნაშრომის შესრულებისა და დახვეწის პროცესში, ხელმძღვანელის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების, წყაროს მითითების, პლაგიატის საკითხებზე ყურადღების გამახვილება. სტუდენტი ამასთანავე აფასებს ხელმძღვანელთან მუშაობით ზოგად კმაყოფილებას და აქვს შესაძლებლობა გამოთქვას



დამატებითი მოსაზრებები და კომენტარები. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: <https://www.surveymonkey.com/>. 2023-2024 აკადემიურ წელს ქუთაისის უნივერსიტეტში აღნიშნულ შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებმა, შესაბამისად შეფასდნენ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელები. შეფასების შედეგები დადებითია, შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ ხელმძღვანელით? გთხოვთ, შეაფასოთ ნაშრომის ხელმძღვანელი ზოგადად“, რესპონდენტთა შეფასებაა უმაღლესი 5 ქულა. შეფასებების შედეგად არ გამოკვეთილა საყურადღებო საკითხები, რომლის საპასუხოდაც განხორციელდებოდა რაიმე ტიპის რეაგირება ფაკულტეტის ანდა სხვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ.




მოხდა მიღებული შეფასების შედეგების გაანალიზება და ფაკულტეტის დეკანისთვის გაზიარება (დეტალებისთვის იხ. დანართი 6 - ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირების ანგარიში).

**3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით.** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. შეფასების პროცესი რეგულირდება ქუთაისის უნივერსიტეტის სააუდიტორო მუშაობის შეფასების პროცედურების (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №17 ბრძანებით) შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შეფასება ხორციელდება რამდენიმე შემთხვევაში, მათ შორის, პერსონალის მიერ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების შემთხვევაში, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, წინა დაკვირვების საფუძველზე საყურადღებო საკითხების დაფიქსირების შემთხვევაში. შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, დარგის ან მომიჯნავე დარგის



სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელის, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენლის ჩართულობით. შეფასება ხორციელდება თითოეული შემფასებლის მიერ ინდივიდუალურად. შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. შეფასების შედეგები ასევე ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანს საჭიროების შემთხვევაში რეაგირებისთვის. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები აანალიზებენ შეფასების შედეგებს, განსაზღვრავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტი თანამშროლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით. საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლოა დაიგეგმოს განმეორებითი შეფასება. სააუდიტორო საქმიანობის აღნიშნული შეფასება ქუთაისის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა 2023-2024 აკადემიურ წელს. სულ განხორციელდა 15 სააუდიტორო მუშაობის შეფასება. განხორციელებული შეფასებებიდან უმეტეს შემთხვევაში შეფასება განხორციელდა ქუთაისის უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების მიზეზით, ერთ შემთხვევაში - სტუდენტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებისა და ერთ შემთხვევაში სააუდიტორო მუშაობაზე წინა დაკვირვების შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი ასპექტების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ 2023-2024 აკადემიური წლის შეფასებების შედეგად იყო შემთხვევები როცა დასწრების საფუძველზე გამოიკვეთა განმეორებით დასწრების საჭიროება რამდენიმე პერსონალთან: მედიცინის ფაკულტეტზე დაფიქსირდა 4 ასეთი შემთხვევა, ხოლო სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე განმეორებით დასწრების საჭიროება არ გამოვლინდა არცერთ პერსონალთან. სააუდიტორო მუშაობის შეფასებების რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით, დასწრების მიზეზებისა და დამდგარი შედეგების გათვალისწინებით შემდეგნაირად გამოიყურება:



სააუდიტორო მუშაობის შეფასებებისა და რეაგირებების პროცესში აქტიურადაა ჩართული სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელი, სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების შეფასების ანდა შეფასების პროცესში გამოკვეთილი საუკეთესო პრაქტიკაზე დაკვირვების, გამოვლენის, გათვალისწინების მიზნით. შეფასების შეჯამებული ანგარიშები გაზიარებულია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან საჭიროების შემთხვევაში რეაგირებებისთვის. 2023-2024 აკადემიური წლის შეფასებების საფუძველზე განხორციელდა პერსონალისთვის (მედიცინის ფაკულტეტის 4 პერსონალისთვის) ტრენინგ-მოდულების „სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“, „შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“ შეთავაზება სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ, პერსონალმა ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით. მედიცინის ფაკულტეტის დასახელებული პერსონალი დაესწრო სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგ-მოდულს „სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“

სააუდიტორო მუშაობის შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება და ამ მხრივაც პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. 2023-2024 აკადემიურ წელს აღნიშნული მიმართულებით შემთხვევები არ გამოვლენილა, თუმცა გასულ წლებში განხორციელებული შეფასების პროცესში, საუკეთესო პრაქტიკის სახით გამოვლინდა მედიცინის ფაკულტეტის ერთ-ერთი მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვისას სიმულატორებით (Virtual reality (VR)) სწავლების აქტიურად გამოყენება, რაც უზრუნველყოფდა ახსნილი მასალის სრულყოფილად გაგებასა და თვალსაჩინოდ მიწოდებას სტუდენტებისთვის, აღნიშნული ასევე მნიშვნელოვნად ზრდიდა სტუდენტთა ინტერაქციას ლექციის მსვლელობისას. ფაკულტეტის მიერ მოხდა შესაბამისი



მასტერკლასის ორგანიზება და კოლეგებისთვის შეთავაზება, ჩატარება, გამოვლენილი კარგი პრაქტიკის იმ პერსონალისთვის გაზიარების მიზნით, ვისი სასწავლო კურსის ფარგლებშიც აღნიშნული აქტივობა სათანადო და რელევანტურია (დეტალებისთვის იხ. დანართი 7 - სააუდიტორო მუშაობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები, შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები და რეაგირების ანგარიშები).

ზოგადად ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ აქტიურად მიმდინარეობს სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება. პერსონალისთვის აღნიშნული ტრენინგ-მოდულების რეგულარული შეთავაზება მიმდინარეობს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა კვლევებისა თუ შეფასებების საფუძველზე, ისე თავად ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პერსონალის საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული ცენტრის მიერ 2023-2024 აკადემიურ წელს რეგულარულად მიმდინარეობდა 8 სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ-მოდულის პერსონალისთვის შეთავაზება, კერძოდ:

1. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა - ტრენინგ-მოდულის მიზანია ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის გაღრმავება სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის პრინციპებში; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ზოგადი და საუნივერსიტეტო აკრედიტაციის სტანდარტების გაცნობა; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, შინაარსისა და მეთოდების სილაბუსში სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მონაწილეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.
2. შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია უნივერსიტეტში შეფასების მეთოდების გაუმჯობესება და თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობა; მონაწილეებისთვის შეფასების ძირითადი მიდგომების, ეროვნული სტანდარტების, შეფასების პრინციპებისა და ძირითადი კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; მონაწილეებისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარება.
3. სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მონაწილეებს გააცნოს სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები და აქტიური სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტები; უნივერსიტეტში სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის




სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაღრმავება; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებზე ორიენტირებული სწავლის მეთოდების სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მსმენელთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.


4. დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მსმენელებს გააცნოს ის უახლესი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შერეული სწავლების დროს, პირისპირ და ონლაინ სწავლებათა ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით წინასწარ შერჩეული ელ-პლატფორმების, ონლაინ კურსებისა თუ აპლიკაციების გამოყენების უპირატესობათა წარმოჩენა და მათი სასწავლო კურსებში იმპლიმენტირება.
5. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდული ორიენტირებულია პლაგიატის ამომცნობი პროგრამის: <https://strikeplagiarism.com/> ეფექტიან გამოყენებაზე სწავლებისა და შეფასების პროცესში.
6. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში - ტრენინგ-მოდულის მიზანია დამსწრეები გაეცნონ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებსა და მათი სწავლება-სწავლაში გამოყენების მექანიზმებს. ტრენინგზე განსახილველი საკითხებია: ხელოვნური ინტელექტის რაობა, ხელოვნური ინტელექტი განათლებაში, Chat-ზე დაფუძნებული AI ინსტრუმენტები და მათი გამოყენება, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება.
7. განმავითარებელი შეფასების, უკუკავშირისა და რეფლექსიის სტრატეგიები - ტრენინგ-მოდულის მიზანია შეფასების თანამედროვე მეთოდების განხილვა და სასწავლო პროცესში დანერგვის ხელშეწყობა. ტრენინგზე განსახილველი საკითხებია: შეფასების მიზანი, სახეები და პრიციპები, განმავითარებელი შეფასების არსი და მნიშვნელობა, უკუკავშირის ტიპები და გაცემის წესები, ეფექტური უკუკავშირის მახასიათებლები, რეფლექსიის მნიშვნელობა და სტრატეგიები.
8. ქეისებით და დილემებით სწავლება - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები - ტრენინგ-მოდულის მიზანია სტუდენტებს განუვითაროს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ტრენინგზე განსახილველი საკითხებია: ქეისებითა და დილემებით სწავლების მნიშვნელობა, ქეისების სახეები, ქეისების ძირითადი კომპონენტები, ქეისებსა და დილემებზე მუშაობის ეტაპები, კარგი ქეისის მახასიათებლები და გამოყენების ეფექტურობა, ქეისებით სწავლებისას წარმოქმნილი რისკები და მართვის გზები, ქეისისა და დილემის მაგალითები.



ტრენინგ-მოდულების აღნიშნული მიმართულებების შერჩევა განაპირობა უმაღლეს საგანმანათლებლო პროცესში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარების ტენდენციებმა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების აუცილებლობამ. როგორც უკვე აღინიშნა, შეთავაზებული ტრენინგ-მოდულების შეფასებისა და ამასთანავე პერსონალის საჭიროებების კვლევის მიზნით სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი ატარებს პერსონალის ყოველწლიურ გამოკითხვას. კვლევა ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის შეფასების, განვლილი ტრენინგების შეფასებისა და მათ შესახებ რეკომენდაციის, ასევე ტრენინგ-მოდულების ახალი თემატიკის შემოთავაზების საშუალებას იძლევა. გამოკითხვა ჩატარდა 2023-2024 აკადემიურ წელსაც. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის უნივერსიტეტის 51-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, მათგან 42 (82%) ესწრებოდა ცენტრის მიერ გასულ აკადემიურ წელს ჩატარებულ ტრენინგ-მოდულებს, შესაბამისად, მათი შეფასება განსაკუთრებით ღირებული იყო არსებული ტრენინგ-მოდულების შეფასების, მოდიფიცირებისა თუ კვლავ შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა, ანალიზის შედეგების მიხედვით პერსონალი დადებითად აფასებს შეთავაზებული ზემოაღნიშნულ 8 ტრენინგ-მოდულს და მათი შეთავაზების საჭიროებას:



დადებითადაა შეფასებული დასახელებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზების საჭიროებაც, პერსონალის შეფასებები (რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები) მოდულების საჭიროებების შესახებ შემდეგნაირად ნაწილდება:



შესაბამისად, ტრენინგ-ცენტრი კვლავ გააგრძელებს დასახელებული ტრენინგ-მოდულების რეგულარულ შეთავაზებას ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტრენინგ-მოდულები სახელწოდებით „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში“ 2020-2021 აკადემიურ წელს შემუშავდა სწორედ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების კვლევის საფუძველზე, ხოლო ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ტრენინგ-მოდული სახელოწოდებით შეფასების თანამედროვე მეთოდები, მედიცინის ფაკულტეტის შესაბამის პერსონალს მიეწოდება მოდიფიცირებული ფორმატით სააუდიტორო სივრცეში, სადაც აქცენტი კეთდება პრაქტიკულ კომპონენტზე.

2021-2022 აკადემიურ წელს არსებულ ტრენინგ-მოდულს „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში“, ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით დაემატა სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესახებ თემა, სადაც, ყურდლება მახვილდება ელ. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების საკითხებზე. ამდენად, 2021-2022 აკადემიურ წელს მნიშვნელოვნად განახლდა ტრენინგ-მოდული სახელწოდებით „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში“.

2022-2023 აკადემიურ წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად პერსონალის მიერ დაფიქსირდა სურვილი ტრენინგ-ცენტრის მიერ სწავლებისა და შეფასების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ახალი ტრენინგ-მოდულის შემუშავებასა და შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, შემუშავდა და 2023-2024 აკადემიური წლიდან აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნული ტრენინგ-მოდულის „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში“ პერსონალისთვის შეთავაზება.




2023-2024 აკადემიურ წელს ასევე მოხდა შემდეგი ახალი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის: „განმავითარებელი შეფასების, უკუკავშირისა და რეფლექსიის სტრატეგიები“ და „ქეისებით და დილემებით სწავლება - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები“.

აღსანიშნავია ასევე, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის საჭიროებების 2023-2024 აკადემიური წლის კვლევის შედეგების ანალიზის და სწავლა-სწავლების სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევების საფუძველზე სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი 2024-2025 აკადემიური წლიდან პერსონალს სთავაზობს 4 ახალ ტრენინგ-მოდულს: „ონლაინ-ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში“, „მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის გამოწვევები და შესაძლებლობები“, „თამაშზე დაფუძნებული სწავლება“ და „ჯგუფურ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“.

2023-2024 აკადემიურ წელს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს ჯამში დაესწრო ქუთაისის უნივერსიტეტის 316 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადების მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: 2023-2024 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულებში გადამზადდა სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 160 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის - 156 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ რაოდენობებში პერსონალი შესაძლებელია მეორდებოდეს, ერთი და იგივე პერსონალის რამდენიმე მოდულზე დასწრებიდან გამომდინარე.

2023-2024 აკადემიური წლის განმავლობაში ტრენინგ-მოდულების მიხედვით პერსონალის გადამზადება ქუთაისის უნივერსიტეტში მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით შემდეგნაირად გამოიყურება:




ტრენინგის დასახელება	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	39
სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში	120
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში	48
დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში	21
ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში	31
განმავითარებელი შეფასების, უკუკავშირისა და რეფლექსიის სტრატეგიები	30
ქეისებით და დილემებით სწავლება - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები	27

გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფაკულტეტებისა და ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:




სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განაწილება ტრენინგ-მოდულების მიხედვით:



ტრენინგის დასახელება	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	23
სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში	40
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში	26
დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში	16
ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში	19
განმავითარებელი შეფასების, უკუკავშირისა და რეფლექსიის სტრატეგიები	22
ქეისებით და დილემებით სწავლება - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები	14



მედიცინის ფაკულტეტზე გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



ტრენინგის დასახელება	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	16
სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში	80
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები	22
დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას	5
ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლებისას	12
განმავითარებელი შეფასების, უკუკავშირისა და რეფლექსიის სტრატეგიები	8
ქეისებით და დილემებით სწავლება - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები	13



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023-2024 აკადემიურ წელს ჩატარებული კვლევის შედეგად ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალი დადებითად აფასებს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ შეთავაზებულ ტრენინგ-მოდულებს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების კუთხითაც. დადებითი შეფასებები გამოიხატა შემდეგი მიმართულებებით: დისტანციური პლატფორმების მეტად გამოყენება სასწავლო პროცესში, ქვისების მეტად გამოყენება სასწავლო პროცესში, სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების მეტად გათვალისწინება, ხელოვნული ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო პროცესში, უფრო ეფექტური და სტუდენტზე მეტად ორიენტირებული სწავლება, სტუდენტთა თვითგანვითარების, კომუნიკაციისა და კრიტიკული აზროვნების, ანალიზის უნარის განვითარების მეტად ხელშეწყობა და ზოგადად სასწავლო პროცესის მეტად საინტერესოდ წარმართვა. აღნიშნული გამოხატავს და ხაზს უსვამს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ-მოდულების მნიშვნელობასა და ღირებულებას პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

გამოკითხვის შედეგების, შედეგების ანალიზისა და რეაგირებების შესახებ დეტალებისთვის იხ. დანართი 17 - პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ ანგარიშები, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ჩატარებული პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ტრენინგების შესახებ.

### **3.3. სასწავლო პროცესის შეფასება**

სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირების შეფასება უზრუნველყოფილია რამდენიმე მიმართულებით:

#### **3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდოლოგია.**

უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №52 ბრძანებით). მეთოდოლოგიის მიხედვით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი (აუდიტორიების რაოდენობა და გამტარუნარიანობა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჩასატარებელი საკონტაქტო საათების მიხედვით), ადამიანური რესურსი (როგორც პროგრამის ადმინისტრირების პროცესში ჩართული, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მეთოდოლოგიით დადგენილი ნიშნულების მიხედვით), ამასთანავე, ფასდება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო



რესურსი (ბიბლიოთეკაში არსებული ადგილებისა და სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში საშუალოდ გატარებული დროის გათვალისწინებით), პრაქტიკის ბაზების გამტარუნარიანობა (ობიექტების/კლინიკების რაოდენობის და ხელშეკრულებებით განსაზღვრული სტუდენტთა ერთდროულად მისაღები მაქსიმალური რაოდენობების გათვალისწინებით), შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის) შემთხვევაში ფასდება ასევე ლაბორატორიების გამტარუნარიანობა (ლაბორატორიების რაოდენობების, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ლაბორატორიაში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით), დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში კი ფასდება ასევე სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობა (ცენტრში არსებული სიმულაციური ოთახების რაოდენობის, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სიმულაციურ ცენტრში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით). მეთოდოლოგიით განსაზღვრული მოთხოვნების, დადგენილი სამიზნე ნიშნულების და თითოეული რესურსის შეფასების მეთოდების შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა აღწერილი ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში.

აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის რესურსების შეფასების საფუძველზე, გამოითვლება თითოეული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლის ხარისხიანად და ეფექტიანად მომსახურებასაც შეძლებს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მეთოდოლოგიის თანახმად დადგენილი რაოდენობები, სხვა მონაცემებთან ერთად (როგორცაა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა, სასწავლო წელს დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა) მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტების / სადოქტორო პროგრამაზე მისაღები კანდიდატებისთვის ადგილების გამოცხადების, გარე მობილობით მისაღები სტუდენტებისთვის ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემის შემთხვევებში, რათა მოხდეს უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული ზღვრული რაოდენობების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმების ფარგლებში ასევე, შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №19 ბრძანებით). პროცედურა ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგს ადგილების გამოცხადების ზემოაღნიშნული შემთხვევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.



ამდენად, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით ქუთაისის უნივერსიტეტში განისაზღვრება სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლებიც პროგრამის რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნენ ხარისხიანი განათლებით, ხოლო სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა და პროცედურით გათვალისწინებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მეთოდოლოგიით განსაზღვრული რაოდენობების შენარჩუნებასა და მონიტორინგს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2022-2023 აკადემიურ წელს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებები, რაც უკავშირდება შესაბამისი პროგრამების შემთხვევაში უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობის შეფასებას, კერძოდ, მეთოდოლოგიას დაემატა აღნიშნული რესურსების შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესში გამოყენებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის რესურსის და გამტარუნარიანობის შეფასება განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა აღნიშნული რესურსებით სასწავლო პროცესის სათანადოდ უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

ზემოაღნიშნული ცვლილებების ფარგლებში მეთოდოლოგიას ასევე დაემატა პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის შეფასება და დაზუსტდა კლინიკების გამტარუნარიანობის შეფასების მიდგომებიც. მეთოდოლოგია აერთიანებს პრაქტიკის ბაზებზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობებისა და პრაქტიკის ობიექტების რაოდენობების გათვალისწინებით პროგრამაზე მისაღები სტუდენტების პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის შეფასებას, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, თითოეული კლინიკური სასწავლო კურსის განხორციელებისთვის საჭირო კლინიკებით სტუდენტების უზრუნველყოფის შეფასებას, პარტნიორი კლინიკის რაოდენობებისა და კლინიკაში დასაქმებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსის გათვალისწინებით. აღნიშნული ცვლილებებიც, დაზუსტებაც ჩაითვალა განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტებით უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

უნივერსიტეტის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობა (1200 სტუდენტი) გამოთვლილია სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით. შესაბამისად, დადასტურებულია სათანადო რესურსებისა და არსებული რესურსებით სტუდენტთა სათანადოდ მომსახურების შესაძლებლობის არსებობა ზემოაღნიშნული განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.



ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2023-2024 აკადემიური წლის მიმდინარეობისას ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტების / სადოქტორო პროგრამაზე მისაღები კანდიდატებისთვის ადგილების გამოცხადების, მობილობით ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობების გაცემის შემთხვევებში, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურებით და დოკუმენტით განსაზღვრული ფორმის გამოყენებით ახდენდა სტუდენტთა რაოდენობის კონტროლს. (დეტალებისთვის იხ. დანართი 20 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა და მონიტორინგი: სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი და სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგის ცხრილები).

**3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა.** სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება კმაყოფილების კვლევები, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა. გამოკითხვის პროცესები, როგორც უკვე აღინიშნა რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №20 ბრძანებით) შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნული გამოკითხვის შედეგად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მართვის სტილს, ანაზღაურების საკითხებს და ა.შ. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა კი ემსახურება სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა, სასწავლო პროცესი, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვა. ზემოაღნიშნული გამოკითხვების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ქუთაისის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: <http://unik.euni.edu.ge/> ან/და ლექტრონულ პლატფორმას: <https://www.surveymonkey.com/>.


ზემოაღნიშნული კვლევები ქუთაისის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა 2023-2024 აკადემიურ წელსაც.

2023-2024 აკადემიურ წელს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა გამოკითხულ სტუდენტთა საერთო ჯამში უნივერსიტეტით მეტწილად კმაყოფილება, უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება საერთო ჯამში შეფასდა დადებითად:

**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი**




შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.5 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების 66% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 25% - 4 ქულით, 4.5% (2 რესპონდენტი) - 3 ქულით, ხოლო 4.5% (2 რესპონდენტი) - 1 ქულით:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	4.5%	0%	4.5%	25%	66%	4.5 ქულა

### მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.9 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების 31% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 42% - 4 ქულით, 19% - 3 ქულით, 5% (2 რესპონდენტი) - 2 ქულით, ხოლო 3% (1 რესპონდენტი) - 1 ქულით:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	3%	5%	19%	42%	31%	3.9 ქულა

სტუდენტთა კმაყოფილების დადგენის მიზნით შემუშავებული კითხვარი აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომენტარებისა და განმარტებების, მოსაზრებებისა და რჩევების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მიერ შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული სტუდენტების ნაწილმა.


2023-2024 აკადემიურ წელს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მხრივ და უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გამოკითხული პერსონალის კმაყოფილება:

### სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.8 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 82% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 9% - 4 ქულით, 5% (2 რესპონდენტი) - 3 ქულით, 2% (1 რესპონდენტი) - 2 ქულით, ხოლო 2% (1 რესპონდენტი) არ აფიქსირებს პასუხს შეკითხვაზე, უჭირს პასუხის გაცემა. შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით“



ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.6 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 73% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 20% - 4 ქულით, 5% (2 რესპონდენტი) - 3 ქულით, ხოლო 2% (1 რესპონდენტი) - 2 ქულით:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე	0%	2%	5%	9%	82%	2%	4.8 ქულა


	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	0%	2%	5%	20%	73%	0%	4.6 ქულა

### მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.8 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 89% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 8% - 4 ქულით, ხოლო 3% (1 პერსონალი) - 2 ქულით. შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა



ქულით შეფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.8 ქულა, შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 84% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 11% - 4 ქულით, ხოლო 5% - 3 ქულით.



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე	0%	3%	0%	8%	89%	0%	4.8 ქულა

	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	0%	0%	5%	11%	84%	0%	4.8 ქულა

პერსონალის კმაყოფილების დადგენის მიზნით შემუშავებული კითხვარი ამ შემთხვევაშიც აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომენტარებისა და განმარტებების, მოსაზრებებისა და რჩევების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მიერ შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული პერსონალის ნაწილმა.



გამოკითხვის შედეგები გაცილებით მრავალმხრივი, დეტალური და მოცულობითია, როგორც სტუდენტის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შემთხვევაში. შეფასების გაანალიზებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჯგუფდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიხედვით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულსა და სამსახურს (ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ბიბლიოთეკას, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრს, ლოგისტიკის სამსახურს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრს, საგამოცდო ცენტრს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და ა.შ.) ეგზავნება გამოკითხვის შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხები, სიღრმისეული შესწავლისა და რეაგირებისთვის. სტრუქტურული ერთეულები ყველა საჭირო რგოლთან თანამშრომლობით ახდენენ საყურადღებო საკითხებზე რეაგირებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას. რეაგირების ანგარიშები უკვე განხორციელებული ან დაგეგმილი აქტივობების შესახებ ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშებისა და შეფასების მიზნით. აღნიშნული კვლევები ქუთაისის უნივერსიტეტში ხორციელდება ყოველწლიურად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული გამოკითხვების შედეგად 2023-2024 აკადემიურ წელს გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაზიარებაც მოხდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სტრუქტურული ერთეულების მიერ საპასუხოდ განხორციელებულია არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რეაგირება (მაგალითად, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სტუდენტებთან და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან შეფასებების პროცესში იდენტიფიცირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების დამატება, რამდენიმე სტუდენტური კლუბის ჩამოყალიბება (მათ შორის უცხოელი სტუდენტებისთვის), პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება (სანტიაგო დე კომპოსტელას მედიცინის უნივერსიტეტის პროფესორის ვიქტორ მანუელ არსე ვასკესის მიერ ჩატარებული ტრენინგები: „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)/კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (CBL)“ და „ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE)/ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)“: <https://www.unik.edu.ge/News/1409>; დიდი ბრიტანეთის სვონსის უნივერსიტეტის პროფესორის, სამედიცინო განათლების ექსპერტის სტივენ ქეიპის მიერ ევროპის და ქუთაისის უნივერსიტეტის ლექტორებისთვის ჩატარებული ტრენინგები: დიდი ბრიტანეთის წამყვანი სამედიცინო სკოლების საუკეთესო პრაქტიკა და სამედიცინო განათლების უახლესი მიდგომები: <https://www.eu.edu/ge/ge/news/2428-britanelma-propesorma-stiven-keipim-evropis-universitetshi-treningebi-chaatara>), სტუდენტებისთვის



საშემოდგომო სკოლის განხორციელება პოლიტიკისა და დემოკრატიის თემებზე, საჯარო ლექციების ჩატარება სტუდენტებისთვის საინტერესო სხვადასხვა თემაზე, საგამოცდო ცენტრისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლობით საგამოცდო გვერდის შექმნა, უცხოელი სტუდენტების მონაწილეობით მათი კულტურისთვის დამახასიათებელი ფესტივალის მოწყობა, ბიბლიოთეკის სამუშაო დროის გაზრდა, პერსონალის ანაზღაურების გადახედვა, აუდიტორიების სმარტბორდებით აღჭურვა, კაფეტერიის მშენებლობა და ა.შ.), რომელთა შესახებ ანგარიშიც გაზიარებული და დადებითად შეფასებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (დეტალებისთვის იხ. დანართი 9 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები).

**3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით. 2023-2024** აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრებისა და შეხვედრებზე კონკრეტული საკითხების განხილვის გზითაც. შეხვედრების სერია განხორციელდა 28-30 მაისის პერიოდში, როგორც ფიზიკურად, საუნივერსიტეტო სივრცეში, ისე ონლაინ რეჟიმში (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტების შემთხვევაში), ელექტრონული პლატფორმის (Google Meet) გამოყენებით. შეხვედრები განხორციელდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ჯგუფებთან. შეხვედრებზე მოწვეული იყო შეხვედრაში მონაწილეობის მსურველი ყველა სტუდენტი.

შეხვედრის ფარგლებში, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს მიეწოდა ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მათი კომუნიკაციის შესაძლებლობების შესახებ, მოკლედ ეცნობათ შიდა სამართლებრივი აქტებით დარეგულირებული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ამასთანავე, მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული დოკუმენტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შესახებ, განემარტათ თუ რა ტიპის ინფორმაციას შეიძლება გაეცნონ დოკუმენტებით, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტში მათ უფლებებსა და ვალდებულებებს.

შეხვედრების მიზანს ასევე წარმოადგენდა სტუდენტების მხრიდან, საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სასწავლო და საგამოცდო პროცესების, მატერიალური და ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის ზოგადი შეფასება. შეხვედრები ასევე ემსახურებოდა სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარების მიზანს იმის შესახებ თუ რა რეაგირებები განხორციელდა და რა ნაბიჯები გადაიდგა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების მხრიდან წინა პერიოდში დაფიქსირებული რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოსაზრებების საპასუხოდ. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად



დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და დაესვათ შეკითხვები.

შეჯამდა და გაანალიზდა შეხვედრების შედეგები. გამოიყო სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირებული როგორც დადებითი შეფასებები, ასევე, საყურადღებო საკითხები. შეხვედრების შედეგების ანალიზი გაიგზავნა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, რომელთან დაკავშირებითაც გამოითქვა გარკვეული საყურადღებო საკითხები. ფაკულტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებს ეთხოვათ რეგირების ნაბიჯების დაგეგმვა, განხორციელება და რეაგირების ანგარიშების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ანგარიშებისა და შეფასებებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებულია რეაგირების მიზნით განხორციელებული ნაბიჯები (მაგალითად, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სტუდენტებთან და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან შეფასებების პროცესში იდენტიფიცირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა სტუდენტთა უფლებების, მათ შორის გასაჩივრების პროცედურების კიდევ ერთხელ გაცნობა, საბიბლიოთეკო რესურსებისა და სასწავლო პლატფორმის სათანადოდ გამოყენება, პლაგიატის პრევენცია და ა.შ. ბიბლიოთეკის თანამშრომლის დამატება, ბიბლიოთეკის სამუშაო დროის გაზრდა, საგამოცდო და სასწავლო განრიგების განსხვავებულად ორგანიზება, უცხოელი სტუდენტების მონაწილეობით მათი კულტურისთვის დამახასიათებელი ფესტივალის მოწყობა, საგამოცდო კომპიუტერული კლასის მოწყობა, შეფასების პროცესში დაფიქსირებულ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაზიარება სტუდენტებთან, როგორც ელ-ფოსტების, ისე შეხვედრების გზით, და ა.შ.). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა ფაკულტეტებისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან შედეგების გათვალისწინებისა და რეაგირებების შესახებ გაზიარებული დეტალური უკუკავშირის გაგზავნა სტუდენტებისთვის, რაც ემსახურება სტუდენტთა მოტივაციის გაზრდას მომავალში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, მათთვის რეაგირებების რეალური შედეგების დემონსტრირების გზით (იხ. დანართი 10 - სტუდენტებთან შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშები).

**3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ.** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ხდება სტუდენტების მიერ საგამოცდო პროცესების შეფასებაც. აღნიშნული მიზნით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ. გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ საგამოცდო პროცესების ორგანიზების საკითხებს, საგამოცდო საკითხების სილაბუსის შინაარსთან და სილაბუსით განსაზღვრულ საგამოცდო დავალებებთან შესაბამისობას,




გამოცდების მსვლელობისას საჭირო ინსტრუქციებით სტუდენტის უზრუნველყოფის, ასევე, გამოცდის დამკვირვებელთა ორგანიზებულობის საკითხებს. აღნიშნული საშუალებას აძლევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეაფასოს ზოგადად საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, სტუდენტების აღნიშნული პროცესებით კმაყოფილება, ამასთან, მოახდინოს შესაძლო გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს მათი გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ქუთაისის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: <http://unik.euni.edu.ge/> და ელექტრონულ პლატფორმას: <https://www.surveymonkey.com/>.

2023-2024 აკადემიურ წელს ჩატარებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება და მიმდინარეობა შეფასდა ორივე ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, მათ შორის, მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში, შეფასდა ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდებისა (OSPE) და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) ორგანიზება და მიმდინარეობა, ოსპისა და ოსკის გამოცდების შემთხვევაში კი საგამოცდო პროცესები შეფასდა ასევე გამომცდელების მიერაც. შეფასების შედეგები ძირითადად დადებითია: შეკითხვაზე „საერთო ჯამში გამოცდები იყო კარგად ორგანიზებული“, გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა დადებითად პასუხობს, კერძოდ, აღნიშნული საკითხის შეფასება ორივე ფაკულტეტის სტუდენტების მიერ შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.0 ქულა (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება). შეფასების შედეგები ფაკულტეტებისა და სემესტრების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:


### **სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი**

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების საგამოცდო პროცესების ორგანიზებით ზოგადი კმაყოფილება შუალედური გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 4.1 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება), ხოლო დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში - საშუალოდ კვლავ 4.1 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება). შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდებისა და სემესტრების მიხედვით სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:





### მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების საგამოცდო პროცესების ორგანიზებით ზოგადი კმაყოფილება შუალედური გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 3.8 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება), ხოლო დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში - საშუალოდ 4.2 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება). შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდებისა და სემესტრების მიხედვით მედიცინის ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:



მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საგამოცდო პროცესები, კერძოდ კი ოსპისა და ოსკის გამოცდების ორგანიზებითა და მიმდინარეობით კმაყოფილება შეფასდა როგორც სტუდენტების ისე გამომცდელების მიერ. შეფასების შედეგები დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:




მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები შინაარსის მიხედვით ეგზავნება საგამოცდო ცენტრს, ფაკულტეტს და ოსკის გამოცდების შემთხვევაში სიმულაციურ ცენტრს რეაგირებისთვის. საგამოცდო ცენტრი, ფაკულტეტისა და სიმულაციური ცენტრის თანამშრომლები სტუდენტთა კმაყოფილების გაზრდისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელებული სამუშაოებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიშს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განხორციელებული ნაბიჯების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. 2023-2024 აკადემიური წლის შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებისა და მიმდინარეობის შეფასების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად რიგ შემთხვევებში გამოვლენილია კონკრეტული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკადემიური წლის მიმდინარეობისას, როგორც საგამოცდო ცენტრის, ისე ფაკულტეტისა და სიმულაციური ცენტრის მიერ, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შედეგების გაუმჯობესების მიზნით მუდმივად



გრძელდება მუშაობა ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მხრიდან. უკვე განხორციელებული რეაგირებებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიში ფაკულტეტის დეკანის, საგამოცდო ცენტრისა და სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეფასების მიზნით. აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში არ გამოკვეთილა რეაგირების საჭიროებები (დეტალებისთვის იხ. დანართი 13 - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრისგან გამოითხოვს ანგარიშს გამოცდების მიმდინარეობის დროს სტუდენტთა გამოცდებიდან მოხსნის, მოხსნის მიზეზების, საგამოცდო შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების, ასევე, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების მიზეზების შესახებ. საგამოცდო ცენტრი დანართების სახით წარმოადგენს სტუდენტთა სააპელაციო განაცხადების განხილვის, განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების დამადასტურებელ ოქმებს. ანგარიში ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული პროცესების რეგულირებისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინების საკითხების შეფასებას. 2023-2024 აკადემიურ წელს საგამოცდო ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენილი ანგარიშების თანახმად დაფიქსირებულია დასაბუთებული მიზეზით სტუდენტთა გამოცდიდან მოხსნის, დაფიქსირებულია ასევე სტუდენტთა სააპელაციო განაცხადით მიმართვის შემთხვევები. უნივერსიტეტში ზოგადად ფიქსირდება სტუდენტთა მოთხოვნების დასაბუთებულად დაკმაყოფილებისა და დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევები.

2023-2024 აკადემიურ წელს შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგების გასაჩივრების მხოლოდ 1 შემთხვევა დაფიქსირდა საგამოცდო ცენტრის მიერ. სააპელაციო კომისიამ არ დააკმაყოფილა გასაჩივრების განაცხადი. მნიშვნელოვანია ღიზიანება, რომ გასულ წლებში დაფიქსირებულია შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგების გასაჩივრების გაცილებით მეტი შემთხვევა: 2022-2023 აკადემიურ წელს - ჯამში 13 შემთხვევა, 2021-2022 აკადემიურ წელს - ერთი შემთხვევა. სააპელაციო განაცხადი დაკმაყოფილდა სააპელაციო კომისიის მიერ ნაშრომის შინაარსობრივად შეფასების შედეგად რიგ შემთხვევაში. საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ზემოაღნიშნული ანგარიშების მიხედვით აპელაციის შემთხვევების რაოდენობა და აპელაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შემთხვევები შემდეგნაირად ნაწილდება დასახელებულ აკადემიურ წლებში ჩატარებულ შუალედურ, დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის:



ზემოაღნიშნული მონაცემები ადასტურებს, გასაჩივრებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში არსებული მექანიზმების სტუდენტების მიერ ცოდნასა და გამოყენებას, მონაცემებით ასევე დასტურდება გასაჩივრების შემთხვევებზე ობიექტური რეაგირება.

2023-2024 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგად საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რაიმე ტიპის რეაგირების მოთხოვნის საჭიროება (იხ. დანართი 14 - საგამოცდო ცენტრის ანგარიშები ნაშრომების შეფასებიდან მოხსნისა და აპელაციის შემთხვევების შესახებ).

**3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ.** პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ პრაქტიკის კომპონენტის დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ემსახურება პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტის მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკის მიმდინარეობის ზედამხედველობა, მენტორის მიერ პრაქტიკის პროცესის ზედამხედველობა, მენტორისგან საჭირო ინსტრუქციების მიღება, პრაქტიკის ფარგლებში ცოდნისა და უნარების მიღების უზრუნველყოფაში მენტორის დახმარება, პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, სილაბუსით განსაზღვრული საქმიანობის და საკონტაქტო საათების შესრულების უზრუნველყოფა მენტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება პრაქტიკის



სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელის შემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ კლინიკური სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ კლინიკისა და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ემსახურება კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო კლინიკის აღჭურვილობა, კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, კლინიკური სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ პაციენტზე/მანეკენზე დემონსტრირების საშუალებით სტუდენტის უზრუნველყოფა, სილაბუსით განსაზღვრული დროის შესრულების უზრუნველყოფა ლექტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელის შემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: <https://www.surveymonkey.com/>.


2023-2024 აკადემიურ წელს პრაქტიკის კომპონენტისა და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტების მიერ განხორციელდა როგორც სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის, ისე მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

### **სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი**

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ შეფასების შედეგები ცალსახად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.8 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის



სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“. პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ ორივე სემესტრის შედეგებით მაქსიმალური 5 ქულით შეფასდა, ხოლო, პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან ორივე სემესტრის შეფასების შედეგების მიხედვით საშუალოდ 4.9 ქულით შეფასდა:




### მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული კლინიკური სასწავლო კურსებისა და კლინიკის შეფასების შედეგები ასევე დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო კლინიკების აღჭურვილობით (პროექტორი, კომპიუტერი, სასწავლო მულაჟები)“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.9 ქულა. კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელებასთან დაკავშირებით, კლინიკების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების შეფასების ორივე სემესტრის შედეგები არის უმაღლესი 5 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ“. კლინიკური სასწავლო კურსებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.9



ქულით შეფასდა, ხოლო, კლინიკური სასწავლო კურსებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან კვლავ ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.3 ქულით შეფასდა:



მოხდა 2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგების გაანალიზება და ანალიზის შედეგების ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის გაზიარება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხვის შედეგების შესაბამისად არ დაფიქსირებულა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხები, რასთან დაკავშირებითაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდებოდა ანგარიშის გამოთხოვა გამოვლენილი მნიშვნელოვანი კომენტარების საპასუხოდ შესაბამისი მხარეების მიერ განხორციელებული რეაგირებების ანდა საპასუხო მოსაზრებების შეფასების მიზნით (იხ. დანართი 8 - პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი).

### 3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ.


სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე სტუდენტების მიერ მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით მიღებული ცოდნისა და გამოცდილების, სხვა ტიპის შედეგების შეფასება. გამოკითხვა ასევე ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნი და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.




პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე პერსონალის მიერ ასევე მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიურ მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების, სხვა ტიპის შედეგების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების შეფასება. გამოკითხვა ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნი და მასპინძელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: <https://www.surveymonkey.com/>.


2022-2023 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ქუთაისის უნივერსიტეტის 5-მა სტუდენტმა ჯამში, პირველ და მეორე სემესტრში, რომელთა გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“ გამოკითხული სტუდენტების შეფასება მაქსიმალური 5 ქულიდან უმაღლესი 5 ქულაა ორივე სემესტრის შეფასების შედეგებით, შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ცოდნა და გამოცდილება რაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობით შეიძინეთ“, გამოკითხული სტუდენტების შეფასება კვლავ უმაღლესი 5 ქულაა მაქსიმალური 5 ქულიდან, ორივე სემესტრის შეფასების შედეგებით. ასევე დადებითად შეფასდა სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორცაა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, დამატებითი პრაქტიკული უნარების განვითარება, კარიერული შესაძლებლობების გაუმჯობესება, უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე სტუდენტების მიერ უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 4.7 ან 5 ქულით, ორივე სემესტრის შეფასების შედეგების მიხედვით კი საშუალოდ 4.9 ან 5 ქულით. საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ორივე სემესტრის შედეგები დასახელებული შესაფასებელი საკითხების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



2023-2024 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმაც, რომლის გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. 2023-2024 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა უნივერსიტეტის 4-მა აკადემიურმა პერსონალმა, მხოლოდ მეორე სემესტრში. გამოკითხვის შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“, გამოკითხული პერსონალის შეფასება 2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგების მიხედვით მაქსიმალური 5 ქულიდან 4.5 ქულაა, ასევე დადებითად შეფასდა პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორცაა, კვალიფიკაციის ამაღლება (სწავლების, კვლევითი და ა.შ. უნარების გაუმჯობესება), მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენება, პროფესიური კონტაქტების დამყარება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე აკადემიური პერსონალის მიერ 2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგების მიხედვით მაქსიმალური 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 4.3, 4.5 ან 4.8 ქულით. საერთაშორისო აკადემიური მობილობით პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები დასახელებული შესაფასებელი საკითხების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



2022-2023 აკადემიურ წელს საერთაშორისო მობილობით ასევე ისარგებლა ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა პერსონალმაც, სულ 5-მა ადმინისტრაციულმა პერსონალმა ორივე სემეტრის ფარგლებში. გამოკითხვის შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“, გამოკითხული პერსონალის შეფასება ორივე სემესტრის შეფასების შედეგების მიხედვით მაქსიმალური 5 ქულიდან საშუალოდ 4.8 ქულაა, ასევე დადებითად შეფასდა პერსონალის მიერ საერთაშორისო მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორცაა, გამოცდილების მიღება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვადასხვა უნარის გაუმჯობესება, პროფესიული კონტაქტების დამყარება, სამუშაო პროცესთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკების შესწავლა, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სამუშაო პროცესში გამოყენება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის მიერ 2023-2024 აკადემიური წლის ორივე სემესტრის შეფასების შედეგების მიხედვით მაქსიმალური 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 4.8 ქულით. საერთაშორისო მობილობით ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები დასახელებული შესაფასებელი საკითხების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



2023-2024 აკადემიურ წელს ჩატარებული გამოკითხვისა და შეფასების შედეგების მიხედვით მნიშვნელოვანი საყურადღებო საკითხი არც სტუდენტის და არც აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან არ დაფიქსირებულა (დაფიქსირდა მხოლოდ აკადემიური პერსონალის მიერ ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებული საყურადღებო შემთხვევა). შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეაგირების მოთხოვნის საჭიროება. რაც შეეხება აღნიშნულ ერთ შემთხვევას, მოხდა საერთაშო ურთიერთობების სამსახურის მიერ შესაბამისი რეაგირება და რეაგირების შესახებ ანგარიშის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის გაზიარება ანგარიშგებისა და შეფასებებისთვის. ყველა სხვა შემთხვევაში შეფასების შედეგები გასაცნობად გაეგზავნა შესაბამის სამსახურს (იხ. დანართი 12 - საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი).


### 3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება მობილობით ქუთაისის უნივერსიტეტიდან გადასული და ქუთაისის უნივერსიტეტში გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა ყოველი მობილობის დროს, ქუთაისის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა სხვა უნივერსიტეტში გადასვლისა და ქუთაისის უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზების მოკვლევის მიზნით. მობილობის მონაწილე სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა: <https://www.surveymonkey.com/>. აღნიშნული გამოკითხვა ქუთაისის უნივერსიტეტში ჩატარდა 2023-2024 აკადემიურ წელსაც. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის უნივერსიტეტიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასულმა სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 8 სტუდენტმა (პირველი სემესტრის გამოკითხვის შედეგებით 4-მა, და მეორე სემესტრის გამოკითხვის შედეგებით ასევე 4-მა სტუდენტმა). მედიცინის



ფაკულტეტიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის გადასვლის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. წარმოგიდგინოთ ქუთაისის უნივერსიტეტიდან გადასვლის მაღალი პროცენტული მაჩვენებლების მქონე მიზეზების შეჯამებას. გამოკითხვის შედეგების თანახმად, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად სტუდენტების მხრიდან დასახელდა რამდენიმე საკითხი: ორივე სემესტრის გამოკითხვის შეჯამებული შედეგების შესაბამისად რესპონდენტთა 25% სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად ასახელებს მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში ისეთი საგანმანათლებლო პროგრამის არსებობას, რომელზეც სურდა სწავლის გაგრძელება. რესპონდენტთა 12.5%-ის მიერ სახელდება მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური ცხოვრება, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა, კარიერული განვითარების შესაძლებლობები და ასევე, ის ფაქტი, რომ ეროვნული გამოცდების შედეგებით ვერ მოხვდა მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში. რესპონდენტთა 37.5% ზემოაღნიშნულის პასუხად აფიქსირებს სხვა მიზეზს და აკონკრეტებს იმ ფაქტს, რომ ქუთაისის უნივერსიტეტს არ აქვს მისთვის სასურველი სპეციალობა, გადასვლის სხვა მიზეზად დასახელდა ასევე პირადი მიზეზი და ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ სურვილი, რომ სურდა განათლების მიღება სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ კითხვარი იძლევა რესპონდენტის მიერ გადასვლის რამდენიმე მიზეზის მონიშვნის შესაძლებლობას. ქუთაისის უნივერსიტეტიდან მობილობით გადასვლის მიზეზები რესპონდენტთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება:



კითხვარი იძლეოდა რესპონდენტების მხრიდან დამატებითი კომენტარებისა და განმარტებების დაფიქსირების შესაძლებლობას, დამატებითი საყურადღებო საკითხების, ან დასახელებულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების გამოვლენის მიზნით. გამოკითხვის შედეგად იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი,




რაც მობილობის მონაწილე სტუდენტების დიდი ნაწილის მიერ სახელდება ქუთაისის უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ: საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან (პროგრამის შინაარსი, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა და ა.შ.), საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი კვალიფიციური პერსონალი, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო (პერსონალთან კომუნიკაცია, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა.შ), სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები, უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური ცხოვრება, სწავლის საფასური და გადახდის პირობები, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კარიერული განვითარების შესაძლებლობა. გამოკითხვისა და შეფასებების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე საყურადღებო საკითხიც, კერძოდ, გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ დასახელებული გადასვლის მიზეზები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მიერ დაფიქსირებული გადასვლის გარკვეული მიზეზები, რესპონდენტთა ნაწილის მიერ გამოკითხვის პროცესში ამასთანავე სახელდება როგორც უნივერსიტეტის ძლიერი მხარე. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული ძლიერი მხარეები, როგორც უკვე აღინიშნა, დასახელებულია მობილობით გადამსვლელი სტუდენტების მიერ, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ღირებულებას სძენს შეფასებებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის შედეგები გაზიარებულ იქნა ფაკულტეტთან და წარმოდგენილია ფაკულტეტის პოზიციები დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით.

მობილობით ქუთაისის უნივერსიტეტში გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ქუთაისის უნივერსიტეტში გადმოსულმა 28 სტუდენტმა (პირველი სემესტრის გამოკითხვის შედეგებით 16-მა, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტზე გადმოსულმა 10-მა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე გადმოსულმა 6-მა სტუდენტმა, ხოლო მეორე სემესტრის გამოკითხვის შედეგებით სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე გადმოსულმა 12-მა სტუდენტმა). წარმოგიდგენთ უნივერსიტეტში გადმოსვლის მაღალი (20%-ზე მეტი) პროცენტული მაჩვენებლების მქონე მიზეზების შეჯამებას. მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის შედეგად იკვეთება, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში მათი გადმოსვლა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით, კერძოდ: ქუთაისის უნივერსიტეტში ისეთი საგანმანათლებლო პროგრამის არსებობა, რომელზეც სწავლობდა სტუდენტი (კრედიტების თავსებადობა), ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ მოქნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზება, ქუთაისის უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობა (პროგრამის შინაარსი, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა და ა.შ), ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიციური



პერსონალის მიერ განხორციელება, გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობები, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო (პერსონალთან კომუნიკაცია, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა.შ.), კარიერული განვითარების შესაძლებლობები, ქუთაისის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა/მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა, ქუთაისის უნივერსიტეტში ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, ქუთაისის უნივერსიტეტში მარტივად სწავლის შესაძლებლობა, სწავლის საფასური/გადახდის პირობები.

აღსანიშნავია, რომ კითხვარი იძლევა რესპონდენტის მიერ გადმოსვლის რამდენიმე მიზეზის მონიშვნის შესაძლებლობას. ქუთაისის უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მიზეზები რესპონდენტთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება:



აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში გადმომსვლელთა დიდი ნაწილი (39%) გადმოსვლის მიზეზად ქუთაისის უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო გარემოს (პერსონალი, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა.შ.) ასახელებს, რესპონდენტთა ასევე დიდი ნაწილის (32%) მიერ გადმოსვლის მიზეზად უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობა სახელდება, უნივერსიტეტში გადმომსვლელთა მნიშვნელოვანი ნაწილის (36%) მიერ გადმოსვლის მიზეზად დასახელებულია ქუთაისის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უნივერსიტეტის მიერ მოქნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზება, რესპონდენტთა 29% თვლის, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში ექნება უფრო ხარისხიანი



განათლების მიღების შესაძლებლობა, ასევე, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობები, უნივერსიტეტში გადმომსვლელთა 25%-ის მიერ გადმოსვლის მიზეზად დასახელებულია საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიციური პერსონალის მიერ განხორციელება და ქუთაისის უნივერსიტეტში კარიერული განვითარების მეტი შესაძლებლობები. რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (43%) გადმოსვლის მიზეზად საფასურსა და უნივერსიტეტის მიერ საფასურის გადახდასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას ასახელებს.

ამდენად, გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებები დადებითია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა შეფასების მიღებული შედეგების გაანალიზება და ანალიზის შედეგების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გაგზავნა გაცნობის მიზნით. რიგ შემთხვევაში წარმოდგენილია ფაკულტეტის პოზიციები გარკვეულ საყურდღებო საკითხებთან დაკავშირებით (დეტალებისთვის იხ. დანართი 11 - მობილობის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები).

#### **თავი 4. კვლევა**

კვლევითი საქმიანობის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და გულისხმობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებასა და ანალიზს.

##### **4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება**

კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან. ცენტრის მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის გამოთხოვა. პერსონალის შეფასების წესის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილია შეფასება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ ივსება ყოველწლიურად და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებებთან ერთად წარედგინება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ დადასტურებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშები მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახდენს შედეგების გაანალიზებას და აკადემიური პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ასევე,



სამომავლო აქტივობების დაგეგმვასა და ორგანიზებას აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

ზემოაღნიშნული წესი თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს (მინიმალური ქულების მოცულობას). დადგენილი მინიმალური მოთხოვნების და კმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით დადგენილი მოცულობის ანაზღაურებას, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერად განიხილება. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება აღნიშნული წესით ქუთაისის უნივერსიტეტში განხორციელდა 2023-2024 აკადემიური წლის ბოლოს (განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და ცენტრის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აგანხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალებისთვის იხ. წინამდებარე ანგარიშის 3.2.1. პუნქტი - აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით).

#### **4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით**

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებების დადგენისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელისგან გამოითხოვს ანგარიშს საერთაშორისო საგრანტო კონკურსში, ადგილობრივ საგრანტო კონკურსში, საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის მიხედვით ფასდება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიმართულებით აკადემიური პერსონალის აქტივობა. შესაძლოა გაიცეს რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით ცენტრის მხრიდან ინფორმაციის მეტად გაზიარებასთან, შესაბამისი კონსულტაციების გაწევასთან ან/და აქტივობების მეტად ინტენსიურად დაგეგმვასთან დაკავშირებით (იხ. დანართი 16 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში უნივერსიტეტის პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ). 2023-2024 აკადემიურ წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად:

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შეტანილ იქნა ერთი განაცხადი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტურ კვლევით საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:



	საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა	ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი	სტატუსი
<b>განაცხადი ადგილობრივი საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით</b>			
1	ადამიანური კაპიტალის განვითარების პოლიტიკა ევროკავშირში და კანდიდატი ქვეყნების დაახლოების პრობლემები (შედარებითი ანალიზი)	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევითი საგრანტო კონკურსი	გაიარა შესარჩევი ეტაპი, დაფინანსებასთან დაკავშირებით მოლოდინის რეჟიმში

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შეტანილ იქნა განაცხადი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტურ კვლევით საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით. განაცხადმა გაიარა შესარჩევი ეტაპი, დაფინანსებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მოცემულ მომენტში არ არის ცნობილი.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი საგრანტო კონკურსში მონაწილეობის დროს, საგრანტო განაცხადის მომზადების ეტაპზე სთავაზობს პერსონალს ინტენსიურ თანამშრომლობას და კონკულტაციებს შესაბამის მხარეებთან, განაცხადის ავტორებთან, მათი მხარდაჭერის, უფრო კონკრეტულად კი საგრანტო განაცხადების გამართვისა და სრულფასოვნად მომზადების მიზნით.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ 2023-2024 აკადემიური წლის ანგარიშის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა კომუნიკაცია ფაკულტეტების ადმინისტრაციასთან და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან პერსონალის ზემოაღნიშნული მიმართულებით გააქტიურებასთან, მათი ამ მხრივ საჭიროებების კვლევასთან და ხელშეწყობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

#### **4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ**

დაფინანსებული საგრანტო პროექტების მიმდინარეობის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ შეფასებისა და უნივერსიტეტისთვის პროექტის შედეგების მნიშვნელობის გაანალიზების მიზნით ქუთაისის უნივერსიტეტში შემუშავებულია საგრანტო პროექტების მიმდინარეობის შეფასების კვარტალური ანგარიშის ფორმა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ხდება მიმდინარე/დასრულებული საუნივერსიტეტო პროექტის შედეგების გაანალიზება და პროექტის შედეგების მნიშვნელობის შეფასება უნივერსიტეტისთვის. აღნიშნული შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის



ხელშეწყობის ცენტრის მიერ ხორციელდება საგრანტო პროექტების მიმდინარეობის/დასრულების შესახებ ფაკულტეტისგან მიღებული ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული ანგარიშები საშუალებას იძლევა შეფასდეს პროექტების სამეცნიერო პროდუქტიულობა, მაგალითად, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში პუბლიკაციების გამოქვეყნება, ან სხვა რაიმე სახის პროდუქტის, შედეგის მიღება, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების გავრცელება სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით. ანგარიში ასევე იძლევა საშუალებას შეფასდეს პროექტის ძირითადი მიღწევები, პროექტის პრაქტიკული ღირებულება ან/და შედეგების საგანმანათლებლო პროცესებში გამოყენების გეგმა. რადგანაც ბოლო დაფინანსებული საგრანტო კვლევითი პროექტი (საგრანტო პროექტი „სამხედრო და პოლიტიკური კონფლიქტების ეკონომიკური შედეგების შეფასება სინთეტიკური კონტროლის მეთოდით საქართველოს მაგალითზე“) დასრულდა 2021-2022 აკადემიურ წელს, პროექტის შედეგები წარმოდგენილია შესაბამისი აკადემიური წლის ანგარიშში. 2023-2024 აკადემიურ წელს კი შესაბამისად საგრანტო კვლევითი პროექტების მიმდინარეობის შეფასება არ განხორციელებულა. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2021-2022 აკადემიურ წელს მიმდინარე საგრანტო კვლევითი პროექტის შედეგების გავრცელება განხორციელდა 2022-2023 და 2023-2024 აკადემიურ წელსაც:

**საგრანტო პროექტი „სამხედრო და პოლიტიკური კონფლიქტების ეკონომიკური შედეგების შეფასება სინთეტიკური კონტროლის მეთოდით საქართველოს მაგალითზე“.** პროექტის ხანგრძლივობა: 8 თვე. პროექტის ბიუჯეტი: 10 000 ლარი. სტატუსი: დასრულებული. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასისტენტ-პროფესორი, აკაკი მოსახლიშვილი. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ასევე ქუთაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის პერსონალი და ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი.

პროექტი ემსახურებოდა ომისგან გამოწვეული მოკლე და საშუალოვადიანი უარყოფითი შედეგების დანახვას (არსებობის შემთხვევაში) და ამ ეფექტის სიდიდეზე წარმოდგენის შექმნას, აღნიშნული შედეგების შეფასებას. კვლევის ფარგლებში მიმოხილულია ის სტატისტიკური პროგრამები, რომლებიც სინთეტიკური კონტროლის მეთოდით კვლევის განხორციელების საშუალებას იძლევა (Stata და R).

კვლევითი პროექტის ფარგლებში მიღებული კვლევის შედეგები სასარგებლო იქნება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ეკონომიკის სპეციალისტებისთვის, ისტორიული მოვლენების შედეგების მკვლევარებისთვის, რეგიონული პროცესების ანალიტიკოსთათვის, სტუდენტებისთვის, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის და ფართო აუდიტორიისთვის. პროექტის კვლევის ძირითადი შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის მიზნით ქუთაისის უნივერსიტეტში ჩატარდა კვლევითი ნაშრომის „სამხედრო და პოლიტიკური კონფლიქტების ეკონომიკური შედეგების შეფასება



სინთეტიკური კონტროლის მეთოდით საქართველოს მაგალითზე” პრეზენტაცია: <https://unik.edu.ge/News/1568>. ამასთანავე, აღნიშნული კვლევითი ნაშრომი, პროექტის კვლევის ძირითადი შედეგები იბეჭდება სახელმძღვანელოს სახით. ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევითი ნაშრომი, პროექტის კვლევის ძირითადი შედეგები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://www.unik.edu.ge/News/1700>, რითაც კვლევის შედეგები ხემისაწვდომია დაიტერესებული პირებისათვის.

კვლევის მნიშვნელობა და ღირებულება გამოიხატება კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში გამოყენების მხრივაც, კერძოდ, პროექტის ფარგლებში შემუშავებული მასალების გამოყენება შესაძლებელია შესაბამისი სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში (ეკონომიკური ისტორია, ეკონომიკური ზრდა, კვლევის რაოდენობრივი მეთოდები, რეგიონული ეკონომიკა). აღნიშნული მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანია კვლევის შემდეგი ღირებულებების ხაზგასმა: ინტერდისციპლინური კვლევების დაწყების და განვითარების ხელშეწყობა (კვლევა საინტერესოა როგორც რეგიონულ, ასევე ეკონომიკურ, ისტორიულ და მეთოდოლოგიურ ჭრილში), შესაბამისი პროფილის დოქტორანტებისათვის საკვლევი პრობლემების გამოკვეთა.

კვლევას გააჩნდა პრაქტიკული ღირებულებაც. პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღნიშნოს შემდეგი საკითხები: რუსეთის აგრესიის ეკონომიკური შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლება, მიმდინარე კვლევების განხორციელება სხვადასხვა დარგის მკვლევარების ჩართულობით, მიმდინარე ეტაპზე გამოკვეთილ პრობლემებზე ჩაღრმავებით.


#### **4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება**

ქუთაისის უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტი „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №მ23 ბრძანებით), რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურად განხორციელების უზრუნველყოფას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას, ასევე, ხელს უწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვისათვის ქვეყნის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას. დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტებზე და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გამოცემებში ჩართულ პირებზე.



პლაგიატის აღმოჩენისა და ამ კუთხით ნაშრომების შეფასების მიზნით ქუთაისის უნივერსიტეტში გამოყენებულია ელექტრონული პროგრამა: <https://strikeplagiarism.com/>. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიხედვით პროგრამა გამოიყენება არამხოლოდ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შემოწმების მიზნით, არამედ ფართოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში ყველა ისეთი წერითი დავალების (ესსე, რეფერატი, პროექტი და ა.შ.) შესამოწმებლად, სადაც სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ითხოვს დავალებაში გამოყენებული მასალისა და წყაროების მითითებას. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია წერით დავალებებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ავტომატურად გაანულოს დავალების ქულა, ხოლო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი ხელმძღვანელის მიერ უბრუნდება სტუდენტს გადასამუშავებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ფაკულტეტებისგან გამოითხოვს შევსებულ ანგარიშს, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ზემოაღწერილი რეგულაციების შესრულების შეფასების მიზნით. ანგარიშის შევსება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ფაკულტეტის მხრიდან განხორციელდა 2023-2024 აკადემიური წლის ორივე სემესტრის ბოლოს. ნამუშევრების პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში გადამოწმების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება სემესტრების მიხედვით:



ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით არ არის სტუდენტის მხრიდან ნაშრომის განულების გასაჩივრების არცერთი შემთხვევა.




შევსებული ანგარიშების შეფასების საფუძველზე დადასტურდა ფაკულტეტის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში აღნიშნული მიმართულებით არსებული რეგულაციების შესრულება. ნაშრომები/წერიტი დავალებები შემოწმებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (სადაც აღნიშნულის საჭიროება და შესაძლებლობაა). პლაგიატის ნიშნებზე შემოწმებულია საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომებიც და სასწავლო კურსების ფარგლებში სხვადასხვა ტიპის წერიტი დავალებები, მათ შორის, ესსე, კვლევითი პროექტები, რეფერატები. ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების საფუძველზე საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რეაგირების მოთხოვნის საჭიროება (დეტალებისთვის იხ. დანართი 15 - სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიშები).

## თავი 5. მართვის პროცესები

მართვის პროცესების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდეც ერთი მიმართულებას და ითვალისწინებს ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევას და ამ კუთხით უნივერსიტეტის მართვის პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. გამოკითხვის პროცესი, როგორც უკვე აღინიშნა რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ20 ბრძანებით) შესაბამისად. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად ხდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, თითოეული თანამშრომლის მხრიდან ხდება სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან, ფუნქციებისა და მიზნების შეფასება, ადმინისტრაციული პერსონალი ასახელებს ფაქტორებს, რაც გაზრდიდა მათი ფუნქციების შესრულების ეფექტიანობას. ამასთანავე, სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხდება მოსაზრებების, რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარება ადმინისტრაციული თანამშრომლების მიერ. მართვის პროცესების შეფასება საშუალებას იძლევა შეფასდეს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა, გამოიკვეთოს აღნიშნულთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხები და გასაუმჯობესებელი მხარეები. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: <https://www.surveymonkey.com/>. მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად შესაძლოა შემუშავდეს რეკომენდაციები კონკრეტული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების მისამართით, მათ შორის მმართველი რგოლის მისამართითაც მიღებული შედეგების გაუმჯობესებისა და სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის



გაზრდის მიზნით. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს/სამსახურებს და პირებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. აღნიშნული გამოკითხვა ქუთაისის უნივერსიტეტში ჩატარდა 2023-2024 აკადემიური წლის ბოლოს, მოხდა შედეგების გაანალიზება. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის უნივერსიტეტის 22-მა ადმინისტრაციულმა პერსონალმა. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა საერთო ჯამში უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მათი მეტწილად კმაყოფილება: შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.1 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: პერსონალის 41% მაქსიმალური 5 ქულით აფასებს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას, 36% - 4 ქულით, 14% - 3 ქულით, ხოლო 9% - 2 ქულით:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	0.00%	9%	14%	36%	41%	4.1 ქულა

გამოკითხვის შედეგად ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სახელდება მნიშვნელოვანი დადებითი შეფასებები და უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის არაერთი ძლიერი მხარე: გუნდური მუშაობა, ურთიერთპატივისცემა და პატივისცემა სხვა თანამშრომლების მიმართ, საქმისადმი ლოიალური და პროფესიონალური დამოკიდებულება, კომპენენტური თანამშრომლები, საქმისადმი ერთგულება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, პერსონალის კვალიციკაციის ამაღლებაზე და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა,



ადმინისტრაციული პერსონალისთვის ნებადართული დამატებითი საათები აკადემიური საქმიანობისთვის, საქმის ხარისხიანად შესრულება, ყველა საჭირო რესურსით უზრუნველყოფილი გარემო, ეფექტური კომუნიკაცია ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თითოეული თანამშრომელთან კომფორტული თანამშრომლობა და კომუნიკაციის დამყარება, გამოცდილებების გაზიარება, შეკრული ჯგუფი, უნივერსიტეტში არსებული კარგად აწყობილი სისტემა და სწორად გადანაწილებული მოვალეობები, მკაფიო ინსტრუქციები შესასრულებელ დავალებასთან დაკავშირებით, მუდმივი უკუკავშირი, ღია და გახსნილი ურთიერთობა უშუალო ხელმძღვანელთან, საქმეზე ორიენტირებულობა, მაღალი ხარისხის პასუხიმგებლობის გრძნობა. მაღალკვალიფიციური კოლეგები, სწრაფი და ეფექტური კომუნიკაცია და გუნდური მუშაობის პრინციპი, და ა.შ.

ამასთანავე გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები, მათ შორის: არასწორად გადანაწილებული ფუნქციები, პერსონალის კომპეტენციათა განვითარების მიმართულებით გამოყოფილი ბიუჯეტის სიმცირე, არსებულ პრობლემებზე არადროული რეაგირება, კადრების გადინება, სახელფასო პოლიტიკა, დატვირთვა, და ა.შ. კითხვარი იძლეოდა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი რეკომენდაციების, მოსაზრებებისა და კომენტარების გაზიარების შესაძლებლობას, რათა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პირების მხრიდან შესაძლებელი ყოფილიყო სათანადო რეაგირებები მართვის ეფექტიანობის და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების გაზრდის მიზნით. პერსონალმა რიგ შემთხვევაში ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობებით.

გამოკითხვის შედეგები და ანალიზი გაეგზავნა ქუთაისის უნივერსიტეტის მენეჯმენტს, სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა სამსახურებთან ინდივიდუალური შეხვედრებიც, სადაც დეტალურად იქნა განხილული საყურადღებო საკითხები. გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიეცათ ინსტრუქცია რეაგირების ანგარიშის მომზადებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენის შესახებ. რეაგირების ანგარიშების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებებისთვის წარედგინა დეტალური ინფორმაცია გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების საპასუხოდ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური) მხრიდან განხორციელებული რეაგირებებისა (მაგალითად, განმავითარებელი შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება, ანაზღაურების საკითხების გადახედვა/კონკრეტულ შემთხვევებში შესაბამისად ცვლილება, ადმინისტრაციული პერსონალის მიერ გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობების შეთავაზება, შეხვედრები ადმინისტრაციულ პერსონალთან,



ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების საფუძველზე შესაბამისი წამახალისებელი მექანიზმების რეგულარული გამოყენება და ა.შ.) და დაგეგმილი რეაგირებების შესახებ, ანგარიშების საშუალებით ასევე წარმოდგენილია დასაბუთებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შემთხვევებზე არ ჩაითვალა რეაგირება საჭიროდ (დეტალებისთვის იხ. დანართი 18 - მართვის პროცესების შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ დეტალური უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაგზავნილ იქნა ადმინისტრაციულ პერსონალთან.

## თავი 6. შეფასების შედეგების გამოყენება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების ეფექტიანად გამოყენების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურსა და სტრუქტურულ ერთეულს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან იგეგმება და ხორციელდება გარკვეული რეაგირებები, განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს უკვე განხორციელებული რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას. განხორციელებული გამოკითხვის შედეგების შეფასებისა და ანალიზისა საფუძველზე მუდმივად ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, ასევე მექანიზმების ფარგლებში გამოყენებული ინსტრუმენტების დახვეწა და მოდიფიცირება. 2023-2024 აკადემიურ წელს აღნიშნული მიმართულებით ცვლილებები არ განხორციელებულა, თუმცა გასულ აკადემიურ წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და შესაბამის ინსტრუმენტებში, კერძოდ, გარკვეული ცვლილებები განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულ არაერთ კითხვარში, ანგარიშის ფორმაში, მაგალითად, დაიხვეწა და განახლდა საგანმანათლებლო პროგრამების წლიური განვითარების ანგარიშის ფორმა, კერძოდ, დაემატა ველები, რომლითაც შესაძლებელია მიეთითოს და შეფასდეს გარე შეფასებების (აკრედიტაციის/ავტორიზაციის) პროცესში



მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები. ასევე, დაკვირვების საფუძველზე, პროცესების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გაერთიანდა საგანმანათლებლო პროგრამების პირდაპირი და არაპირდაპირი გზით შეფასების განხორციელების მიზნით შემუშავებული კურსდამთავრებულების კითხვარი და ა.შ. პროცესების ზოგადი დაკვირვებისა და მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე, გამოიკვეთა ახალი კითხვარის დამატების საჭიროება, გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხების შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს დაემატა ახალი კითხვარი, კერძოდ, ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის პროცესებში მონაწილეობით კმაყოფილების კითხვარი. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში მნიშვნელოვანია აღნიშნოს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №52 ბრძანებით) შესული ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები უკავშირდება შესაბამისი პროგრამების შემთხვევაში უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობის შეფასებას, კერძოდ, მეთოდოლოგიას დაემატა აღნიშნული რესურსების შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესში გამოყენებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის რესურსის და გამტარუნარიანობის შეფასება განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა აღნიშნული რესურსებით სასწავლო პროცესის სათანადოდ უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. განხორციელებული ცვლილებების ფარგლებში მეთოდოლოგიას ასევე დაემატა პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის შეფასება და დაზუსტდა კლინიკების გამტარუნარიანობის შეფასების მიდგომებიც. მეთოდოლოგია აერთიანებს პრაქტიკის ბაზებზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობებისა და პრაქტიკის ობიექტების რაოდენობების გათვალისწინებით პროგრამაზე მისაღები სტუდენტების პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის შეფასებას, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, თითოეული კლინიკური სასწავლო კურსის განხორციელებისთვის საჭირო კლინიკებით სტუდენტების უზრუნველყოფის შეფასებას, პარტნიორი კლინიკის რაოდენობებისა და კლინიკაში დასაქმებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსის გათვალისწინებით. აღნიშნული ცვლილებებიც, დაზუსტებაც ჩაითვალა განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტებით უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

2023-2024 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასებების საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაზიარდა შესაბამის



სტრუქტურულ ერთეულებთან, სამსახურებთან, პირებთან. მიღებულია მათი მხრიდან განხორციელებული რეაგირებების შესახებ ანგარიშები, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა რეაგირებებია დაგეგმილი სამომავლოდ გარკვეულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით, რომლის განხორციელებაც ვერ მოხდა მოკლე დროში, კერძოდ, ანგარიშის წარმოდგენის პერიოდში. ანგარიშით განსაზღვრულია აღნიშნული დაგეგმილი რეაგირებების განხორციელების ვადები. რეაგირების ანგარიშებში ასევე წარმოდგენილია გამოვლენილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული პოზიციები, თუკი რეაგირება არ ჩაითვალა საჭიროდ ან მიზანშეწონილად.

2023-2024 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული რეაგირებებია:

გამოკითხვის ტიპი	გამოკითხვის ჩატარების თარიღი	გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზეც განხორციელდა რეაგირება	რეაგირებების მიზნით განხორციელებული აქტივობები	განხორციელებულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანაღზი (სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	კვლევის პროცესში გამოვლინდა შემდეგი საყურადღებო საკითხები: საბიბლიოთეკო რესურსებთან, კერძოდ, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით სტუდენტთა ნაწილის მიერ გამოითქვა ნაწილობრივი და სრული უკმაყოფილება. თუმცა არ დაფიქსირებულა დამატებითი კომენტარი აღნიშნულის შესახებ.	2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში ბიბლიოთეკის სამსახურის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან, შეხვედრებზე სტუდენტებს დეტალურად განემარტათ OPENBIBLIO-ს გამოყენების წესები და შესაძლებლობები, ასევე მიწოდდა ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის დეტალებზე. გარდა ამისა, შეხვედრაზე განხილული იყო უნივერსიტეტიში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების გამოყენების აუცილებლობა და წესები: <a href="https://www.facebook.com/share/p/1BYo5WFwpu/?mibextid=wwXlfr">https://www.facebook.com/share/p/1BYo5WFwpu/?mibextid=wwXlfr</a> შეხვედრის შემდეგ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტე ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნათ დასახელებული ინფორმაცია და ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდი სადაც დეტალურად არის აღწერილი საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების წესები:	ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი



			<a href="https://www.unik.edu.ge/Library/72">https://www.unik.edu.ge/Library/72</a> <a href="https://www.unik.edu.ge/Library/73">https://www.unik.edu.ge/Library/73</a>	
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზი (სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	სტუდენტების მიერ გამოითქვა სურვილი უფრო მეტი რაოდენობის სმარტმონიტორების არსებობის შესახებ.	2024-2025 აკადემიურ წლის დასაწყისში ქუთაისის უნივერსიტეტს დაემატა სმარტდაფები შემდეგ აუდიტორიებში: 105; 316; 401. საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორებითა და კომპიუტერებით.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზი (სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების გამოკითხვის შედეგებით, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევაში, მეტწაკლებად, ან სრულიად არ იცნობენ საგამოცდო პროცესთან დაკავშირებულ რეგულაციებს.	<p>გამოვლენილი საყურადღებო საკითხის საპასუხოდ, 2024-2025 აკადემიურ წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე განხორციელდა შეხვედრა სტუდენტებთან. შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების საკითხები, სტუდენტების უფლებები და მოვალეობები, შეხვედრის მსვლელობისას სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელისთვის დაეკვირვებინათ და მიეღოთ დამატებითი ინფორმაცია მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, საგამოცდო ცენტრის მხრიდან გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე კორპორატიული ელ-ფოსტებზე ეგზავნებოდა დეტალური ინფორმაცია საგამოცდო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. ასევე საგულისხმოა, რომ საგამოცდო ცენტრის ადმინისტრირების წესი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც.</p> <p>2024-2025 აკადემიურ წლის პირველი სემესტრის დასაწყისში საგამოცდო ცენტრმა მიიღო ოთხი ახალი თანამშრომელი დამკვირვებლის პოზიციაზე. მათ წინასწარ ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, სადაც დეტალურად გაეცნენ გამოცდის მსვლელობის საკითხებს, მათი და ასევე</p>	საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი



			სტუდენტის უფლება-მოვალეობებს, გამოცდაზე ქცევის წესებს.	
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანაღზი (სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	შეფასების პროცესში დაფიქსირდა სურვილი „რა, სად, როდის“ კლუბის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ასევე, დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე, პოლიტიკაზე და სხვა საინტერესო თემებზე საჯარო ლექციების მოწყობასთან დაკავშირებით.	<p>2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში ქუთაისის უნივერსიტეტში განხორციელდა კლუბების ჩამოყალიბება. მათ შორის შეიქმნა ინტელექტუალური თამაშის „რა?სად?როდის?“ კლუბი: <a href="https://www.facebook.com/photo?fbid=1188559189656074&amp;set=a.4731600511959">https://www.facebook.com/photo?fbid=1188559189656074&amp;set=a.4731600511959</a></p> <p>2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად ქუთაისის უნივერსიტეტში განხორციელდა საშემოდგომო სკოლა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეთავაზებული ჰქონდათ სწორედ პოლიტიკასთან, დემოკრატიასთან, თავისუფლებასთან დაკავშირებული თემები. კერძოდ 6 სალექციო კურსის ფარგლებში (სულ 18 სთ) გაიარეს შემდეგი თემები: ევროკავშირის შექმნის ისტორია, გაწევრიანების ეტაპები; ნატოს შექმნის ისტორია, გაფართოება და პარტნიორობა საქართველოსთან; მიგრაცია, უვიზო მიმოსვლა; ევროკავშირის ინსტიტუტები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები; საქართველოს პირველი რესპუბლიკა; კიბერუსაფრთხოება; დასკვნითი ღონისძიება გაიმართა თბილისში, ნატოს და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში, სადაც სტუდენტები შეხვდნენ ყოფილ ელჩს არჩილ ყარაულაშვილს, ცენტრის ხელმძღვანელს თამარ წულეისკირს, ნატოს სამეკავშირო ოფისის წარმომადგენელს.</p> <p>10-11 ივლისს, აშშ მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციამ" აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის პროექტი "დემოკრატიის საყრდენი" განახორციელა."დემოკრატიის საყრდენი" ამერიკული პროექტის "Know Your Government" ანალოგია, რომელიც ვაშინგტონის შტატში ხორციელდება.</p>	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი



		<p>2023-2024 აკადემიურ წელი, მრავალფეროვანი იყო ქუთაისის უნივერსიტეტში საჯარო ლექციების ჩატარების თვალსაზრისით:</p> <ul style="list-style-type: none"><li>- ქუთაისის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის წესები და პროცედურები“ მტკიცებულება: <a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0YJDzgYrwCxBPE39TSs2xS2URrTawVBN98CYwVnD9qAjp4U9aNyKBFCJqiRgmsG311">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0YJDzgYrwCxBPE39TSs2xS2URrTawVBN98CYwVnD9qAjp4U9aNyKBFCJqiRgmsG311</a>;</li><li>- განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერით ევროკავშირისა და კონდრად ადენაურის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ფარგლებში ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ პროექტი “დებატები მოხალისეობისთვის” განხორციელდა. <a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0BgNeyLWmZQrCdJb3mCgSKhZvGu3Pd17Xkr4p8jkh58wkkfoxtHVy78EMxixY14Ygl">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0BgNeyLWmZQrCdJb3mCgSKhZvGu3Pd17Xkr4p8jkh58wkkfoxtHVy78EMxixY14Ygl</a>;</li><li>- 20 ივნისს ქუთაისის უნივერსიტეტში რეგიონების ევროპული კომიტეტის წევრი, ჩეხეთის რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე, დოლნი სტუდენტის მუნიციპალიტეტის მერი და LAG (Local Action Group) Šumperský venkov-ის თავმჯდომარე, პროფესორი რადიმ სრშენი სტუდენტებს შეხვდა. <a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid02aYcvr5UaQWQm5ui5wfwgRckxjYvL7YPNvz1npzWcwA6Mej bLduxMSPVEE9pw2DGI">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid02aYcvr5UaQWQm5ui5wfwgRckxjYvL7YPNvz1npzWcwA6Mej bLduxMSPVEE9pw2DGI</a>;</li><li>- "სამოქალაქო ჩართულობის სკოლა 2024"-ის ფარგლებში, ტრენინგი თემაზე - "ევროატლანტიკური კურსი, სამოქალაქო ჩართულობა და სახელმწიფო მექანიზმები" გაიმართა. <a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0R19MhR22hiHqfaGaL">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0R19MhR22hiHqfaGaL</a></li></ul>
--	--	---



			<p><a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0tPiRyRpkmURr51KzXzqzzhbCjjjGFUjT6zKLaPZo6GBLxkmnNRSeohVffff6REGtl">WXJekyAjFDzjpRHVuUYUEZ7E1PvtNYiK9a4xXYY6icREYerl</a></p> <p>- ფსიქიკური ჯანმრთელობის ცნობიერების ამაღლების თვისთან დაკავშირებით, ქუთაისის უნივერსიტეტში შეხვედრა თემაზე - “ფსიქიკური ჯანმრთელობა და ცვალებადი სამყარო” გაიმართა. <a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0tPiRyRpkmURr51KzXzqzzhbCjjjGFUjT6zKLaPZo6GBLxkmnNRSeohVffff6REGtl">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0tPiRyRpkmURr51KzXzqzzhbCjjjGFUjT6zKLaPZo6GBLxkmnNRSeohVffff6REGtl</a></p> <p>- ქუთაისის უნივერსიტეტში პრეზენტაცია თემაზე “ტვინების გადინების გამოწვევა და მისი შედეგები სოციო-ეკონომიკურ კრილში” გაიმართა. <a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid02QV14aFp53GLzMYT2tHiLxCcDXWcK9vrhTz12CHQEz3oRCHk4KMSh17UWcktqJrqZ">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid02QV14aFp53GLzMYT2tHiLxCcDXWcK9vrhTz12CHQEz3oRCHk4KMSh17UWcktqJrqZ</a></p> <p>- 9, 19, 20 და 21 მარტს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ ქუთაისის უნივერსიტეტში ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის წევრებისთვის ტრენინგების სერია გაიმართა. <a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0AxSKyWhK4q6BEk9kFR5CwTCUuhwwP2pTL14oJjGtx1ZQ9ZdxhhYSitDa8sT6Cpxjl">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0AxSKyWhK4q6BEk9kFR5CwTCUuhwwP2pTL14oJjGtx1ZQ9ZdxhhYSitDa8sT6Cpxjl</a></p> <p>- 20 მარტს ქუთაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის და "ფინედუს" კოლაბორაციით, ფულის კვირეულთან დაკავშირებით, ტრენინგი თემაზე - “დაზოგვა, ბიუჯეტირება და ფინანსური უსაფრთხოება” გაიმართა. <a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid02wfxXMFzZBj6WNLi9Z43L9zjdVPAsJLNPGNbPaCVGpHcYNENBJ3UKrTq4r6UQ3u9l">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid02wfxXMFzZBj6WNLi9Z43L9zjdVPAsJLNPGNbPaCVGpHcYNENBJ3UKrTq4r6UQ3u9l</a></p> <p>- 19 მარტს ქუთაისის უნივერსიტეტში საჯარო ლექცია თემაზე - "სპორტული ჟურნალისტიკის ისტორია და თანამედროვე გამოწვევები" გაიმართა. <a href="https://www.facebook.com/KutaisiUnive">https://www.facebook.com/KutaisiUnive</a></p>
--	--	--	--



			<p><a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0FsNDiGoKBajBhZM2MRYqWY1dFCD9iX5icKdvJ26x3XRZsbrdVAgyE6wAijHJT5dl">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0FsNDiGoKBajBhZM2MRYqWY1dFCD9iX5icKdvJ26x3XRZsbrdVAgyE6wAijHJT5dl</a></p> <p>- 12 მარტს ქუთაისის უნივერსიტეტში შეხვედრა თემაზე - “შრომითი უფლებები, გამოსაცდელი ვადა, სტაჟირება” გაიმართა.</p> <p><a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0AdDVAcDsQJNtkediBB5H8NnPD5hmvVyLtDrDaZ499nz1jwvqvZPwKeMZSPVBkMirI">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0AdDVAcDsQJNtkediBB5H8NnPD5hmvVyLtDrDaZ499nz1jwvqvZPwKeMZSPVBkMirI</a></p>	
<p>სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალოზი (სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>1. რესპონდენტთა მიერ საყურადღებო საკითხად აღინიშნა შუალედები ლექციებს შორის.</p> <p>2. გამოკითხულ სტუდენტთა მიერ, საყურადღებო საკითხად, აღინიშნა სტუდენტების სიმცირის საკითხი.</p> <p>3. კვლევის შედეგების მიხედვით ფიქსირდება, რომ გამოკითხულ სტუდენტთა ნაწილისთვის მეტნაკლებად, ან სრულიად უცნობია ისეთი რეგულაციები როგორცაა: ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი; პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროდეცურები და მექანიზმები; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები.</p>	<p>1. აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ფაკულტეტის თანამშრომლობით, 2024-2025 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის ცხრილი ოპტიმალურად, ნაკლები საათობრივი წყვეტით დაორგანიზდა.</p> <p>2. სასწავლო პროცესის დაწყებასთან და მასში ჩართვასთან დაკავშირებით, სასწავლო წლის ყოველი სემესტრის დასაწყისში, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მენეჯერი მოქმედ და სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან გზავნის საინფორმაციო ტიპის შეტყობინებებს, როგორც SMS, ასევე ელექტრონული ფოსტით, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იდება ინფორმაცია, აკადემიური კალენდრისა და რეგისტრაციის ვადებთან დაკავშირებით.</p> <p>3. უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების და სტრუქტურული ერთეულების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სტუდენტებთან ტარდება ყოველ სემესტრული შეხვედრები. 2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში სტუდენტებს შეხვედრენ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, რომლებმაც სტუდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია, მათი უფლებების და უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობების შესახებ, ამასთანავე, 2024 წლის დეკემბერში ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად,</p>	<p>სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი</p>



			<p>ინდივიდუალურად შეხვდა სტუდენტებს, შეხვედრაზე დამსწრე სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია: სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების, პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებული მარეგულირებელი წესების შესახებ: <a href="https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0c82byzXhXQMQUycAyskxzeUK4MAX25ZvGnV6h843VTLuhDSfCEoTjaFDpLtbfhl?rclid=s3DEedi1Zvzr48aQ">https://www.facebook.com/KutaisiUniversity/posts/pfbid0c82byzXhXQMQUycAyskxzeUK4MAX25ZvGnV6h843VTLuhDSfCEoTjaFDpLtbfhl?rclid=s3DEedi1Zvzr48aQ</a>.</p> <p>გარდა ამისა, 2024 წლის 18 დეკემბერს ქუთაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის და მედიცინის ფაკულტეტის ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრა თემაზე "აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატი" გაიმართა. შეხვედრას უძღვებოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი. შეხვედრაზე განხილული იქნა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის საკითხები ასევე უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები: <a href="https://unik.edu.ge/News/1809">https://unik.edu.ge/News/1809</a>.</p>	
<p>სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანაღზი (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>სტუდენტები აფიქსირებენ სურვილს ბიბლიოთეკიდან წიგნების სახლში გატანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რადგან მათ გადატვირთული გრაფიკის გამო დღის განმავლობაში არ რჩებათ დრო ადგილზე იმუშაონ წიგნზე.</p> <p>სტუდენტები</p>	<p>ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო ლიტერატურა, მათ შორის უზრუნველყოფილია ბეჭდური სახით თოთოეული სახელმძღვანელოს რამდენიმე ეგზემპლარი. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა განაგრძობს მუშაობას სრულად უზრუნველყოს სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების შექმნა, რათა სტუდენტებს სრულად ყველა საჭირო სახელმძღვანელოზე</p>	<p>ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი</p>



		<p>აღნიშნავენ, რომ საჭიროა სავალდებულო ლიტერატურის მეტი ეგზემპლარი არსებობა საბიბლიოთეკო ფონდში. სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა სურვილი, რომ ბიბლიოთეკამ უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ბეჭდური სახით სასწავლო მასალის მიწოდება, თუკი მატერიალური სახით წიგნის გატანა შეუძლებელია ბიბლიოთეკიდან. გამოითქვა გარკვეული სურვილი ბიბლიოთეკის სამუშაო საათებთან დაკავშირებით. ითხოვენ ბიბლიოთეკა ღია იყოს შაბათს და კვირას, რადგან კვირის ბოლოს შედარებით მეტი თავისუფალი დრო აქვთ.</p>	<p>ჰქონდეთ წვდომა დისტანციურად. რაც შეეხება ბიბლიოთეკის სამუშაო საათებს, 2024 წლის ივლისიდან ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით დილის ცხა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე, მათშორის შესვენების დროს (1-2 საათი). ასევე, ბიბლიოთეკა მუშაობს შაბათს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე.</p>	
<p>სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალოზი (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>საყურადღებოდ გამოიკვეთა სანიტარული კვანძების სისუფთავესთან დაკავშირებული საკითხი. სტუდენტები კომენტარებში აფიქსირებენ, რომ ტუალეტები არ არის აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით.</p>	<p>ქუთაისის უნივერსიტეტის პირველ სართულზე, სველ წერტილებში უცხოელი სტუდენტების მოთხოვნით მოწერიდა ჰიგიენური დუშები, გაუმჯობესდა შიდა ინფრანსტრუქტურა.</p>	<p>ლოგისტიკის სამსახურის უფროსი</p>



<p>სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანაღზი (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი II სემესტრი</p>	<p>1. სტუდენტები კომენტარებში აფიქსირებენ გამოცდის მსვლელობისას Moodle-ის პლატფორმის არაკეთილსინდისერ გამოყენებისა სტუდენტების მიერ როდესაც საგამოცდო ტესტის სხვა სტუდენტის მიერ საგამოცდო ცენტრის გარედან დაწერის მცდელობა.</p> <p>2. კომენტარებში ფიქსირდება, რომ საგამოცდო ცენტრის მიერ ხშირად ხდება გამოცდის თარიღის და დროის ცვლილება, რაც გარკვეულ გაუგებრობებს და უხერხულობას ქმნის სტუდენტებისთვის. სტუდენტები რეკომენდაციის სახით აფიქსირებენ სურვილს, რომ არ მოხდეს გამოცდის დროის ცვლილება.</p> <p>3. სტუდენტები აფიქსირებენ მოსაზრებას, რომ უმჯობესია დაიბლოკოს სხვა ბრაუზერებით ან ფანჯრებით სარგებლობის ფუნქცია გამოცდების მიმდინარეობისას.</p>	<p>1. 2023-2024 აკადემიურ წლის მეორე სემესტრის გამოცდების ელექტრონულად ჩატარებისას სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა საგამოცდო ტესტის სხვა სივრციდან წერის მცდელობების შემთხვევები. საგამოცდო ცენტრმა დაფიქსირებული შემთხვევის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უშუალოდ საგამოცდო პაროლიც არ იყოს სტუდენტისთვის ცნობილი და სათითაოდ დამკვირვებელმა უზრუნველყოს მათი შეყვანა. ამით თავიდან იქნება აცილებული პაროლის გარეთ გატანის მცდელობა და სტუდენტების მიერ საგამოცდო ტესტის დაწერის მცდელობა.</p> <p>2. საგამოცდო ცენტრის მხირად გამოცდის თარიღის ცვლილება არ ხდება თუ სტუდენტებმა თხოვნით არ მიმართეს სამსახურს. არის შემთხვევა როდესაც ხდება ჯგუფის სესიებად დაყოფა და გამოცდამდე ორი დღით ადრე კორპორატიული მეილებზე ეგზავნებათ საინფორმაციო წერილები სტუდენტებს, სადაც ზუსტად ის დრო და აუდიტორია მითითებული სადაც კონკრეტული სტუდენტი უნდა გამოცხადდეს. რადგან აღნიშნული აღიქმებოდა, როგორც თარიღის ცვლილება და ამან გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია, 2024-2025 შემოდგომის სემესტრის შუალედური გამოცდების ცხრილთან ერთად გადაიგზავნა სახელობითი სია, გამოცდის ადგილისა და დროის მითითებით, რადგან ისევ არ გაჩენოდათ სტუდენტებს იმის განცდა, რომ გამოცდის თარიღში ცვლილებებია.</p> <p>3. საგამოცდო ცენტრმა და IT სამსახურმა იმუშავა საკითხის მოგვარებაზე და შექმნა საგამოცდო გვერდი. სანამ გამოცდები დაიწყება საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლები სტუდენტებს კომპიუტერებს ჩართულ მდგომარეობაში ახვედრებს, სადაც უშუალოდ ის გვერდია გახსნილი, რომლითაც უნდა წერონ გამოცდა, ამ გვერდზე შესასვლელად არსებობს</p>	<p>საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი</p>
---	--	---	---	---------------------------------------



			პაროლი, რომელიც სტუდენტებისთვის ცნობილი არაა, რადგან არ მოხდეს გამოსვლის მცდელობა და ჩვეულებრივი ბრაუზერიდან წერა.	
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალოზი (მედიცინის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	სტუდენტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ატვირთვა მოხდეს ელექტრონულ ბაზაში.	ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო ბაზაში განთავსებულია ყველა სტუდენტის პირადობის დამადასტურებელი ბარათი, ასევე მათი ფოტო სურათი. ბაზაში ეს ინფორმაცია სრულიად განახლდა და შეივსო 2024 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში.	სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის ხელმძღვანელი
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალოზი (მედიცინის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	1. სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს ინდური დღესასწაულების აღნიშვნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ასევე მათი აზრით მნიშვნელოვანია მსგავს ღონისძიებებში ქართველი სტუდენტების ჩართულობა. 2. რესპონდენტები აფიქსირებენ სტუდენტებისთვის სხვადასხვა კლუბების არსებობის საჭიროებას.	1. 2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით პირველად აღინიშნა დივალის ფესტივალი, რომელიც ინდუიზმის ერთ-ერთი პოპულარული და გავრცელებული დღესასწაულია. ფესტივალზე, სტუდენტებს დახვდათ სადღესასწაულო ატმოსფერო სხვადასხვა დეკორაციებითა და განათებებით. უცხოელმა სტუდენტებმა წარმოადგინეს რამდენიმე პერფორმანსი, რითაც ქართველ სტუდენტებს გააცნეს თავიანთი კულტურა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს უცხოელი და ქართველი სტუდენტების დაახლოებას, კულტურათა პატივისცემას. 2. ქუთაისის უნივერსიტეტში 2023-2024 აკადემიურ წლის განმავლობაში შეიქმნა რამდენიმე ახალი კლუბი, რომელიც ხელმისაწვდომია უცხოელი სტუდენტებისთვის, მაგ.: რა? სად? როდის?; ჭადრაკის კლუბი; სამაგიდო თამაშების კლუბი: <a href="https://unik.edu.ge/News/1785">https://unik.edu.ge/News/1785</a>	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა	2023-2024 აკადემიური წელი	1. Moodle-ის ელ. სისტემასთან დაკავშირებით სტუდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ	1. აღნიშნული საკითხის საფუძველზე, ფაკულტეტის მხრიდან გაიგზავნა წერილი ლექტორებთან, რომ კვირეულად ატვირთულ თემაიკას, მიეთითოს საგნის დასახელებაც სათაურში.	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი



<p>(სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)</p>		<p>სასწავლო კურსების მიხედვით თემები უნდა იყოს პოსტების სახით ნახსენები.</p> <p>2. სტუდენტები ითხოვენ ლანჩის შესვენებას ლექციებს შორის, განსაკუთრებით იმ დღეებში, როცა მათი დატვირთვა დიდია.</p> <p>3. დაფიქსირდა სურვილი, რომ ლექციების აღდგენა ისე დაიგეგმოს, რომ მოხდეს სასწავლო კვირის ზედმეტად გადატვირთვა.</p>	<p>2. ვინაიდან აღნიშნული ფაქტი, ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრის დროსაც დაფიქსირდა, სამუშაო და სასწავლო პროცესი იწყება 09:00 სთ.-ზე, შესაბამისად მეცადინეობებიც ჩასმულია აღნიშნული დროიდან და მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სტუდენტთა თხოვნა ახალი სასწავლო წლის განრიგში.</p> <p>3. 2024-2025 აკადემიური წლისთვის დაგეგმილი ყველა გადატანილი შეხვედრა იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ სტუდენტების თავისუფალი დრო მნიშვნელოვნად არ დაზარალებულიყო.</p>	
<p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>კვლევაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი ითხოვს სახელფასო პოლიტიკის გადახედვას.</p>	<p>2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში ანაზღაურება გაეზარდა სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 7 აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს.</p> <p>რაც შეეხება აფილირებული პერსონალის ანაზღაურების საკითხს, უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით თითოეული აკადემიური პოზიციისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით დადგენილი მოცულობის ანაზღაურებას, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ ხელშეწყობად და მხარდაჭერად განიხილება. ზემოაღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საფუძველზე გაცემულმა ანაზღაურებამ ქუთაისის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის 2023-2024 აკადემიურ წელს შეადგინა 51 500 ლარი.</p>	<p>ადამიანური რესურსებისა და საქმის წარმოების სამსახურის უფროსი</p>
<p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>კვლევაში მონაწილე პერსონალმა გამოთქვა მოსაზრება</p>	<p>კონდიციონერის პულტებთან დაკავშირებით პრობლემა სისტემურია, ყველა აუდიტორია</p>	<p>ლოგისტიკის სამსახურის უფროსი</p>



<p>ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)</p>		<p>მატერიალურ ტექნიკური რესურსების გაუმჯობესების შესახებ, მათ შორის კონდიციონერის პულტების არსებობა.</p>	<p>თავდაპირველად აღჭურვილი იყო შესაბამისი პულტებით თუმცა უმეტესი მათგანი დაიკარგა, შესაბამისად ამ ეტაპზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ თითოეულ სართულზე იყოს თითო პულტი და ასევე, რამდენიმე პულტი დეკანატების ოფისში. მუდმივ ხასიათს ატარებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესება, მაგალითად, მიმდინარე აკადემიურ წელს დმატებით რამდენიმე აუდიტორია აღიჭურვა სმარტ-დაფებით.</p>	
<p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>პერსონალის მიერ დაფიქსირდა სურვილი ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის მხრიდან აკადემიური კონკურსის შედეგების შესახებ უკუკავშირის გაზიარებასთან დაკავშირებით.</p>	<p>ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის მიერ ყველა პერსონალს, რომელიც მონაწილეობას იღებდა აკადემიური ან და მოწვეული პერსონალის შერჩევის კონკურსში, დაუბრუნდათ უკუკავშირი წერილობით ან/და შეხვედრის სახით კომუნიკაციის შედეგად. კომუნიკაცია დეტალურად აღწერდა პროცესსა და შედეგების მიღების ობიექტურ მიზეზებს.</p>	<p>ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი</p>
<p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>პერსონალი აფიქსირებს სურვილს აუდიტორიებში ჟალუზების გამოცვლასთან, ასევე, სტუდენტებისთვის დასასვენებელი სივრცის - კაფეტერიის მოწყობასთან დაკავშირებით.</p>	<p>მიღებული შეფასებების საფუძველზე განახლდა ჟალუზები აუდიტორიებში 316 და 212. სხვა აუდიტორიებში ამისი საჭიროება არ ფიქსირდება. 2024 წლის ბოლოდან უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ასევე, ადმინისტრაციისთვის ხელმისაწვდომია კაფეტერია, უნივერსიტეტის პირველ სართულზე.</p>	<p>ლოგისტიკის სამსახურის უფროსი</p>
<p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებით, გამოითქვა რეკომენდაციები, შეკითხვების გამოვლენის თავიდან აცილების შესახებ, მათ შორის სხვადასხვა</p>	<p>საგამოცდო ცენტრის მიერ ხდება საგამოცდო საკითხების მინიმუმ სამ და მაქსიმუმ ოთხ ვერსიად გამოთხოვა ყოველ სემესტრში. შესაბამისად ყველა ჯგუფი საგამოცდო ტესტის განსხვავებულ ვერსიას წერს. ასევე, დაბლოკილია სტუდენტებისთვის საგამოცდო საკითხებზე წვდომა საგამოცდო პერიოდის შემდეგ რითაც თავიდან</p>	<p>საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი</p>



		<p>აკადემიურ წელს, ასევე, გამოითქვა უკმაყოფილება Moodle-ის პლატფორმაზე ტესტების არასწორად ატვირთვის შემთხვევების გამო.</p>	<p>იქნა არიდებული საგამოცდო ტესტის გავრცელება. აღსანიშნავია, რომ საგამოცდო ცენტრი ქმნის კითხვების ბანკს, რომელიც თავიდან აარიდებს კითხვების განმეორების ან დამთხვევის ალბათობას. კითხვების ბანკის არსებობის შემთხვევაში ერთ აუდიტორიაში მყოფი სტუდენტებიც განსხვავებული ტიპის კითხვებს უპასუხებენ, რაც კიდევ უფრო მეტად გამართავს საგამოცდო პროცესს.</p> <p>2023-2024 აკადემიურ წლის მეორე სემესტრში საგამოცდო ტესტების ატვირთვისას დაფიქსირდა ხარვეზი რამდენიმე შემთხვევაში, თუმცა, აღნიშნულის გამო გაძლიერდა საგამოცდო ტესტების ატვირთვის შემდგომ მათზე მონიტორინგის პროცესი, რის შემდეგაც მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, საგულისხმოა რომ საგამოცდო ცენტრს დაემატა 2 ახალი სპეციალისტი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტესტების ატვირთვის Moodle-ის პლატფორმაზე და მათ გადახედვას.</p>	
<p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>პერსონალი გამოთქვამს სურვილს ჩაერთოს საერთაშორისო ტრენინგებში, რაც მათ პროფესიულ ზრდას შეუწყობდა ხელს.</p>	<p>2023 -2024 აკადემიურ წლის განმავლობაში ქუთაისის უნივერსიტეტში მოწვეულ იქნა უცხოელი კოლეგა, სანტიაგო დე კომპოსტელას მედიცინის უნივერსიტეტის პროფესორი ვიქტორ მანუელ არსე ვასკესი, რომელმაც პერსონალს ჩაუტარა ტრენინგები: „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)/კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (CBL)“ და „ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE)/ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)“:</p> <p><a href="https://www.unik.edu.ge/News/1409">https://www.unik.edu.ge/News/1409</a></p> <p>ასევე, 2024 წლის 2-6 აპრილის პერიოდში ევროპის უნივერსიტეტში ტრენინგები მიმდინარეობდა და მას დიდი ბრიტანეთის სფონსის უნივერსიტეტის პროფესორი, სამედიცინო განათლების ექსპერტი სტივენ ქეიპი უძღვებოდა. პროფესორმა სტივენ ქეიპიმ "ევროპის</p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი</p>



			<p>უნივერსიტეტის" ლექტორებს დიდი ბრიტანეთის წამყვანი სამედიცინო სკოლების საუკეთესო პრაქტიკა და სამედიცინო განათლების უახლესი მიდგომები გააცნო. შეხვედრას ესწრებოდნენ ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პერსონალიც: <a href="https://www.eu.edu.ge/ge/news/2428-britanelma-propesorma-stiven-keipim-evropis-universitetshi-treningebi-chaatara">https://www.eu.edu.ge/ge/news/2428-britanelma-propesorma-stiven-keipim-evropis-universitetshi-treningebi-chaatara</a></p> <p>2024 წლის ნოემბერში, ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მოწვევით, ამერიკის რადიაციული ონკოლოგიის პროფესორმა კრისტინა კილმა, ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და დაინტერესებულ პირთათვის საჯარო ლექცია "The Art of Radiation Therapy" გამართა. შეხვედრას ესწრებოდა როგორც სტუდენტები, ასევე პერსონალი <a href="https://unik.edu.ge/News/Category/7?page=2">https://unik.edu.ge/News/Category/7?page=2</a></p> <p>2024 წლის 25 მარტს თურქეთის ტელევიზიის ორგანიზებით, ლექცია "ქრონიკული ტკივილების ქირურგიული მკურნალობა" ჩატარდა, რომლის მოდერატორად ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული მეცნიერ თანამშრომელი ნანა ჭანჭალაიშვილი იყო მიწვეული. ვებინარში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცა ასევე, ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს. <a href="https://www.unik.edu.ge/News/1641">https://www.unik.edu.ge/News/1641</a></p> <p>გარდა ტრენინგებისა, აღსანიშნავია, რომ 2023-2024 აკადემიურ წელს არაერთი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან: "ანტალიის ბილიმის უნივერსიტეტი" (თურქეთი): <a href="https://www.unik.edu.ge/News/1572">https://www.unik.edu.ge/News/1572</a></p>
--	--	--	---



			<p>“EKA გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი” (ლატვია):  <a href="https://www.unik.edu.ge/News/1576">https://www.unik.edu.ge/News/1576</a>          “დაუგავპილსის უნივერსიტეტი” (ლატვია):  <a href="https://www.unik.edu.ge/News/1577">https://www.unik.edu.ge/News/1577</a>          “პერსონალის მართვის რეგიონთაშორისი აკადემია” (უკრაინა):  <a href="https://www.unik.edu.ge/News/1587">https://www.unik.edu.ge/News/1587</a>          „19 მაისის სახელობის უნივერსიტეტი“ (თურქეთი):  <a href="https://www.unik.edu.ge/News/1598">https://www.unik.edu.ge/News/1598</a>          „შიდელცეს უნივერსიტეტი“ (პოლონეთი):  <a href="https://www.unik.edu.ge/News/1602">https://www.unik.edu.ge/News/1602</a>          “ბალკანეთის საერთაშორისო უნივერსიტეტი” (ჩრდილოეთ მაკედონია):  <a href="https://www.unik.edu.ge/News/1623">https://www.unik.edu.ge/News/1623</a></p> <p>გაფორმებული საერთაშორისო ურთიერთობების მემორანდუმები ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებით ერთობლივი აქტივობების დაგეგმვას.</p>	
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	პერსონალის მიერ დაფიქსირდა სურვილი კვლევებში ჩართვასთან დაკავშირებით.	სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრის მხრიდან უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან რეგულარულად ზიარდება ინფორმაცია სხვადასხვა კვლევითი პროექტების, კონკურსების, დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ, ამასთან ცენტრი მომართვის საფუძველზე ახორციელებს საინფორმაციო მხარდაჭერას, კონსულტაციებს სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის პირობებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით.	სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრის ხელმძღვანელი
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	პერსონალის მიერ დაფიქსირდა საყურადღებო საკითხი საგამოცდო უწყისების ჩახურვასთან დაკავშირებით ინტეგრირებულ მოდულებში.  პერსონალი აფიქსირებს	სემესტრის განმავლობაში, სასწავლო ბაზაში ქულების ასახვის მონიტორინგი მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მენეჯერების მხრიდან. განსაკუთრებით კონტროლდება შუალედურ გამოცდებამდე, როცა 7 კვირის შედეგები უნდა იქნეს ასახული და დასკვნით გამოცდებამდე, როცა ყველა გასული კვირის აქტივობის შედეგები უნდა იქნეს ასახული.	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი



		<p>სურვილს სასწავლო ლიტერატურის არჩევის მპროცესში მის მეტად ჩართულობასთან დაკავშირებით.</p>	<p>აღნიშნული შემთხვევა გამოიწვია ელ. ბაზაში მოდულური საგნების ერთიანი უწყისის ქონამ, როცა რამოდენიმე ლექტორს ჰქონდა ერთ უწყისზე წვდომა და თუკი რომელიმე ერთი ჩახურავდა, ავტომატურად იხურებოდა წვდომა ყველასთვის. აღნიშნული ტექნიკური საკითხი გაიმართა და უკვე ინდივიდუალურად აქვს თითოეული საგნის განმახორციელებელს კონკრეტული საგნის უწყისზე წვდომა. გარდა ამისა, იმ კონკრეტულ საგნებში, სადაც მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა, ქეისი სტუდენტთა სასარგებლოდ გადაწყდა და სასწავლო ბაზის პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის დახმარებით, ყველა უწყისს გარეთ დარჩენილი ქულის შეტანა მოხდა.</p> <p>2024-2025 აკადემიურ წლის დასაწყისში, როგორც გასულ წლებში განხორციელდა დასახელებული სემესტრის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანლის შეხვედრა, შეხვედრაზე განხილული იქნა პროგრამის განვითარებისთვის შესაძლო ცვლილებები, მათშორის შეხვედრაზე პერსონალი თავისუფალი იყო გამოეთქვა მოსაზრებები ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ლიტერატურის განახლებაზე კონკრეტული რეკომენდაცია არ იქნა გაცემული.</p>	
<p>ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა</p>	<p>2023-2024 აკადემიურ წელი</p>	<p>1. შეფასების პროცესში, დაფიქსირდა მოსაზრება განსხვავებული ანაზღაურების და სახელფასო პოლიტიკის შესახებ. საყურადღებოდ შეფასდა უნივერსიტეტში არსებული წახალისების მექანიზმი.</p>	<p>1. 2023-2024 აკადემიურ წლის განმავლობაში, მოხდა რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ზრდა. კერძოდ, ცვლილება შეეხო შემდეგი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს: ბიბლიოთეკა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური. საერთო ჯამში გაიზარდა 5</p>	<p>ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი</p>



		<p>2. რესპონდენტთა მიერ, საყურადღებო საკითხად დაფიქსირდა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საკითხი უნივერსიტეტში</p> <p>3. შეფასების შედეგების მიხედვით გამოიკვეთა სამსახურში სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემის გამართვის საკითხი.</p> <p>4. გამოითქვა მოსაზრება მენეჯმენტის მიერ მიმდინარე საკითხების ეფექტიანობის მეთად მონიტორინგის შესახებ, შესრულებული სამუშაოს ობიექტურად შეფასების, უკუკავშირის გაზიარების შესახებ. ასევე, გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე დროული რეაგირებების სურვილი.</p>	<p>ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება.</p> <p>2. რაც შეეხება ადმინისტრაციული პერსონალის წახალისების მექანიზმებს, ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება, დაწესებულებაში დანერგილი წესის შესაბამისად. პერსონალის შეფასების შედეგების მიხედვით ადმინისტრაციული პერსონალის წახალისება შემდეგი პრინციპითაა შესაძლებელი: შეფასების სხვადასხვა შედეგის შესაბამისად სასაჩუქრე ვაუჩერი ან/და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, მადლობის გამოცხადება და სიგელის გადაცემა, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისი რეაგირება. 2023-2024 აკადემიური წლის განმავლობაში განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება და შესაბამისად განხორციელდა პერსონალის წახალისება, საერთო ჯამში შეფასებების შედეგად გაიცა ვაუჩერები 33 ადმინისტრაციულ თანამშრომელზე, ჯამში გაიცა 7900 ლარის სასაჩუქრე ვაუჩერი, რომელთა დანიშნულებასაც თავად პერსონალი ირჩევდა, ამასთან შეთავაზებული იყო პროფესიული გადამზადების ტრენინგ-მოდულიები. ამავე შეფასებების შედეგად, პერსონალთან ინდივიდუალური კომუნიკაციით გამოიკვეთა რიგი გადამზადებების საჭიროებები, გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური პერიოდულად ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებების კვლევას, მათ შორის, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. მიღებული შეფასებების შედეგად, 2023-2024 აკადემიურ წლის განმავლობაში ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდა შემდეგი გადამზადებები:</p> <p>- 2023 წლის ნოემბერში ადამიანური</p>	
--	--	--	---	--



		<p>რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის მხრიდან ადმინისტრაციული პერსონალისთვის შეთავაზებული იქნა ექსელში მოსამზადებელი კურსი. კურსზე დარეგისტრირდა 11 თანამშრომელი.</p> <ul style="list-style-type: none"><li>- 2023 წლის დეკემბრის თვეში შეთავაზებულ იქნა ტრენინგი - დროის მართვა. სულ გადამზადდა 12 ადმინისტრაციული პერსონალი.</li><li>- 2024 წლის 20-22 ნოემბერს, ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის (8 პირი) ჩატარდა ტრენინგი, ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა შეძლეს გაეღრმავებინათ შემდეგი უნარ-ჩვევები: ემპათია და ემოციური ინტელექტი; ეფექტური კომუნიკაცია; კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიის ადეკვატური შერჩევა; მოლაპარაკების წარმოება. პროფესიული განვითარების მიმართულებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ზოგადად უნივერსიტეტის მხარდაჭერა ადმინისტრაციული პერსონალისადმი. ამ მიმართულებით, 2023-2024 აკადემიურ წლის განმავლობაში 7-მა ადმინისტრაციულმა თანამშრომელმა ისრაგებლა სრულად დაფინანსებული გამავალი ადმინისტრაციული მობილობით. ხოლო, მიმდინარე 2024-2025 აკადემიურ წელს ერაზმუს+ საერთაშორისო ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში 8 ადმინისტრაციული პერსონალი გაემგზავრება პარტნიორ უნივერსიტეტებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.</li></ul> <p>3. სამუშაო საათების აღრიცხვასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემა: <a href="https://work.unik.edu.ge/home">https://work.unik.edu.ge/home</a>. თითოეული თანამშრომლის ნამუშევარი დრო აღრიცხება აღნიშნული სისტემის ფარგლებში.</p>	
--	--	---	--



			<p>ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური რეგულარულად აგზავნის შეტყობინებებს პერსონალთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სადაც ხაზგასმულია, სამუშაო დროის აღრიცხვის დანერგილ სისტემაში ფაქტობრივად ნამუშევარი სამუშაო დროის აღრიცხვის სიზუსტის საკითხი. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის მხრიდან, როგორც უკვე აღინიშნა 2023-2024 აკადემიურ წელს განხორციელდა შეხვედრები თითოეული სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების დროს, კიდევ ერთხელ მოხდა პერსონალთან საუბარი იმის შესახებ თუ რამდენად აუცილებელია დაიცვას შრომის დისციპლინა და რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო.</p> <p>4. მენეჯმენტის მიერ თანამშრომელთა შესასრულებელი სამუშაოს შესრულების მონიტორინგზე და შესაბამისი უკუკავშირების გაცემაზე დაფიქსირებულ შეფასებებზე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე სამუშაო პროცესში სრულად ჩართულია კურატორი ვიცე რექტორები და რექტორი, მათ ყოველდღიურად კომუნიკაცია აქვთ თანამშრომლებთან, რათა ეფექტიანად წარიმართოს დაგეგმილი პროცესები. გარდა ამისა, 2023-2024 აკადემიური წლიდან ქუთაისი უნივერსიტეტის რექტორი სამსახურის ხელმძღვანელებთან და პერიოდულად ყველა ადმინისტრაციულ პერსონალთან მართავს შეხვედრებს, სადაც განიხილება დაგეგმილი საკითხების შესრულების ეტაპები და გაიცემა შესაბამისი უკუკავშირები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მენეჯმენტი ჩართულია ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში, შესაბამისად</p>	
--	--	--	--	--



			ადმინისტრაციული პერსონალი ამ მექანიზმითაც იღებს უკუკავშირს.	
ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა	2023-2024 აკადემიური წელი	კვლევის პროცესში გაიცა რეკომენდაცია, ბიბლიოთეკაში პროექტორის დამატებასთან დაკავშირებით.	ბიბლიოთეკის პირველ სართულზე დამატებულია პროექტორი, რომელიც გამოიყენება როგორც შეხვედრების, ასევე სტუდენტების მიერ პროექტებისა და სხვადასხვა აქტივობების შესრულების დროს.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი
სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	სტუდენტებთან შეხვედრის შედეგად გამოვლინდა შემდეგი საყურადღებო საკითხები: - სტუდენტების ნაწილი სათანადოდ არ იცნობს საბიბლიოთეკო პროგრამას - OPENBIBLIO, ლიტერატურის საჭიროების შემთხვევაში მიდიან ბიბლიოთეკის ოფისში, მხოლოდ ამ გზით იყენებენ ლიტერატურას საბიბლიოთეკო ფონდიდან; - სტუდენტების ნაწილი სათანადოდ არ იცნობს უნივერსიტეტში ხელმისაწვდომ სამეცნიერო ბაზებს და მათი გამოყენების შესაძლებლობებს.	2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში ბიბლიოთეკის სამსახურის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან, შეხვედრებზე სტუდენტებს დეტალურად განემარტათ OPENBIBLIO-ს გამოყენების წესები და შესაძლებლობები, ასევე მიეწოდათ ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის დეტალებზე. გარდა ამისა, შეხვედრაზე განხილული იყო უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების გამოყენების აუცილებლობა და წესები: <a href="https://www.facebook.com/share/p/1BYo5WFwpu/?mibextid=wwXlfr">https://www.facebook.com/share/p/1BYo5WFwpu/?mibextid=wwXlfr</a> შეხვედრის შემდეგ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნათ აღნიშნული ინფორმაცია და ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდი სადაც დეტალურად არის აღწერილი საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების წესები: <a href="https://www.unik.edu.ge/Library/72">https://www.unik.edu.ge/Library/72</a> <a href="https://www.unik.edu.ge/Library/73">https://www.unik.edu.ge/Library/73</a>	ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი
სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)	2023-2024 აკადემიური წელი	სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შედეგად გამოვლინდა შემდეგი საყურადღებო საკითხები: - სტუდენტების გარკვეულ ნაწილს	საგამოცდო ცენტრის მიერ, გამოვლენილი საყურადღებო საკითხე რეაგირების მიზნით დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა სტუდენტებთან, სტუდენტებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებით, მათსორის დეტალურად იქნა განხილული საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრების	საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი



		<p>არ აქვს ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურის დეტალებზე;</p> <p>- სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა თხოვნა შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების ბაზაში დროულად ასახვასთან დაკავშირებით.</p>	<p>შესაძლებლობები და პროცედურები, გარდა ამისა საგამოცდო ცენტრის მიერ, სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია ეგზავნებათ რეგულარულად, ელექტრონული ფოსტების საშუალებით საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებით.</p> <p>საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელმა სამუშაო შეხვედრა ჩაატარა ლექტორებთანაც. სადაც კიდევ ერთხელ განიხილეს ყველა საყურადღებო საკითხი საგამოცდო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის, მათ შორის ხაზი გაესვა, ისეთ მნიშვნელოვან საკითხს როგორც არის საგამოცდო ნამუშევრების დროულად შემოწმება და საგამოცდო ცენტრისთვის წარდგენა.</p> <p>ამასთანავე, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანლის მიერ გამომცდელებთან და ცენტრის ახალ თანამშრომლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც დეტალურად მოხდა იმ საკითხების მიმოხილვა, რომლებიც სამუშაო პროცესში მნიშვნელოვანია, ასევე ყურადღება გამახვილდა სტუდენტებისთვის დეტალური და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების საკითხზე: <a href="https://unik.kerley.ge/1770/">https://unik.kerley.ge/1770/</a>.</p>	
<p>სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>სტუდენტებთან შეხვედრისას გამოვლინდა შემდეგი საყურადღებო საკითხი: სტუდენტების ნაწილი არ ადასტურებს სასწავლო პროცესში „Moodle“-ის პლატფორმის გამოყენების შესაძლებლობის ცოდნას და მხოლოდ ნაწილი ადასტურებს პლატფორმის გამოყენების შემთხვევებს.</p>	<p>2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ, სამუშაო შეხვედრა გაიმართა სტუდენტებთან. შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად განხილული იყო სასწავლო პლატფორმა „Moodle“-ის გამოყენების შესაძლებლობები. შეხვედრაზე დეტალურად განიმარტა პლატფორმის რესურსები და ამ რესურსების გამოყენების შესაძლებლობები. სტუდენტებთან შეხვედრამდე, სამსახურს კომუნიკაცია ჰქონდა სემესტრის განმახორციელებელ პერსონალთან და მათი მხრიდან სემესტრის დასაწყისში დაიწყო სასწავლო მასალისა და სხვა საჭირო დეტალების ასახვა მუდლის პლატფორმაზე: <a href="https://unik.kerley.ge/quthaisis-">https://unik.kerley.ge/quthaisis-</a></p>	<p>სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის ხელმძღვანელი</p>



			<a href="https://www.universitetis-sastsavlo-protsisis-administriribis-samsakhurma-studentebthan-sainphormatsio-shekhvedra-gamartha/">universitetis-sastsavlo-protsisis-administriribis-samsakhurma-studentebthan-sainphormatsio-shekhvedra-gamartha/</a>	
<p>სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>1. სტუდენტთა გარკვეული ნაწილი არ იცნობს იმ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს, რომელზეც ირიცხება.</p> <p>2. სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ, ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ თუ სად არის აღნიშნული განთავსებული.</p> <p>3. სტუდენტთა ნაწილი არ ფლობს პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტში არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციას.</p> <p>4. საყურადღებო საკითხად დასახელდა სასწავლო განრიგში არსებული შუალედები, არათანაბარი დატვირთვა კვირის განმავლობაში.</p> <p>5. სტუდენტების მხრიდან ასევე საყურადღებოდ დასახელდა სასწავლო ბაზაში ქულების ასახვის საკითხი. საკითხი ეხება, როგორც მიმდინარე შეფასებებს, ასევე</p>	<p>1. ყოველი სემესტრის დასაწყისში, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ხორციელდება შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან. აღნიშნულ შეხვედრებს პერმანენტული ხასიათი აქვს. შეხვედრებზე ყურადღება ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების გაცნობას, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის დეტალურ ანალიზს, პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს. ასევე სტუდენტებს ეწოდებათ დეტალური ინფორმაცია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლის გაგრძელების მომავალ შესაძლებლობებზე.</p> <p>2. პერმანენტული ხასიათი აქვს ფაკულტეტის დეკანის ყოველსემესტრულ შეხვედრებს სტუდენტებთან, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სტუდენტებთან ზიარდება ინფორმაცია საკონსულტაციო საათების, პლაგიატის პრევენციის უნივერსიტეტში არსებული მექანიზმების, მუდლის პლატფორმისა და შიდასაუნივერსიტეტო ბაზის გამოყენების შესახებ: <a href="https://unik.edu.ge/News/1726">https://unik.edu.ge/News/1726</a>.</p> <p>3. სტუდენტებთან შეხვედრის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხების გათვალისწინებით, კიდევ უფრო დეტალურად მოხდა შეხვედრებზე მათთვის საგულისხმო საკითხების აღწერა და განმარტება. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის მენეჯერის მხრიდან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა ატვირთული და მასში მოცემულია სტუდენტთათვის</p>	<p>სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი</p>



		<p>შუალედური და დასკვნითი გამოცდების ქულებს.</p>	<p>საჭირო ინფორმაცია, ზიარდება სტუდენტებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.</p> <p>სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის სამსახურის მხრიდან, ყოველ სემესტრში ტარდება, პლაგიატის პრევენციის მექანიზმებისა და ზოგადად აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები. ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა გაიმართა მიმდინარე წლის ივნისშიც, სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში: <a href="https://unik.edu.ge/News/1702">https://unik.edu.ge/News/1702</a> <a href="https://www.unik.edu.ge/News/1709">https://www.unik.edu.ge/News/1709</a>.</p> <p>4. რაც შეეხება, რეკომენდაციას, სასწავლო განრიგში შუალედების არსებობის, შესახებ, 2024-2025 აკადემიური წელი დაიგეგმა იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყო გათალისწინებული აღნიშნული მიმართულებით სტუდენტთა ინტერესები.</p> <p>5. სასწავლო ბაზაში შედეგების დროულად ასახვის შესახებ განხორციელდა კომუნიკაცია განმახორციელებელ პერსონალთან, გარდა ამისა სასწავლო პროცესის მენეჯერი, ყოველკვირეულად ამოწმებს სასწავლო ბაზაში ქულების ასახვას, შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ხდება კომუნიკაცია განმახორციელებელ პერსონალთან.</p>	
<p>სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტების ნაწილს არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტის სხდომებზე დამსწრე სტუდენტების შერჩევის შესაძლებლობის შესახებ.</p>	<p>2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სამუშაო შეხვედრა სტუდენტებთან, შეხვედრაზე განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომებზე დამსწრე სტუდენტის როლი და ფუნქციები. შეხვედრას ესწრებოდა ასევე ის სტუდენტები, რომლებიც სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ესწრებიან კომიტეტის სხდომის შეხვედრებს და მათი მხრიდან კიდევ უფრო მეტი დეტალები მიეწოდათ სტუდენტებს მათი საქმიანობის შესახებ.</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი</p>



<p>სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>სტუდენტებთან შეხვედრის შედეგად გამოვლინდა შემდეგი საყურადღებო საკითხები:</p> <p>1. სტუდენტები მოითხოვენ ბიბლიოთეკის მუშაობას შაბათ დღეს.</p> <p>2. სტუდენტების ნაწილი სათანადოდ არ იცნობს საბიბლიოთეკო პროგრამას - OPENBIBLIO და უნივერსიტეტში ხელმისაწვდომ სამეცნიერო ბაზებს.</p>	<p>1. 2024 წლის 19 აგვისტოდან, ბიბლიოთეკას დაემატა ახალი თანამშრომელი, რომელიც შაბათს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე მუშაობს, შესაბამისად, შაბათს ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომლობა სრულად უზრუნველყოფილია.</p> <p>2. 2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ სამუშაო შეხვედრები ჩატარდა სტუდენტებთან, მათ დეტალურად განემარტათ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომლობა და OPENBIBLIO-ს პლატფორმის მუშაობის პრინციპები: <a href="https://www.facebook.com/share/p/1BYo5WFwpu/?mibextid=wwXlfr">https://www.facebook.com/share/p/1BYo5WFwpu/?mibextid=wwXlfr</a></p> <p>სამუშაო შეხვედრაზე განხილული დეტალების შესახებ ყველა სტუდენტს გაეგზავნა ელექტრონულ ფოსტაზე წერილობითი განმარტებები.</p>	<p>ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი</p>
<p>სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>რესპონდენტების მიერ დაფიქსირდა შემდეგი საყურადღებო საკითხები:</p> <p>1. სტუდენტების გარკვეული ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას საგამოცდო პროცესების რეგულირების წესების შესახებ, მათ შორის გამოცდების შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.</p> <p>2. საგამოცდო ცხრილის შედგენისას სასურველია გათვალისწინებულ იქნეს ის ფაქტი, რომ ისეთ სასწავლო მოდულებში,</p>	<p>1. 2024-2025 აკადემიურ წლის დაწყებამდე, ფაკულტეტის ორგანიზებით, ჩატარდა შეხვედრები სტუდენტებთან, სადაც მონაწილეობას იღებდა საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლები. შეხვედრაზე სტუდენტებს დეტალურად მიეწოდან ყველა, მათთვის საჭირო ინფორმაცია საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებით, ასევე, განემარტათ დეტალები გასაჩივრების პროცედურასთან მიმართებით. გარდა ამისა, საგამოცდო ცენტრის მხრიდან გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე კორპორატიულ ელ-ფოსტებზე იგზავნება საინფორმაციო შეტყობინებები სტუდენტებთან, საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებით, შეტყობინებებში ხაზგასმულია მათთვის საგულისხმო და აუცილებელი ინფორმაცია.</p> <p>2. საგამოცდო ცენტრმა გაითვალისწინა სტუდენტების თხოვნა და საგამოცდო ცხრილში ინტეგრირებულ სასწავლო კურსებში,</p>	<p>საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი</p>



		<p>რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სასწავლო კურსი, გამოცდის მოსამზადებლად იყოს რამდენიმე დღიანი შუალედი.</p> <p>3. სტუდენტების მიერ საყურადღებოს საკითხად დასახელდა მოდულში არსებული რამდენიმე სასწავლო კურსის საგამოცდო საკითხების არასრულად მიწოდება გამოცდის დროს.</p> <p>4. სტუდენტები აცხადებენ, რომ უცხო ენების გამოცდის დროს მოსასმენი დავალების შესრულება წარმოადგენს სირთულეს ტექნიკური საკითხის გამო.</p> <p>5. სტუდენტების მხრიდან ასევე საყურადღებოდ დასახელდა სასწავლო ბაზაში ქულების ასახვის საკითხი. საკითხი ეხება, როგორც მიმდინარე შეფასებებს, ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ქულებს.</p>	<p>რომლებშიც გაერთიანებულია რამდენიმე კომპონენტის გამოცდები რამდენიმე დღიანი შუალედით ჩანიშნა.</p> <p>3. დასახელებულ ფაქტთან დაკავშირებით საგამოცდო ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება და განმეორებით ჩაატრა გამოცდა უკვე სრულყოფილი საგამოცდო ტესტებით. აღსანიშნავია, რომ გამლიერდა საგამოცდო ტესტების ატვირთვის შემდგომ მათზე მონიტორინგის პროცესი, რის შემდეგაც მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, საგულისხმოა რომ საგამოცდო ცენტრს დაემატა 2 ახალი სპეციალისტი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტესტების ატვირთვის Moodle-ის პლატფორმაზე და მათ გადახედვას.</p> <p>4. საგამოცდო ცენტრმა მალევე აღმოფხვა ენის გამოცდაზე შექმნილი ტექნიკური საკითხი და სამომავლოდაც უზრუნველყო ტექნიკური გაუმართაობის აღმოფხვრა.</p> <p>5. საგამოცდო ცენტრისა და ფაკულტეტის თანამშრომლობით განხორციელდა კომუნიკაცია პერსონალთან, მათ კიდევ ერთხელ განემარტათ საგამოცდო ნაშრომების დროულად გასწორების აუცილებლობა და მნიშვნელობა.</p>	
<p>სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>სტუდენტებთან შეხვედრის შედეგად სტუდენტებმა დააფიქსირეს შემდეგი</p>	<p>1. გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა შესვენებებზე ეთამაშათ ფრენბურთი და ბადმინტონი. უნივერსიტეტმა</p>	<p>სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა</p>



<p>(მედიცინის ფაკულტეტი)</p>		<p>საყურადღებო საკითხები:</p> <p>1. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს მეცადინეობებს შორის შესვენებების დროს მეტ სპორტული/ფიზიკური აქტივობების შესაძლებლობების ქონაზე (მაგ. ბადმინტონი, კრიკეტის სათამაშო აღჭურვილობები).</p> <p>2. სტუდენტების ნაწილს არ აქვს ინფორმაცია, უნივერსიტეტში არსებული ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისის არსებობის შესახებ.</p> <p>3. სტუდენტები თვლიან, რომ აუცილებელია უნივერსიტეტში ტარდებოდეს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მაგალითისთვის დასახელდა რელიგიური და ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა და გასვლითი ღონისძიებები საქართველოს საცნობის მიზნით.</p>	<p>დამატებით შეიძინა კრიკეტის აღჭურვილობები, ფრენბურთის ბურთები და ბადმინტონი.</p> <p>2. სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების მიზნით განახორციელა შემდეგი აქტივობები: გაიგზავნა საინფორმაციო მეილები ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისის შესახებ, საინფორმაციო შეტყობინებები აღნიშნულის შესახებ გაიგზავნა ასევე სხვადასხვა სოციალური არხების ჩატებში, განახლდა საინფორმაციო დაფაზე არსებული პოსტერი, შეიქმნა ახალი საინფორმაციო პოსტერები, რომლებიც დამატებით, გარდა პირველი სართულისა, გამოიკრა მესამე სართულზე, ასევე, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრში.</p> <p>3. 2024-2025 აკადემიური წლის დასაწყისში ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით პირველად აღინიშნა დივალის ფესტივალი, რომელიც ინდუიზმის ერთ-ერთი პოპულარული და გავრცელებული დღესასწაულია. ფესტივალზე, სტუდენტებს დახვდათ სადღესასწაულო ატმოსფერო სხვადასხვა დეკორაციებითა და განათებებით. უცხოელმა სტუდენტებმა წარმოადგინეს რამდენიმე პერფორმანსი, რითაც ქართველ სტუდენტებს გააცნეს თავიანთი კულტურა: <a href="https://unik.edu.ge/News/1785">https://unik.edu.ge/News/1785</a>.</p>	<p>მომსახურების ცენტრი</p>
<p>სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>სტუდენტების მიერ დასახელდა ზოგიერთი პედაგოგის მიერ ლექციის უფრო ეფექტურად და ინტერაქტიულად</p>	<p>1. 2024-2025 აკადემიურ წლის პირველი სემესტრის დაწყებისას მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით განხორციელდა შეხვედრა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რომლებიც დასახელებული სემესტრის განხორციელებაში არიან ჩართულნი. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან</p>	<p>მედიცინის ფაკულტეტის დეკანი</p>



		<p>ჩატარების სურვილი.</p> <p>2. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მათი მხრიდან დაფიქსირდა თხოვნა სასწავლო კურსის განმახორციელებელმა პერსონალმა სემესტრის დაწყებამდე განმარტოს სწავლება - სწავლის მეთოდები, შეფასების მეთოდები და სხვა დეტალები.</p> <p>3. სტუდენტების მხრიდან ასევე საყურადღებოდ დასახელდა სასწავლო ბაზაში ქულების ასახვის საკითხი. საკითხი ეხება, როგორც მიმდინარე შეფასებებს, ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ქულებს.</p> <p>4. სტუდენტების ნაწილი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესახებ (მაგ.: სტიპენდიის დანიშვნისა და ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით სარგებლობის წესი).</p>	<p>ერთად განხილული იყო, სტუდენტების მხრიდან დაფიქსირებული პრობლემური საკითხიც. გარდა ამისა, ფაკულტეტი ინტენსიურად თანამშრომობს უნივერსიტეტში არსებულ სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრთან, რომელიც სისტემურად სთავაზობს პერსონალს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების მიმართულებით გადამზადების ტრენინგ მოდულებს. საგულსიხმოა, რომ ამ ეპოქაზე ყველა განმახორციელებელი პერსონალი გადამზადებულია დასახელებული მოდულებით.</p> <p>2. შეხვედრისას, პერსონალს ასევე განმარტათ სილაბუსის გაცნობის (მისაღწევის მიზნებისა და შედეგების განხილვა, სწავლება სწავლის მეთოდები და შეფასების მეთოდები, ასევე ლიტერატურა და შესასწავლი თემატიკა) აუცილებლობა სემესტრის დასაწყისშივე.</p> <p>3. სემესტრის განმავლობაში, სასწავლო ბაზაში ქულების ასახვის მონიტორინგი მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მენეჯერების მიერ. აღნიშნული განსაკუთრებით კონტროლდება შუალედურ გამოცდებამდე, როცა 7 კვირის შედეგები უნდა იქნეს ასახული და დასკვნით გამოცდებამდე, როცა ყველა გასული კვირის აქტივობის შედეგები უნდა იქნეს ასახული. ამასთანავე, აღნიშნულის შესახებ მუდმივად ხდება კომუნიკაცია პერსონალთან, რათა მათი მხრიდან დროულად მოხდეს შედეგების ბაზაში ასახვა ან/და საგამოცდო ცენტრისთვის მიწოდება.</p> <p>4. ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში, ტრადიციულად სტუდენტებთან ხორციელდება შეხვედრები. კერძოდ, 2024-2025 აკადემიური წლის პირველი სემესტრის დასაწყისში განხორციელდა ორი შეხვედრა. მედიცინის ფაკულტეტთან და პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე შეხვედრა ცალკეულ სამსახურებთან,</p>
--	--	---	---



			<p>სადაც სტუდენტებს კიდევ უფრო დეტალურად განემარტათ უნივერსიტეტში არსებული სამართლებრივი აქტები, გარდა ამისა სტუდენტებს სამართლებრივი აქტების შესახებ ეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული ფოსტების გამოყენებით, ასევე, მიეწოდებათ ინფორმაცია აღნიშნული აქტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შესახებ: <a href="https://unik.edu.ge/LegalActs">https://unik.edu.ge/LegalActs</a>.</p>	
<p>სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p>	<p>სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ არ აქვთ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომებზე დამსწრე სტუდენტის შერჩევისა და ამ მიმართულებით მათი ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ.</p>	<p>2024-2025 აკადემიურ წლის დასაწყისში სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა შეხვედრა სტუდენტებთან. მათ დეტალურად განემარტათ კომიტეტის სხომაზე დამსწრე სტუდენტის ფუქცია მოვალეობები და ასევე ის შესაძლებლობები რაც სტუდენტებთ ეძლევათ ამ შემთხვევაში, ასევე კიდევ ერთხელ სტუდენტებს წარედგინათ ის პირი რომელიც 2022 წელს შეირჩა და ესწრება კომიტეტის სხდომებს.</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი</p>
<p>მობილობით გადმოსული სტუდენტების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი I სემესტრი</p>	<p>კვლევის პროცესში დაფიქსირდა კომენტარი შიდა დაფინანსებების სურვილის შესახებ, შესაბამისად, სასურველია სასურველია მეტი ინფორმაციის გაზიარება უნივერსიტეტის სასტიპენდიო პროგრამის შესახებ სტუდენტებთან. ასევე, დაფიქსირდა სურვილი გამოცდების OSCE-ის ფორმატით მეტად ჩატარებასთან დაკავშირებით.</p>	<p>მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით, აკადემიური სემესტრის დაწყებამდე მოხდა სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება, პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, შეხვედრებს ესწრებოდნენ მობილობით გადმოსული სტუდენტებიც. შეხვედრების მიზანია სტუდენტებს განემარტოთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები. მათ შორის, სტუდენტებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული სტიპენდიების პროგრამასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე დეტალურად იქნა ახსნილი თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტები სტიპენდიის მიღებისთვის. აღნიშნული ინფორმაცია წერილობითადაც იგზავნება ფაკულტეტის მხრიდან</p>	<p>მედიცინის ფაკულტეტის დეკანი</p>



			<p>სტუდენტებთან და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე. რაც შეეხება კომენტარს OSCE-ის ჩატარებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამა ითვალისწინებს OSCE-ის სადგურებზე მუშაობას მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობით, რაც მოცემულია სხვადასხვა სასწავლო კურსების სილაბუსებში, მათ შორის 2023-2024 აკადემიურ წლის განმავლობაში ერთ-ერთ სასწავლო კურსში განისაზღვრა OSCE-ის 12 სადგურით ჩატარება.</p>	
საერთაშორისო მობილობით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა	2023-2024 აკადემიური წელი II სემესტრი	დადებით შეფასებებთან ერთად, რესპონდენტთა მიერ დაფიქსირდა საყურადღებო საკითხები, რომელიც ეხებოდა მასპინძელ უნივერსიტეტთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს.	ვინაიდან გამოკითხვა ანონიმურია და არ არის მითითებული კონკრეტულად რომელ უნივერსიტეტთან თანამშრომლობისას დაფიქსირდა პრობლემა, პრობლემური საკითხის პრევენციის მიზნით საერთაშორისო უნივერსიტეტის სამსახური კიდევ უფრო ჩაერთო მობილობის განხორციელების ადმინისტრირების პროცესებში. საერთო მიმოწერებით ელექტორულ ფოსტაზე ახორციელებს ხელშეკრულების დეტალების შეთანხმების პროცესის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში იღებს მონაწილეობას პროცესის ოპტიმალურ დროში დასრულების მიზნით. გარდა ამისა, სამსახურის მხირდან განხორციელდა კომუნიკაცია შემდგომ მობილობებში მონაწილე პერსონალთან, ეხოვით მათ საჭიროების შემთხვევაში დროულად მოხდეს პრობლემური საკითხის შესახებ სამსახურისთვის ინფორმაციის გაზიარება, რათ დროულად მოხდეს პრობლემის გადაჭრა.	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი
საგამოცდო პროცესების სტუდენტის მიერ შეფასება - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი	2023-2024 აკადემიური წელი I სემესტრი	1. დაფიქსირდა სურვილი საგამოცდო ცენტრის მიერ ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფისა და მობილიზების შესახებ საგნის	1. საგამოცდო ცენტრი ლექტორებს ყოველთვის წინასწარ თხოვს ინფორმაციის მიწოდებას გამოცდაზე დაშვებული ან/და საჭირო ნივთების შესახებ. თუმცა რამდენიმე გამოცდაზე დაფიქსირდა უზუსტობა, შესაბამისად საგამოცდო ცენტრმა დაიწყო წინასწარ მობილიზება საჭირო ნივთების, მათ შორის გამომთვლელების და შემდეგ	საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი



(შუალედური გამოცდები)		<p>სპეციფიკის შესაბამისად.</p> <p>2. შეფასების პროცესში, დაფიქსირდა კომენტარი, რომ სტუდენტური მეილით ვერ მოხდა Excel-ით სარგებლობა გამოცდაზე.</p> <p>3. დაფიქსირდა კომენტარი საგამოცდო ნაშრომების გასწორებისა და შედეგების სასწავლო ბაზაში გონივრულ ვადებში ასახვის შესახებ.</p> <p>4. შეფასების პროცესში დაფიქსირდა სურვილი საჭიროებიდან გამომდინარე გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო აუდიტორიის დატოვების შესაძლებლობის შესახებ.</p>	<p>გამოცდებზე უკვე აღმოფხვრილი იყო ეს პრობლემა.</p> <p>2. 2023-2024 აკადემიური წლის პირველი სემესტრის ბოლოს, განახლდა საგამოცდო ცენტრში კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა, ასევე, დაემატა 25 ახალი კომპიუტერი, ასევე, ინტერნეტის მიწოდების საკითხი გაუმჯობესდა, რის შედეგადაც აღმოიფხვრა მსგავსი შემთხვევები.</p> <p>3. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით განხორციელდა კომუნიკაცია სასწავლო კურსი განმახორციელებელ პერსონალთან გარდა ამისა, მათთან შეთანხმებით შეჯერდა სამი სამუშაო დღის ვადა საგამოცდო ნაშრომების გასწორებისა და საგამოცდო ცენტრისთვის მიწოდებისთვის, რის შემდგომაც საგამოცდო ცენტრი მყისიერად ასახავს ბაზაში შედეგებს.</p> <p>4. საგამოცდო ცენტრს, 2023-2024 აკადემიური წლის პირველი სემესტრიდან დაემატა დამკვირვებლები, გამოცდას მინიმუმ აკვირდება 2 თანშრომელი, აღნიშნულის გათვალისწინებით სტუდენტებს საგამოცდო პროცესში აქვთ საშუალება ისარგებლონ საგამოცდო აუდიტორიის თანხმლებით დატოვებით.</p>	
საგამოცდო პროცესების სტუდენტის მიერ შეფასება - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი (დასკვნითი გამოცდები)	2023-2024 აკადემიური წელი I სემესტრი	<p>1. გარკვეული მოსაზრებები დაფიქსირდა სტუდენტების მიერ საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელთა დამოკიდებულებების შესახებ, საგამოცდო პროცესების წარმართვის დროს.</p> <p>2. დაფიქსირდა სურვილი საგამოცდო ცენტრის მიერ ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფისა და მობილიზების</p>	<p>1. მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე კიდევ ერთხელ განხორციელდა საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლებთან კომუნიკაცია, განემარტათ მათ პოცესის უზრუნველყოფისთვის საჭირო დეტალები და ასევე, სტუდენტების თხოვნა თავაზიანობასთან დაკავშირებით.</p> <p>2. საკითხის გასაუმჯობესებლად განხორციელდა შემდეგი ქმედება: 1. ლექტორს ეთხოვა წინასწარ ჩააყენოს საქმის კურსში საგამოცდო ცენტრი გამოცდის საჭიროებების შესახებ; 2. მოხდა დამადებით აღჭურვილობების (მაგ. კალკულატორების) შექმნა. 3. საგამოცდო საკითხების გამოთხოვასთან ერთად საგამოცდო</p>	საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი



		<p>შესახებ საგნის სპეციფიკის შესაბამისად.</p> <p>3. კვლევის პროცესში დაფიქსირდა რეკომენდაცია - სტუდენტებს საშუალება მიეცეთ, სურვილისამებრ, გადახედონ შეფასებულ ნაშრომებს და ასევე მოხდეს არასწორად დაწერილ საკითხზე ლექტორის მიერ კომენტარის გაკეთება, რათა სტუდენტმა შეძლოს გამოსასწორებელი საკითხის იდენტიფიცირება და გამოსწორება.</p>	<p>ცენტრი წერილში, ასევე მოითხოვს გამოცდაზე დაშვებული რესურსების შესახებ ინფორმირებულობას.</p> <p>3. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანთან მოხდა აღნიშნულზე კომუნიკაცია, შესაბამისად სანუშაო შეხვედრისას აკადემიურ პერსონალთან დაფიქსირდა თხოვნა საგამოცდო ნაშრომებზე გაკეთდეს დამატებითი კომენტარები შეფასების ქულის შესაბამისად, ასევე, სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრისას სტუდენტებს განემარტათ, რომ საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის მიხედვით, სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს საგამოცდო ცენტრს ნაშრომის გაცნობის მიზნით ლექტორთან ერთად, რათა დეტალურად მიიღოს უკუაპელი და კონსულტაციები შემდგომი პროცესის მიზნით.</p>	
<p>საგამოცდო პროცესების სტუდენტის მიერ შეფასება - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი (დასკვნითი გამოცდები)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი</p> <p>II სემესტრი</p>	<p>1. გამოკითხვის შედეგად სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა მოსაზრება გამოცდაზე დავალების შესასრულებლად საჭირო კოდექსის ბეჭდური სახით მიწოდების შესახებ.</p> <p>2. დაფიქსირდა კომენტარი საგამოცდო განრიგის სათანადოდ შედგენის შესახებ (დროების დამთხვევა, გამოცდებს შორის მცირე შუალედები)</p> <p>3. გამოკითხულ სტუდენტთა მიერ დაფიქსირდა კომენტარი დამკვირვებლების შესახებ, კერძოდ,</p>	<p>1. საგამოცდო პროცესებში, საგამოცდო ცენტრმა დანერგა მიდგომა და წინასწარ დაბეჭდილი სახით აწვდის დავალების ამოსახსნელად საჭირო კოდექსის იმ ნაწილს სტუდენტებს, რომლებიც ლექტორის მიერ არის გამოგზავნილი საგამოცდოდ.</p> <p>2. საგამოცდო ცენტრი ყველანაირად ცდილობს შეადგინოს თითოეულ სტუდენტზე მორგებული ცხრილი, თუმცა არიან სტუდენტების კატეგორია, რომლებიც მეორედ ან მესამედ გადიან კონკრეტულ საგანს და ამ შემთხვევაში არის ალბათობა იმისა რომ საგანი დროში დაემთხვეს. ცენტრი გამცდის დაწებამდე ორი კვირით ადრე აგზავნის საგამოცდო ცხრილს და სტუდენტს ნებას რთავს დამთხვევის შემთხვევაში განცხადების საფუძველზე მისთვის სასურველ დღეს და დროს აღადგინოს კონკრეტულ საგანში გამოცდა.</p> <p>3. საგამოცდო ცენტრის მიერ, მოხდა კომუნიკაცია დამკვირვებლებთან, მათი მხრიდან ეთიკური ნორმების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.</p>	<p>საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი</p>



		ხაზგასმულია საგამოცდო პროცესის მსვლელობისას მათი არაკადემიური დამოკიდებულება.	თუმცა, დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ შეიცვალა დაკვირვებლების უმრავლესი ნაწილი და მოხდა მათი გადაშხადება.	
OSCE-ის შუალედური გამოცდების შეფასება გამომცდელების მიერ.	2023-2024 აკადემიური წელი I სემესტრი	სასურველია სადგურებზე დამონტაჟდეს ზარი, რაც ტექნიკურად უფრო გამართულს გახდის საგამოცდო პროცესს.	ქუთაისის უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრი OSCE-ის თითოეულ სადგურზე დამონტაჟდა სპეციალური ელექტრონული საათი, სადაც აისახება დროის ათვლა და ასევე, ხმოვანი შეტყობინება, რომელიც სტუდენტს აუწყებს მოცემულ სადგურზე დროის აღრიცხვის დაწყებასა და დასრულებას.	სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი
საგამოცდო პროცესების სტუდენტის მიერ შეფასება - მედიცინის ფაკულტეტი (დასკვნითი გამოცდები)	2023-2024 აკადემიური წელი I სემესტრი	1. დაფიქსირდა რამდენიმე კომენტარი გამოცდებს შორის შუალედის არსებობის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რათა უკეთ მოემზადონ გამოცდისთვის. 2. ფიქსირდება რეკომენდაცია საგამოცდო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. კერძოდ სტუდენტის აზრით უმჯობესია გამოცდის მიმდინარეობისას მათ შეეზღუდოთ წვდომა სხვა სამიეზო სისტემის ფანჯრებზე, რათა არ გამოიყენონ ე.წ. ინკოგნიტო ფანჯარა ინფორმაციის მოსაძიებლად. ასევე უკეთესი იქნებოდა სტუდენტების მეტად დისტანცირება საგამოცდო ოთახში.	1. 2023-2024 აკადემიური წლის მეორე სემესტრის მედიცინის ფაკულტეტის საგამოცდო ცხრილის შედგენისას მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული გამოცდებს შორის შუალედები. თუმცა, საგულისხმა, რომ საგამოცდო პროცესებისთვის სტუდენტი ემზადება რამდენიმე კვირის განმავლობაში სასწავლო პროცესში და მხოლოდ გამოცდებს შორის შუალედის გამოყენებით ვერ შეძლებს განვლილი მასალის სრულად და ჯეროვნად ათვისებას. 2. საგამოცდო პროცესები მიმდინარეობს Moodle-ის პლატფორმის გამოყენებით, 2023-2024 აკადემიური წლის მეორე სემესტრის შუალედური გამოცდების მსვლელობისას მნიშვნელოვნად გაძლიერდა საგამოცდო ცენტრებში ინტერნეტის მიწოდება, რათა სტუდენტებს არც საგამოცდო ნაშრომზე მუშაობისას და არც მათი შენახვისას არ შეექმნათ ტექნიკური პრობლემები. 2023-2024 აკადემიურ წლის მეორე სემესტრის დაგეგმვისას გამოყენებული იქნა Safe Exam Browser, რაც უზღუდავს სტუდენტებს საგამოცდო პროცესში სხვა რესურსებზე წვდომას.	საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი



<p>საგამოცდო პროცესების სტუდენტის მიერ შეფასება - მედიცინის ფაკულტეტი (დასკვნითი გამოცდები)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი I სემესტრი</p>	<p>სტუდენტი კომენტარში აფიქსირებს სურვილს ფარმაცოლოგიისა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სასწავლო კურსების ლექტორის ცვლილებასთან დაკავშირებით, ფარმაცოლოგიის სასწავლო კურსის სირთულისა და მეტად დეტალურად ახსნის საჭიროების, ასევე, საგამოცდო საკითხების უფრო სიღრმისეულად ახსნის შესახებ.</p>	<p>პროცესში დაფიქსირებული კომენტარის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით დასახელებულ სასწავლო კურსებზე განხორციელდა სააუდიტორიო მუშაობის შეფასებები. პროცესში მონაწილეობას იღებდა მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის ხელმძღვანელი, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის სპეციალისტი. შეფასებების შედეგად ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწია ლექტორს ლექციები გახდეს უფრო მეტად ინტერაქტიული. აღსანიშნავია, რომ 2024-2025 აკადემიური წლიდან ფარმაცოლოგიის სასწავლო კურსს შეეცვალა განმახორციელებელი პერსონალი.</p> <p>რაც შეეხება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სასწავლო კურსთან დაკავშირებულ კომენტარებს, შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მხრიდან საკითხი მეტწილად არასწორად იქნა დაიდენტიფიცირებული, ვინაიდან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ავთენტური, რეალური პრობლემების გადაწყვეტაზე დაფუძნებულ სწავლებას. რომლის მსვლელობისას სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ ქეისებს და შეკითხვებს, სტუდენტები მუშაობენ მცირე ჯგუფებში და ლექტორი არის „ფასილიტატორის“ და დამკვირვებლის როლში, რის შედეგადაც სტუდენტი იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და ხდება აქტიური შემმეცნებელი. ლექტორი არათუ ახსნის შესაძლებლობა, მინიშნების გაკეთების უფლებაც კი არ აქვს. სასწავლო კურსის სწავლების ეფექტურობას განაპირობებს პროცესში აქტიურად გამოყენებული განმავითარებელი შეფასება, რომელიც სტუდენტებს</p>	<p>მედიცინის ფაკულტეტის დეკანი</p>
---	---	--	--	------------------------------------



			<p>შესაძლებლობას აძლევთ, ეტაპობრივად მოახდინონ უკვე ნასწავლი ცოდნის კონსტრუირება, და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება. შეფასებების შემდგომ სტუდენტებს, კიდევ ერთხელ განემარტათ სასწავლო კურსის სწავლების სპეციფიკა.</p> <p>სტუდენტების მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად, 2023-2024 აკადემიური წლის მეორე სემესტრის დაგეგმვისას სამუშაო შეხვედრაზე ფაკულტეტის მიერ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კიდევ ერთხელ განემარტა სტუდენტებისთვის საგამოცდო დავალების ტიპისა და პირობის გაცნობის აუცილებლობა, ასევე, გამოცდების შემდეგ საკითხების განხილვის აუცილებლობა. გარდა ამისა სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გამოცდების დასრულების შემდეგ მათ აქვთ შესაძლებლობა ლექტორთან ერთად განიხილონ საგამოცდო ნაშრომი და მიიღონ მათგან დეტალური უკუკავშირები.</p>	
საგამოცდო პროცესების სტუდენტის მიერ შეფასება - მედიცინის ფაკულტეტი (დასკვნითი გამოცდები)	2023-2024 აკადემიური წელი II სემესტრი	სტუდენტები ძირითად საკითხად ასახელებენ ინტერნეტის ხარვეზს, კერძოდ Wi-Fi - კავშირის დაბალი სიხშირის გამო იყო სისტემიდან გამოვარდნის შემთხვევები, ასევე მომდევნო შეკითხვის ჩატვირთვას დიდი დრო სჭირდება, რის გამოც სტუდენტს აკლდება გამოცდისთვის განკუთვნილი დრო.	საგამოცდო ცენტრი მუდმივად თანამშრომლობს გამოცდების პერიოდში IT-სამსახურთან, შეძლებისდაგვარად მყისიერად გვარდება პრობლემა. 2023-2024 აკადემიურ წლის დასკვნითი გამოცდების პერიოდში გაიზარდა ინტერნეტის სიხშირე და ამით პროცესი გაუმჯობესდა. იმ შემთხვევაში თუკი ტექნიკურ ხარვეზს აქვს ადგილი, საგამოცდო ცენტრი სთავაზობთ სტუდენტებს იმ დროის დამატებას, რა დროც ტექნიკური საკითხის მოგვარების გამო იქნა დახარჯული.	საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი
პერსონალის შეფასება (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და	2023-2024 აკადემიური წელი I სემესტრი	აკადემიური და მოწვეული პერსონალის ადმინისტრაციის მირ შეფასებების	გამოვლენილი საყურადღებო საკითხი საგამოცდო ცენტრის განმარტებით უკავშირდებოდა საგამოცდო საკითხების დროულად მიწოდებასა და უკუკავშირის	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის



სამართლის ფაკულტეტი		<p>შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ლექტორის დაბალი ქულით შეფასების შემთხვევა საგამოცდო ცენტრის მიერ, საგამოცდო საკითხების დროულად მიწოდებასთან დაკავშირებით.</p>	<p>დაბრუნებას. შესაბამისად, არსებული საყურადღებოს საკითხის აღმოსაფხვრელად ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მენეჯერისაგან და პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან ლექტორებთან განხორციელდა აქტიური კომუნიკაცია. აკადემიურ პერსონალს მიეწოდა ინფორმაცია საგამოცდო პროცესების შეუფერხებლად განხორციელებისათვის საგამოცდო საკითხების დროულად გადაგზავნის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ, როგორც სატელეფონო, ისე, პირისპირ, ინდივიდუალური კომუნიკაციის ფორმით.</p>	ფაკულტეტის დეკანი
პერსონალის შეფასება (მედიცინის ფაკულტეტი)	<p>2023-2024 აკადემიური წელი I სემესტრი</p>	<p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის ადმინისტრაციის მიერ შეფასებების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ლექტორის დაბალი ქულით შეფასების შემთხვევა საგამოცდო ცენტრის მიერ, საგამოცდო საკითხების დროულად მიწოდებასთან დაკავშირებით ან/და სტუდენტების მიერ კონკრეტულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით: ფარმაკოლოგია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ანატომია.</p>	<p>შეფასებების შედეგად გამოვლინდა საყურადღებო საკითხებზე ფაკულტეტის მხრიდან განხორციელდა რიგი რეაგირებები: დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მუდმივად მიმდინარეობს შეხვედრები სტუდენტებთან და სასწავლო პროცესის მონიტორინგი ფაკულტეტის მხრიდან. აღნიშნული პროცესების და პერსონალის შეფასებების შედეგად, შედგა კომუნიკაცია შესაბამის პერსონალთან და მათ კიდევ ერთხელ განემარტათ საგამოცდო ცენტრისთვის საგამოცდო საკითხების დროულად მიწოდების აუცილებლობა.</p> <p>რამდენიმე შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, დარგის სპეციალისტისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდა პერსონალის სააუდიტორიო მუშაობის შეფასება. შედეგად, შეიცვალა ფარმაკოლოგიის სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რაც შეეხება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სასწავლო კურსთან დაკავშირებულ კომენტარებს, შეფასების პროცესში</p>	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი



			<p>გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მხრიდან საკითხი მეტწილად არასწორად იქნა დაიდენტიფიცირებული, ვინაიდან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ავთენტური, რეალური პრობლემების გადაწყვეტაზე დაფუძნებულ სწავლებას. რომლის მსვლელობისას სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ ქეისებს და შეკითხვებს, სტუდენტები მუშაობენ მცირე ჯგუფებში და ლექტორი არის „ფასილიტატორის“ და დამკვირვებლის როლში, რის შედეგადაც სტუდენტი იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და ხდება აქტიური შემმეცნებელი. ლექტორი არათუ ახსნის შესაძლებლობა, მინიშნების გაკეთების უფლებაც კი არ აქვს. სასწავლო კურსის სწავლების ეფექტურობას განაპირობებს პროცესში აქტიურად გამოყენებული განმავითარებელი შეფასება, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევთ, ეტაპობრივად მოახდინონ უკვე ნასწავლი ცოდნის კონსტრუირება, და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება. შეფასებების შემდგომ სტუდენტებს, კიდევ ერთხელ განემართათ სასწავლო კურსის სწავლების სპეციფიკა.</p> <p>სხვა შემთხვევაში, ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგად, გაიცა სასწავლო პროცესის მეტად ინტერაქტიულად წარმართვის რეკომენდაცია, არ გამოვლენილა სხვა ტიპის რეაგირებების საჭიროება.</p>	
<p>პერსონალის შეფასება (სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი II სემესტრი</p>	<p>1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე აკადემიური პერსონალი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში,</p>	<p>1. საყურადღებო საკითხთან დაკავშირებით ინდივიდუალური კომუნიკაცია განხორციელდა ყველა იმ აკადემიურ პერსონალთან, ვისაც სამეცნიერო კვლევით საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ანგარიშები ან არ ჰქონდათ შევსებული და საერთო შეფასება განესაზღვრათ 4-ზე დაბალი ქულით. საუბრისას ყურადღება გამახვილდა აღნიშნული ანგარიშების გამოგზავნის აუცილებლობასა და</p>	<p>სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი</p>



		<p>რომელთაც სამეცნიერო კვლევით საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ანგარიშები არ წარადგინეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რის გამოც საერთო შეფასებით დააგროვეს 4-ზე ნაკლები ქულა.</p> <p>2. სტუდენტთა მხრიდან ინდივიდუალური კომენტარები დაიწერა ცალკეული სასწავლო კურსების განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში. კერძოდ, დაფიქსირებული იყო ლექციების გაცდენის ფაქტები, ასევე, კონკრეტულ შემთხვევაში, არასამართლიან შეფასებასთან დაკავშირებული კომენტარი.</p>	<p>უნივერსიტეტში დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე.</p> <p>2. ფაკულტეტის დეკანის მხრიდან რამდენჯერმე მოხდა კომუნიკაცია იმ ლექტორთან, სადაც ფიქსირდებოდა გაცდენის შემთხვევები, გაცდენილი საათების აღდგენასთან დაკავშირებით. ლექტორის დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ჩანაცვლდა სხვა პერსონალით. რაც შეეხება სტუდენტის კომენტარს არასამართლიან შეფასებასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელდა კომუნიკაცია ლექტორთან, მიღებული განმარტებების შესაბამისად, სტუდენტის შეფასებები ობიექტური და გამჭვირვალეა. სტუდენტთან განხორციელდა კომუნიკაცია მიღებული შეფასებებთან დაკავშირებით ლექტორის მხრიდან უკუკავშირისა და განმარტებების მიღების შესაძლებლობის შესახებ.</p>	
<p>პერსონალის შეფასება მედიცინის ფაკულტეტი</p>	<p>2023-2024 აკადემიური წელი II სემესტრი</p>	<p>2023-2024 აკადემიურ წლის მეორე სემესტრის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ადმინისტრაციისა (ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, საგამოცდო ცენტრი და სასწავლო პროცესის მენეჯერი) და სტუდენტების</p>	<p>შეფასებების შედეგად გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე ფაკულტეტის მხრიდან განხორციელდა რიგი რეაგირებები: დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მუდმივად მიმდინარეობს შეხვედრები სტუდენტებთან და სასწავლო პროცესის მონიტორინგი ფაკულტეტის მხრიდან. აღნიშნული პროცესების და პერსონალის შეფასებების შედეგად, შედგა კომუნიკაცია შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელ</p>	<p>მედიცინის ფაკულტეტის დეკანი</p>



		<p>შეფასებების შედეგად დაფიქსირდა რამდენიმე საყურადღებო საკითხი: სალექციო შეხვედრების გაცდენის შემთხვევები, შეფასების შედეგების სასწავლო ბაზაში დროულად ატვირთვის საკითხი, სასწავლო მასალის უფრო სიღრმისეულად ახსნის საკითხი სასწავლო კურსებში: ფარმაკოლოგია და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ასევე, ანატომია.</p>	<p>პერსონალთან, შედეგების გაუმჯობესების მიზნით: შესაბამის პერსონალს განემარტა სალექციო შეხვედრების ობიექტური მიზეზებით გაცდენის შემთხვევაში, აღდგენის სტუდენტებთან შეთანხმების მნიშვნელობა, საგულისხმოა, რომ მათი მხრიდან შეხვედრის გაცდენის შემთხვევაში აუცილებლად ხდება მეცადინეობის აღდგენა. შესაბამის პერსონალს კიდევ ერთხელ განემარტა და ეთხოვა შეფასების შედეგების სასწავლო ბაზაში დროულად ატვირთვის საკითხი, აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ პერსონალთან აღნიშნული შემთხვევა აღარ დაფიქსირებულა. სააუდიტორიო მუშაობის შედეგების საფუძველზე დაკმაყოფილდა სტუდენტთა სურვილი ფარმაკოლოგიის სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის ცვლილებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სასწავლო კურსთან დაკავშირებულ კომენტარებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, დარგის სპეციალისტისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდა სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრება. პროცესში გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მხრიდან საკითხი მეტწილად არასწორად იქნა დაიდენტიფიცირებული, ვინაიდან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ავთენტური, რეალური პრობლემების გადაწყვეტაზე დაფუძნებულ სწავლებას. რომლის მსვლელობისას სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ ქეისებს და შეკითხვებს, სტუდენტები მუშაობენ მცირე ჯგუფებში და ლექტორი არის „ფასილიტატორის“ და დამკვირვებლის როლში, რის შედეგადაც სტუდენტი იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და ხდება</p>
--	--	---	---



			<p>აქტიური შემმეცნებელი. ლექტორი არათუ ახსნის შესაძლებლობა, მინიშნების გაკეთების უფლებაც კი არ აქვს. სასწავლო კურსის სწავლების ეფექტურობას განაპირობებს პროცესში აქტიურად გამოყენებული განმავითარებელი შეფასება, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევთ, ეტაპობრივად მოახდინონ უკვე ნასწავლი ცოდნის კონსტრუირება, და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება. შეფასებების შემდგომ სტუდენტებს, კიდევ ერთხელ განემარტათ სასწავლო კურსის სწავლების სპეციფიკა.</p> <p>შეფასებების შედეგად, კომუნიკაცია შედგა ანატომიის განმახორციელებელ პედაგოგთან, მისი მისამართით სასწავლო პროცესის მეტად ინტერაქტიულად წარმართვისა და სტუდენტებთან მეტი კომუნიკაციის რეკომენდაცია გაიცა. დაკვირვებების შედეგად არ გამოვლენილა სხვა ტიპის რეაგირებების საჭიროება.</p>
--	--	--	--

შეფასების შედეგად გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებზე მომავალშიც დაგეგმილია რეაგირებების მიზნით სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. განსაზღვრულია მათი შესრულების ვადებიც. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023-2024 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასებების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხების უმრავლესობაზე განხორციელებულია სათანადო რეაგირებები შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების მიერ, რაც იკითხება კიდევ ზემოთ მოცემულ ცხრილში. არის რამდენიმე დაგეგმილი აქტივობა, რომლის განხორციელებაც მოითხოვს გარკვეულ დროს და მათი შესრულების ვადად განსაზღვრულია ძირითადად 2023-2024 აკადემიური წლის ბოლო (დეტალებისთვის იხ. დანართი 21 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში 2023-2024 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასების შედეგებზე რეაგირების ანალიზი). აქვე აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აგრძელებს დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას.



## თანდართული ანგარიშები/მტკიცებულებები

**დანართი 1** - საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასების ანგარიშები.

**დანართი 2** - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები.

**დანართი 3** - სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები.

**დანართი 4** - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, შედეგების შეფასება პროგრამის მე-4 დანართის მიხედვით, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ.

**დანართი 5** - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, პროფესიული განვითარების ანგარიშები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები.

**დანართი 6** - ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირების ანგარიში.

**დანართი 7** - სააუდიტორო მუშაობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები, შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები და რეაგირების ანგარიშები.

**დანართი 8** - პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი.

**დანართი 9** - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები.

**დანართი 10** - სტუდენტებთან შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშები.

**დანართი 11** - მობილობის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები.

**დანართი 12** - საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი.

**დანართი 13** - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები.

**დანართი 14** - საგამოცდო ცენტრის ანგარიშები ნაშრომების შეფასებიდან მოხსნისა და აპელაციის შემთხვევების შესახებ.



**დანართი 15** - სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიშები.

**დანართი 16** - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში უნივერსიტეტის პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ.

**დანართი 17** - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიშები პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ.

**დანართი 18** - მართვის პროცესების შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები.

**დანართი 19** - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი.

**დანართი 20** - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა და მონიტორინგი: სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის და სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგის ცხრილები.

**დანართი 21** - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგებზე რეაგირების ანალიზი.